
652
1990/2

ISSN 0134 3459

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული

350.



1990 1

ქართული ლიტერატურა

ჭოროხი

გაზეთის

32-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

პოეზია, პროზა

ჯემალ ჯაყელი — მთლად საქართველოს დასწერე ჯვარი (ლექსები) 3

ფრიდონ ხალვაში — დაბრუნება თავისთავთან (რომანის ფრაგმენტები) 9

მამია ვარშანიძე — შამილი (ლექსი) 22

გიორგი კეჭალმაძე — ლუკას დაბრუნება (მოთხრობა) 24

ბელა ქებურია — ლექსები 34

ჯემალ ქათამაძე — დედის ღიმილი (დოკუმენტური მოთხრობა. დასასრული) 35

ბადრი თევზაძე — ლექსები 44

ელისაბედ ღაღაშვილი — საიუბილეო მიპატიჟება (ლექსი) 48

ვოლტერ ჭანტურია — ჟანას აღსარება (მოთხრობა) 49

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

1

1990

იანვარი
თებერვალი



ბათუმი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ორჯონი ქოჩლაძე — დრო მოვა (ლექსი) 56

ჩონგური საქართველოა

ჟუჟუნა შაინიძე, მურმან ცეცხლაძე — როცა ასეთი სიყვარულია (ნარკვევი) 57
ნუგზარ ბოლქვაძე — უკვდავია შენი ჯიში (ლექსი) 62

გზები და შთაბეჭდილებები

ალექსანდრე ჩხაიძე — ჩვენებურები (გაგრძელება) 64

ფერილები

ლადო შარაშიძე — ბათუმის საბატიო მოქალაქე 84
ნუგზარ მგელაძე — ქართულ გვარეულობათა კვალდაკვალ 87
ილიას „ივერია“ წერდა 92
გასულ ორ თვეში 94

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „ფანჯრიდან“. მხატვარი ნინო ნიჟარაძე.

ჟურნალი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გიორგილაძე,
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
შოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 24. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 5.01.90, ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.02.90, საგამომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 11, ემ 01735, ქაღალდის ზომა 60×90 1/16, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობა პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР, Батуми, ул. Горького, 91

ჯემალ ჯაყელი

ᲛᲘᲗᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲔ ᲯᲕᲐᲠᲘ

19.6.36

ლექსების ეს ციკლი 1989 წლის პოეტური მონაგარის მცირედი ნაწილია და მას დიდი მოკრძალებით ვთავაზობ ჩემს საყვარელ მკითხველს. ამ ციკლში შევიდა ლექსები „გონგი“, „მეფეო დავით“, „ქართვლის დიდება“ და სხვ.

დიახ, გონგი! ეს არის მეტად მომთხოვნი ხმა ახლებური აზროვნებისა, ინდივიდის, პიროვნებისა და კოლექტივის ფენომენთა ახლებური გააზრებისა. აქამდე თუ ხიდს სულ ალმა ყურებით გადავდიოდით, ახლა წინ დავიხედეთ და, ღმერთო, შეგცოდე, დავინახეთ ცხოვრების ულამაზესი მდინარეცა და უფსკრულიც, ბაზალეთიცა და ჩაბალხეთიც, სადაც დევების დაშინებული ბადრი, უსუბი და ამირანი „ჩაეყარნენ“, ობლად ბოყირობდნენ და მაინც დაიზარდნენ, ყამარის მამის ლაშქარში დაიხოცნენ და მაინც გაცოცხლდნენ, გაცოცხლდნენ, რომ იარონ, დააბიჯონ დავითის გულზე, რომ ერის მამამ იგრძნოს მარადიული არსებობა და აღზევება ქართველთა!..

ისევ! ისევ გადაიშხაპუნებს საქართველოზე რენესანსის ოქროს წვიმები და არ გათავდება შაგრენის ტყავი, არ იქნება სიცოცხლის დასასრული, რადგან გვჯერა. „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“! და თუ არ შედგება წამიერება, ნელა მაინც ჩაივლის, რომ შევძახოთ, — შენ მშვენიერი ხარ!!!

ᲒᲝᲜᲒᲘ

გაისმა გონგი... რაღაცა ხდება...
სულში ქიმერის სიბნელე წვეთავს.
დაარტყეს გონგი...
რაღაცა ხდება...
რა არის, ანდა რა ხდება ნეტავ?
და ისევ... გონგი!
ალვების რიგი
თრთის თავის ბედზე და თავის რიგზე.
იქნება, სადმე ზანზარებს რინგი
ან იქნებ, ვინმე ეცემა რინგზე!
იქნება, იჭვი ვნებას ამდორებს,
იქნება, შიში იჭვებს აება.
იქნებ, შემოჰყვათ ტორეადორებს
ცივი სიკვდილის ჭინკა ღვთაება.
იქნებ, იწყება უფრო ფარცაგი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

და არრა გვესმის, ჩვენს თავს რა ხდება!
და რასაც ვვეჭვობთ, იგი საძაგი
ცუდ სიზმარივით გაგვიცხადდება.
ფრთხილად!
ისევე დაარტყეს გონგი...
რაი არს დარი, რაღათუ ავდრობს.
მალემშველელი წმინდა გიორგი
ზის და გატეხილ სასწორზე დარდობს.
დაარტყეს გონგი!
თითქოსდა სხაპი
ძგერს, რომ არწივი მიაბას მჭიდროდ.
იქნებ, აბორგდა სამივ ვეშაპი,
რომელზეც ჩემი იმედი მკვიდრობს.
უნეტარესი ზეცა და მთები,
იქნებ, ირყევა და ვერა ვხედავ.
ახალი ჯვარი შეჰკარით თმებით
დედაო ღვთისავ და ქართვლის დედავ!
შეჰკარით ჯვარი ახალი ვაზის,
ყველაზე ახალ იმედს რომ მოშკის.
ვაი, რომ მხარზე არწივი მაზის
და მაინც მაკრთობს გუგუნი გონგის...
გუგუნებს,
ისევ გუგუნებს. გონგი,
მინათებს, თანაც მიბოლებს კვარი.
მალემშველელო წმინდა გიორგი,
მთლად საქართველოს დასწერე ჯვარი!

მეფეო დავით

მეფეო რანთა, აბხაზთა, კახთა,
მთლად საქართველოს მეფეო დავით!
ნაოცნებარი მრავალი ახდა
დროსთან პირისპირ კამათით, დავით.
დავდივართ შენი საფლავის გულზე,
რომ გაგრძნობინოთ სიცოცხლე ქართვლის,
შორსგამხედავი თვალებით ვუმზერთ
მომავლის ხმალს და მომავლის მანდილს.
მოდის თაობა, მოდის და მოდის,
ვაი, რომ ზოგი — ბინძური ფეხით,

მხოლოდ ქშედება!.. ცარიელ ლოდინს
არ შეუქმნია ღონე და ხერხი!
მთლად საქართველოს მეფეო დავით,
მეფეო რანთა, აბხაზთა, კახთა,
უბედურების თავი და თავი
ესაა, დიდი ერთობა წახდა.
რაით დარჩების ბეჩავი ხვალი,
თესლი სიმართლის საით ჩამარხეს?
ადექ, მოგვაპყარ პატრონის თვალი,
თორემ დევები მოვლენ ჩაბალხეთს!..

ქართვლის დიდება

ფრთასურნელების სერაფიმებმა
დადგეს ნათელი კავკასის ქედზე
და რენესანსის ოქროს წვიმებმა
გადიშხაპუნეს ივერის ბედზე.

გადიშხაპუნეს უშურველობით
მზის ნათელის და შიოს მარანის,
ზმანების ავის უსურველობით,
მაძიებელი სულის ფარანით.

და საკუთარი დასდეს იერი,
ვით ცისარტყელა ოქროს ტაეპის
და აამაღლეს დიდი ივერი
მთლად საქართველო — მიწა ღვთაების.

მერე...
მოეშვა ჩანგის სიმები
და საბერველი გაცივდა ქურა.
მერე...
გადიღო ოქროს წვიმები
და მერე გვალვამ დაისადგურა.

...მაგრამ იმედის სერაფიმები
ისევ მოხსნიან სულის კირთებას,
ისევ წამოვა ოქროს წვიმები
და აღზევდება ქართვლის დიდება.

* * *

იჩქარე,
მოდი,
ძალა კრებითი
შეუპოვრობით სავსეა ზვავის.
უკვე თავდება ნდობის კრედიტი,
როგორც საბრალო შაგრენის ტყავი.
თავდება...
გიხმობ...
იჩქარე...
მოდი...
აქეთ, ძვირფასო, სინათლე აქეთ!
ასე ყოფილა ოდითგან ოდით, —
სიტყვა მაგიობს ჭეშმარიტ საქმით.
შემცივნულ იმედს ცივი ქარები
წერს და შლის, როგორც ბავშვი საშლელით
და იაიებს, ურცხვად გაქელილს,
არა და ალარ ადგას საშველი.
ტაშს მთხოვს თედორე, ჯილი, ედიტი,
ყველასი ერთად შენდობა მიჭირს.
უკვე თავდება ნდობის კრედიტი,—
მოთმენისა და მოსმენის ნიჭი.
იჩქარე...
მოდი...
სხვა ავბედითი
სისამის ფერით სავსავებს სვავი.
უკვე თავდება ნდობის კრედიტი,
როგორც საბრალო შაგრენის ტყავი.

არა არს ჟამი

არა არს ჟამი ამიერ
მაჯათა სუსტად ცემისა,
არც ოდენ „მრავალჟამიერ“
სიმღერის ჭერით ცვენისა.
არა არს ჟამი განცხრომის
და ვნებიანი ღამისა.
ოდენ ღვეზელის დაცხობის,

ოდენ სმისა და ჭამისა.
ახლა ჟამია აზრისა,
წვდომის ძალების მოკრების.
ახლა ჟამია დაზრდისა
ალგეთს ლეკვებისა, ბოკვრებისა!
ვიდრე მზე სულ არ ჩავიდა, —
ეს მაგიური გენია,
დროა, დაიწყო თავიდან,
საწყისად რაც დაგრჩენია,
თორემ კამეჩი იზრდება,
ძნელდება მისი რქენანი.
ცოტაც და... გვიან იქნება
ოხვრა და თითზე კბენანი!

მესხეთო ჩემო

მესხეთო ჩემო, ხავსისფერი ხავსის ზმანებავ,
სათოფურებში გარჩენილო ყვავის ბუდენო,
ძირძველო დარდო, დარხეულო მწუხრის ზარებად,
დროთა მსახვრალთა და ტაძართა ძელნო მურუდენო!..
მესხეთო ჩემო, ჩამოშლილო სიმწრის დარდებო,
ქვათა ქვითინით დაფანტულო სულო სიბრძნისავ,
სიშორისა და მონატრების სენგადამდებო,
საწუთროვ, ხანაც მზის რონინის, ხანაც სიძვისავ!..
ჯაყის თალებში შეფრენილო მზევ და სიბნელევ,
სანთლის წვეთივით დაღვენთილო იმედის წვეთო,
რვაასწლოვანო, ეკლოვანო გზათა სიძნელევ,
უმეცართაგან დამცრობილო გენო და ღმერთო!..
გალავნის პეწში ჩარჩენილო ლომის ქანდაკო,
ეშვთა მომტვრევით სიძვის ჟამთა თეთრო ხარებავ,
მესხეთო ჩემო, უღვიძარო სულო ქადაგო,
შენ, საფიცარო, სანუკვარო და საბარებავ,
შემინდე, შენი მონატრების სულს ვეკვნესები,
შენი დიდება უკვდავებას ერისას ერთვის.
ისე გამძლე და მარადია შენი ფესვები,
როგორც თამარი, როგორც შოთა და ნება ღმერთის.
შემინდე, შენი მონატრების სულს ვეაჯები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შენს ქვაბატზე შემეპარა სურო ვიწყების.
მე დიდქართველი, შენი გენით, სავსე მაჯებით,
შენთან ვთავდები და ისევე შენთან ვიწყები.
დგახარ მოწყენით ბებერი და მაინც მოზავთე,
თვალებჩამქრალი და სიმართლის მაინც თემიდა.
ბევრი მძულვარი შენს ლიბოსთან მოცხრენ, მოზავდნენ
ცოდვამდინარნი ტერფებამდე ბინძურ თხემიდან.
შემინდე, თუკი შენზე ძვირი წაიასპიტეს,
ვერ გიპატრონე და ვერ გექმენ ხმალად ნალესად.
ისე დიდია შენი სული, ვიცი დაიტევს
მონარქის შხამსაც და მირონის სიანკარესაც!

მესხეთო ჩემო, ბასტიონო ოდეს ნათელო,
სახელი შენი ტკივილია ქვეყნის მარადი.
შენი იმედის ძელზე იდგა მთლად საქართველო,
თვით იმსხვრეოდი, ჯვარ-ხატივით მას იფარავდი.
შემინდე, ქვებში შემონახულ სულს ვეაჯები,
ფრთა მონატრების ჩიტივით რომ ვერ მოგაბალე.
ჯვარი გეწეროს, გაგიმთელოს ზენამ ფანჯრები,
ჯვარი გეწეროს, შენს კურთხევად თავი დავხარე!!!



დაბრუნება თავისთავთან

რომანის ფრაგმენტები

ხარის შეწირვა

მგონი, ოცდათვრამეტის ზაფხული იყო.

ახორს ჩვენი ოდის ქვედა ნაწილი ეკავა. იატაკის ღრიჭოებიდან ფუნის და საქონლის მძაგე სუნი მთელი დღე-ღამე ამოდიოდა, თუმცა, შეჩვეულები, ამას ვერ ვგრძნობდით. ახლა, ივლისის მიწურულს, როცა მთელი მსხვილფეხობა და წვრილფეხობა მთაში, იალაღებზე, იყო გაკრეფილი, გამომხმარ-გამომშრალი ბოსლიდან აღარც ეს სუნი იგრძნობოდა. ამის გამო, მიჩვეულებს, გვეგონა სახლში რაღაც დაგვაკლდა. სხვა ჰაერს ვსუნთქავდით თითქოს.

გამთენიას ძილში ჩამესმა ვიღაცების უცნაური ჩურჩული და საქონლის ფეხის ბაკუნი. ამ ხმაურში მამა უმალვე ვიცანი.

— დღეს კურბნის დაკვლას არავინ შეგვარჩენს, ხომ იცით, არა? სუყველას აგვწევენ, მოგვხვეტავენ, დევიკარქებით და რად გინდებიან ტყვილაი... ამფერი მადლი მადლია? — ამბობდა ბაბა.

— აბა, დევიწყოთ ხელები გულზე და ვუყუროთ, მიწას გვალვამ ყიაში რომ წუჭირა და ახრჩობს? — ეუბნებოდა მეზობელი, — წყალი თლათ დაპატარავდა, ციდანაც ნამი არ ვარდება, ხომ ხედავ?

— ვხედავ, ჰო, ვხედავ, მარა ლოცვა-მარხვაზე თავრობა ჯავრდება, ხომ იცით.

— ეს ლოცვა-მარხვაა? ეს არც მღვდელს მოუგონია და არც მოლას. ეს გამჩენმა დაადგინა... იცი და რაღას მაბლაყუნებ. — შევატყვე, ცოტათი გაჯავრდა მეზობელი, — ჰა, შეხედე, ბუნებამ, გამჩენმა მოგვთხოვა ვალი,— წყალი თლათ იწრიტება. ცამ პირი ამოიკერა. ამოვთუთქოთ ყანა-ბაღჩა?!

წამოდგომა მეშინოდა, ფეხის ხმა ახორში არ გაეგონათ. ძაინც წამოვდექი, მუხლებზე ამოჯენჯღილი შარვალი ამოვიცვი, ხვანჯარი შევიკარი, ზემოდან ჩემი დაძველებული ჩითის პერანგი გადავიცვი და ფეხაკრეფით გარეთ გავედი. იქ, ეზოში, კიდევ ვიღაცები მოსულიყვნენ და, მგონი, ფარულად რაღაცაზე თათბირობდნენ. მიკვირდა, ჩემი უფროსი ძმა, მურთაზი, ამ ხალხში რომ არ ჩანდა. მერიდებოდა, მამას თვალში არ მოვჩროდი.

ძმასთან ერთად მინდოდა ყოფნა, მაგრამ იგი არა და არ ჩანდა. იქნება, მას რამე დაავალა და სადღაც გაუშვა? ვინ იცის, შეიძლება! იქნება, უბრალოდ, ახალგაზრდა კაცი, ახალმოთოთოებული კოლმეურნეობის პირველ მერგოლურად დასაწინაურებელი, ამ უძველეს „მავნე გადმონაშთში“ მონაწილეობას მოერიდა, მიიმალა, რადგან, შეიძლება, მერე ამისათვის პასუხიც აგებინონ და მეტიც უქნან, — მთლად გაუფუჭონ მომავალი.

ისედაც გულნატკენი და ბედისგან დაჩაგრულია ჩემი უფროსი ძმა, მურთაზი. სიყვარულით ამორჩეული გოგო, თითქმის დანიშნული საცოლე, მერიემი, ანუ როგორც თავად ეძახოდა — „ჩემი მარიამი“, მამამ იმ დღეებში შინ ჩაკეტა, გარეთ აღარ გამოუშვა, — მაგ ფიჯ, გაფუჭებულ მურთაზას არ მიგცემო. არ იკითხავთ, რატომ გაჯავრდა მერიემის ბაბაი? ათიოდე დღის წინათ ჩემმა უფროსმა ძმამ წყაროსთვალიდან ჩამომდინარე ის ერთადერთი სარწყავი წყალი თავის გამოგვალულ საკარმიდამო ნაკვეთში გადაუშვა. ბიჭი ფიქრობდა, გამთენიამდე ვადენ წყალს, ამით ხომ არავის არაფერს დავუშავებო. მაგრამ, თურმე მერიემის ბაბასაც სწორედ ამ დროს ჰქონია მიშვებული წყალი. განთიადზე ყანაში წასულს რომ უნახავს, წყალი დაწყვეტილი იყო, გადარეული ავარდნილა სათავეში, იქ მურთაზაი დახვედრია და უთქვამს: — ეს შენ ქენი, ხომ?! ეს გამიბედე, კოლექტივის სათუთუნე ნაკვეთში ჩემი მიშვებული წყალი მომიჭერი, ხომ?! კოლექტივს ანგრევ, ხომ?! კოლექტივი ფეხზე დაიკიდე და, მასთან ერთად, მეც ხომ?! ციმბირი უკან დაგრჩება, იცოდე! ჰარამია შენთვის ჩემი მერიემი, არც გეღირსება! ამფერი სიძე მე არც მჭირდებაო, — ჩაიღმუვლა მერიემის ბაბამ, რუდან პეშვით ტალახი ამოფჩხნა და ესროლა სახეში.

ჰოდა, ამის მერე ჩემი უფროსი ძმა, მურთაზი, აქაურობაში როგორღა გამოვიდოდა?

* * *

შუადღეზე სიცხემ იმატა. მინდვრის მწერები გაბმულად ჭრიჭინკრუალებდნენ, ნიავი არ იძვროდა, ირგვლივ ფისის სუნი იდგა.

მამაჩემმა ახორიდან ბაწარწაბმული ხარი გამოიყვანა და ეზო-კარს ერთგვარი შიშით მოავლო თვალი, — ვინმე საბჭოდან ამოსული ხომ არ მხედავსო.

წითელი წარნაქით აჭრელებული შავი ხარი მედიდურად მიდიოდა. დაკუნთული, ულლით დაღლილი, დაძირკვული, გაუხეშებული, მაგრამ ლამაზი და მედგარი ქედი ამაყად აღემართა მაღლა..

მამაჩემმა ხარი ძველებურად სოფლის შუაგულში გაატარა, მაგრამ ნასაყდრალზე, მედრესესთან რომ კანტორაა, იქ აღარ შეაჩერა, პირდაპირ ზეგნისაკენ მიმავალ გზას გაუყენა.

სოფლის მოხუცები, ქალები, ბავშვები ეზოებიდან უხმაურად გამოდიოდნენ და ზეგნის გზაზე გროვდებოდნენ, იცოდნენ, რისთვისაც მიჰყავდათ ხარი და ყველას შიში ეხატა სახეზე.

მამას უთქვამს, რაც ჩვენი სოფელი გაჩნდა, იმ უხსოვარი ხანიდან დღემდე, იმ ადგილს, საიდანაც ეს წყარო ამოჩქეფს, ყოველწლიურად, გვალვიან თვეში, ჩვენი სოფლის ხალხი თითო ხარს წირავსო.

— რატომ მაინცდამაინც ხარს? — ვეკითხებოდით ბავშვები.

— ხალხში ამფერი თქმულებაა, — გვიხსნიდა მამა, — ოდესღაც ათას წელთა იქით, ამ სოფლის პირველმოსახლეებს ზეგანში, საძოვარზე, საქონელი გაურეკავთ, შუადღის პაპანაქება სიცხეში საქონელს წყალი მოსწყურებია, წყალი ვერსად უპოვნია. ერთი ყველაზე ლამაზი, ძლიერი, შავი მოზვერი თურმე ჯოგს გამოეყო და წყურვილით გახელებულმა ერთ ალაგას, მთის ძირას, მიწაში რქებით ბურღვა დაიწყო, თითქოს დედამიწას ემუქრებოდა, — მომეცი წყალი, თორემ შუაზე გაგფატრავო!

უცებ, მთის გაღადრულ უბიდან, თურმე ანკარა წყარომ ამოხეთქა. წყარო კი არა, მთელი ნაკადული იყო. წყალი შადრევანივით შეესხა მოზვერს პირზე. დაღლილი, წყურვილით სასომიხდილი ცხოველი თავდავიწყებით დააცხრა წყაროს. ხვრიპა და ხვრიპა-მიწის გულიდან ახალამომსკდარი წყაროს წყალი, დაოკება-გაძღომა ვეღარ გაიგო და თავისივე აღმოჩენილ წყაროს ზედვე დააკვდა.

იმ დღიდან მოყოლებული, ხალხი ყოველწლიურად, გვალვიან თვეში, ამ წყაროსთვალთან შესაწირ ხარს ამოიყვანს და, ზეციერისადმი მადლობის ნიშნად, დაკლავს..

ამბობენ, ამ მადლის აღსრულებისთანავე, წყალს ემატება და ხშირად წვიმაც წამოვაო.

ეს ყველაფერი კარგად მახსოვდა, ამიტომაც, ხარის შეწირვაზე დასწრება, ხარის დაკვლის საკუთარი თვალით ნახვა, ძალიან მაინტერესებდა.

ისიც ვიცოდი, ხარის შეწირვა რომ აიკრძალა და ვინც ამას ჩაიდენდა, დაიჭერდნენ.

ხალხში მერიემის მამაც შევნიშნე, იგი ძალიან გზლახა თვალით მიშტერებოდა მამაჩემს.

— მოდი, ჯღამა, მოდი, ჰო, ვოში, მობარექო (მადლიანო). ჰაით, ადი, ჰო, ადი. — მოფერებით, ძალით, ხვეწნით მიჰყავდა მამას ხარი აღმართში.

ჯღამა-ხარი კი დინჯად, მოზომილად მიაბიჯებდა. გადამეტებულ ჯაჯგურსა და შეძახილებს ყურსაც არ უგდებდა, თითქოს თავადვე გრძნობდა, თითქოს თავსაც კი იწონებდა ამით.

მთელი სოფელი გამოსულიყო გარეთ. ბევრს პატარა ჩხირის კავი

წინასწარ გამოეთალა და ხელში ატრიალებდა, კურბნის (შეწირული ხარის) ხორცის მისი წილი ნაჭრის წამოსაცმელად.

მე მამაჩემს მივყვებოდი უკან, ვხედავდი, როგორ გავსებულიყო ხალხით ალმართიანი გზა, როგორ მოაბიჯებდნენ მდუმარედ სოფლელები წყაროსთვალისაკენ.

უცბად ჩემი თვალები მერიემის მამის თვალებს შეეფეთნენ. იგი თითქოსდა ცალკე იყო, — გვერდიგვერდ მოაბიჯებდა. ტანში დამჭინჭრა, რატომღაც ცუდი რამე მიგრძნო გულმა.

უკან მომავალ ხალხში მერიემიც შევნიშნე. ეტყობოდა, მამას ემალებოდა. იაზმა შუბლზე შემოეხვია და გოგოების ზურგს ამოფარებოდა. მურთაზი კი მაინც არსად ჩანდა.

მე კარგად ვიცოდი, როგორ უნდოდათ ერთმანეთი მურთაზსა და მერიემს. იმათი ჩუმი შეხვედრების მოწმე მეც ვყოფილვარ. მურთაზი რომ საბძლისაკენ გაძვრებოდა თამაშ-თამაშით, მაინცდამაინც მე დავლანდავდი. რაღაცნაირი ცნობისმოყვარეობის მოულოდნელი ციებ-ცხელება ამიტანდა. ღობე-ღობე ჩავცურდებოდი, ავახტებოდი საბძლის დაძველებულ, ფარღალალა კედელს და უმალვე ჩალის ღერეტებით გამოპენჭილ ჭერში გავჩნდებოდი. იქიდან ჩალმა დაწოლილი ჩავცქეროდი ძმას. რამდენჯერ ტყვილა მდგარა, კაიხანს უცდია, მერიემი არ გამოსულა.

ერთხელ, მახსოვს, გოგო მოვიდა, ბინდი ჩამომდგარიყო და დაბალი ნისლიც შემოწოლოდა ფერდობს. საბძელი სანახევროდ ნისლში იძირებოდა, გეგონებოდა, ბუნებაც შეყვარებულთ ეხმარებოდა.

— არ მომდვა ხელი, — შიშით ითხოვდა მერიემი.

— ხელი არა, გულში მინდიხარ, იცი? გულში ჩაგისვა მინდა. — კვნესოდა მურთაზი.

— მაგრე ნუ მებნევი, ვიტირებ... — მესმოდა გოგოს ჩურჩული.

— ახლა ისევ კაცი უნდა მივუგზავნო მამაშენს.

— მალე, თვარა ერთი დადის... და გვიან იქნება მერე. — ჩიოდა მერიემი.

— ვინაა?! — აღშფოთდა მურთაზი.

— არ ვიცი მე, ვინაა. დადის-მეთქი, გებნევი... ისე, მგონია, ხიჭავრელია. — გააფრთხილა მერიემმა.

გავიდა ხანი, საქმე მოგვარდა. როგორც იქნა, დაითანხმეს მერიემის მამა. მაგრამ ახლა?..

იმ ძველი მითის, ლეგენდისა თუ თქმულების მოყოლისას, მამაჩემს ისიც უთქვამს, იმ ხარის შეწირვაზე ხალხს ოდითგან ყოველთვის წინ მიუძღვებოდა სოფლის ერთი რჩეული წმინდაკაცი, მქადაგებელი, წარმართობისას — ვინმე ნაფიცი, ქრისტიანობისას — მღვდელი, მუსლიმანობისას — მოლა.

იმ დღეს კი ისეთი არავინ ჩანდა, ხალხის სათხოვარი ღმერთისათვის რომ ეთქვა. მაგრამ, მოულოდნელად, ცოტაზე რომ ავმაღლდით, ვხედავ, წიფლნარიდან ვიღაც ყაბალახწაკრული წვეროსანი კაცი გამოვიდა. იმნაირი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, ბერიკაციაო, ვერ იტყოდი, თუმცა ყველაფერი ბებრული ემოსა.

სწრაფად მოვიდა, მამაჩემს ხელიდან გამოართვა საბელი და ახლა უკვე ხარს თავად წაუძღვა. ყველანი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ უცნობს.

იგი ხანდახან ცას მიაპყრობდა მზერას, თითქოს რაღაცას შესთხოვდა, მაგრამ სიტყვები ჩვენამდე ვერ აღწევდა.

წყაროსთვალს რომ მივუახლოვდით, იმ ყაბალახიან-წვეროსანის ხმა უფრო მომძლავრდა.

მამაზეციერს შეჰღაღადებდა: — ღმერთო მაღალო, ცისა და მიწის გამჩენელო, შეისმინე მუდარა ხალხისა, მოიღე მოწყალება, მოუმატე წყალი წყაროთვალსა და გააძლე მიწა წვიმითა, აგვივსე ნალია-ბელღები მოსავლითა, რომ დავიბრუნოთ რწმენა და აღვიდგინოთ სიყვარული ერთიმეორისა... სიყვარული ერთიმეორისა..: სიყვარული ერთიმეორისა!::

აუწია და აუწია ხმას. ნიავმა ხეები ააშრიალა. მეგონა, დედამიწამ სული მოითქვა. ის ხმა თითქოს მეცნო, მაგრამ ვერა და ვერ მივხვდი, ვისი იყო.

— აამინო, — დაიგრგვინა ხალხმა და ეს ხმა დელგმასავით მოედო ხეობებს.

საკურბნე ხარიც ოდნავ შეკრთა, ყურები შემართა, თავი მაღლა ასწია, თუმცა ნაბიჯი არ შეუნელებია.

წყაროსთვალთან, სადაც მცირე გინდორი კორდით იყო მომწვანებული, ჯლამა-ხარი გაბორკეს, თუმცა გაბორკვა არც სჭიროდ', ცხოველმა თავისით მორჩილად დაიმუხლა და კაცთა ნებას დაენდო.

წელანდელი ნიავი უფრო მოძლიერდა, ცაზე ალაგ-ალაგ ღრუბლის ბულულები დავინახეთ.

— ხარს შენ გწირავთ, წყაროვ, ამოდუღდი უფრო მძლავრად, რომ დარჩენილი წყურვილი მოუკლა და ამყოფო ამ მიწაზე მარად... სიყვარული ერთიმეორისა, სიყვარული ერთიმერისა!.. მაშ, უფრო მძლავრად ამოდუღდი, წყაროვ.—ამინ!—თქვა ყაბალახმოხვეულმა წვეროსანმა და ვიღაცის მიწოდებული გალესილი დანა ხარს ყელში გამოუსვა. შემეცოდა ხარი და სიმწრისა თუ შიშისაგან ჩუმად ავტირდი.

ვიღაცამ ხარის თავი წყაროსთვალთან მიიტანა, ტუჩი წყალში ჩააყოფინა და ასე დატოვა. დაღონებულმა მთის გადაღმა, ცაზე მიბჯენილ გვანცას კლდეებს დავუწყე ცქერა,

რა მაღლები, რა მძლავრები, რა მიუკარებელნი და თანაც რა ახლობლები არიან ჩემთვის ეს კლდეები!

ნენეი მეტყოდა, რომ აქ ოდეს ზღვა მდგარა, გვანცას კლდის წვერები ჩანდნენ მხოლოდ, მაშინ გემს აბამდნენო აქა, ამბობენ, დიდი ჯაჭვის ნაგლეჯი ახლაც შერჩენიაო ერთ კლდეს. წვერზე თუ ახვალ, კიდევ ნახავო. ჩემთვის კი მიფიქრია: გინდ შევძლო, არ ავალ; ჯაჭვის ამბავი ტყუილი რომ გამოდგეს, ძალიან მეწყინება-მეთქი.

მაგრამ ბავშვობიდან ყველაზე უფრო თვით იმ საწყალი გვანცა-გოგოს ლეგენდა მტანჯავდა. თურმე ჩვენ სოფელში ისლამ-ოსმანთა მოსვლას, ვინაც შეძლო, გაექცა. ერთი ახალგაზრდა გლეხკაცი ცოლით და პატარა გოგონათი, გვანცა რომ ერქვა სახელად, წყაროსთვალის ბილიკით იმ კლდოვან მთებისაკენ წასულა, იქიდან მალულად იმერეთს ან ქართლს უნდოდა გადაპარულიყო თავისა და რწმენის გადასარჩენად. დაუღამდათ. კლდის თავზე, მეჩხერ ტყეში, დაჯდნენ დაღლილებმა დახავსებულ მორზე მიდეს თავი.... გვანცა ბუჩქებში გაძვრა, დედი, წამომყევიო, თქვა და სიტყვა შუაზე გაუწყდა, სადღაც უფსკრულში ჩაიკარგა. ეცნენ მშობლები ამ ბუჩქებს, იმ ხეს, ლოდებს, მაგრამ გოგონა აღარსად იყო.

— გვანცაააა! — გმინავდა გადარეული მამა.

— გვანცაა! — ქვითინებდა დედა.

გვანცა კი კლდოვანი უფსკრულიდან ვეღარავის აძლევდა პასუხს.

ამბობენ, შვილის დაკარგვით შეშლილი მშობლები დღესაც იმ ხევხუვებში დაეხეტებიან, გვანცას ეძახიან, გვანცას ეძებენო.

ამიტომ შერჩა იმ კლდეებს ეს სახელი.

კარგად მახსოვს, ხარის ხორცი რომ პატარა ნაჭრებად დაიკეპა და იქ მყოფთ დიდ-პატარაზე განაწილდა, წვეროსანმა ყასაბმა ზეცაში აიხედა, სისხლით მოთხუპნული მკლავები აღმართა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს სადღაც ზემოთ დაიგრუხუნა და ელვამ წკეპლა გადაჰკრა შავად აცუდებულ მთას.

მზე ჩადიოდა. ხალხი არ იფანტებოდა. ყველანი იმ უცნობსა და თანაც თითქოს ნაცნობ წვეროსან-ყაბალახოსან მოქადაგე ყასაბს შესცქეროდნენ. რაღაც დიდსა და მნიშვნელოვან რამეს მოელოდნენ თითქოს. ეს მნიშვნელოვანი კი თითქოს სწორედ იმ ყაბალახოსანზე იყო დამოკიდებული. ხორცი საკეპელაზე აღარ ჩანდა. საჩეხ მორზე ერთადერთი ნაჭერი შევნიშნე. ეს, ალაბთ, დამკვლელმა თავისთვის თუ დაიტოვა-მეთქი, გავიფიქრე,

ამ დროს ცამ კიდევ დაიგრუხუნა და ლოყაზე დიდი წვეთი დამეცა, მალე მეჩხერი, ხოშორწვეთება წვიმა წამოვიდა. ხალხი ახმაურდა. სიხარულით ახმაურდა. ქალები, ბავშვები წყლის მომატების გასაზომად ჩასობილ ჩხირებს აძრობდნენ და წინანდელ ამონათალზე მაღლა რომ ხედავდნენ წყალს, მხიარულად ყვიროდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოემატა, მოემატა!. გადიდდა წყარო!..

წვიმის წვეთები კი უფრო გახშირდა, ნამდვილ ჟუჟუნა თავსხმად იქცა. ყიჟინითა და შეძახილებით ხალხმა სოფლისაკენ იბრუნა პირი.

მამაჩემმაც მიბიძგა, წავიდეთო, ხორციანი კავი დამივარდა, ატალა-ლახებულ მიწაში ამოისვარა. დაამარილაო, იცინოდნენ ბავშვები აქეთ-იქიდან.

ყაბალახოსანი ყასაბი სულ გაილუმპა წვიმაში, მაგრამ ადგილიდან არ იძროდა, სადღაც იქით, გოგონებისაკენ, იყურებოდა. ამ დროს წვიმამ ყბე-ბიდან წვერები ჩამოაძრო (თურმე მიწებებული იყო) და მე სახტად დავრჩი.

— ბაბი, შეხედე, მურთაზია! — ვიყვირე და მამაჩემს მივეკარი.

ჩემი უფროსი ძმა, მურთაზი, კი მშვიდად იდგა, თავიდან ყაბალახი გადაიძრო და სქელი ქოჩორი შხაპუნა წვიმას შეუშვირა.

მურთაზი სისხლით მოთხუპნულ ხელებს წვიმით იბანდა. ყველანი გა-ოცებით შესცქეროდნენ.

იქით მერიემის მამა შევნიშნე. როგორც კი მურთაზი იცნო, ბოროტი მზერა მოაცილა, ხალხში შეერია, გაუჩინარდა.

მამაჩემი გაშტერებული იდგა. საიდანღაც მერიემი გამოვიდა. წინ ჩაგვიარა და ამ ამბით გაოგნებული, გალამაზებული, მურთაზის წინ გაჩერ-და. მეგონა, წარმოდგენას ვუყურებთ-მეთქი, ისეთი რამ ხდებოდა.

არა, ჯადო, მადლი სიცოცხლის გაგრძელებისა მაინც ყველაფერში ცხადდება და მძლავრდება მუდამ.

მერიემიც მურთაზის მოყვანილი წვიმით სველდებოდა, კულულებიდან ლოყებზე, კისერზე პატარა ნაკადულები ჩამოსდიოდა. ტუჩებით წვეთებს წრუპავდა.

—ჩემო მარიამ, ეს შენი წილია, ჰა. — მურთაზმა ის ერთი ნაჭერი ხორცი ჩხირის კავზე წამოაცვა და მერიემს გაუწოდა.

მამაჩემი, მურთაზი, მერიემი და მე ერთად დავეშვით შინისაკენ. მე-რიემი სახეს მალავდა, რომ ტირილი არ დაენახათ. ალბათ, ეს სიხარულის ტირილი იყო. გეგონებოდა, ქორწილიაო, ისეთი ჟრიამული მოაცილებდა ხალხს.

მურთაზმა დასველებული მერიემიც შინ, ჩვენს ფაცხაში, მოიყვანა მამაჩემი შეწუხებული შფოთავდა, ნერვიულობისა და შიშისაგან კბი-ლებს აკრაჭუნებდა.

— რათ გინდა ამფრაი მოყვანილი ქალი, ჭო, ა? — საყვედურით ეუბ ნებოდა მურთაზს.

— ქალი წვიმასთან ერთად მოვიყვანე, სხვაფრათ მერიემს არვინ მომ-ცემდა, ბაბავ. — სიხარულით ამბობდა მურთაზი.

— მარიამ, ჩემო, გულში ჩაგისვა მინდა, იცი, გულში? — მესმოდა მუ-რთაზის ჩურჩული სექვებიან ოთახიდან,

კარებზე ბრაგაბრუგი ატყდა. ვერ მივხვდი, მოსვლის ხმაური იყო თუ წასვლისა. ბავშვური ძილი უკვე მეძალებოდა.

დილით ხალისით ავდექი ლოგინიდან, — იმ დღეს პატარა ქორწილს ველოდი, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა მურთაზი შინ აღარ დამხვდა, აღრე მერიემი ჩანდა. განთიადზე ვიღაცები „ქვევიდან, იქიდან“ მერიემის მამის წინამძღოლობით ამოსულიყვნენ და წაეყვანათ. მერიემი — თავის ბაბას, მურთაზი — „ქვეიდან ამოსულებს“.

ბუხართან შავით თავწაკრული დედაჩემი ოხრავდა. მალე ხმამაღლა მოთქმით ატირდა. შიგადაშიგ მერიემის მამის სახელს იმეორებდა წყევლა-კრულვით. რათ უნდოდა წვიმა მეეყვანა, გდებულიყო შინ, არ ერჩიაო? — ჩლუქუნებდა ნენეი მურთაზზე.

— მოტაცება თუ დაარქვეს მერიემის წამოსლას, დამელუპა მაშინ ბიჭი. — ჩიოდა ბაბაი.

მეორე დღეს სოფლელი ბავშვებისაგან გავიგე, — მერიემი მამამისმა ხიჭაურელს თავისი ხელით მიგვარა და სექვეზე დაუჯინა. საწყალი მურთაზა მთელი წელიწადი დაკარგეს. მერე ხელი მოაწერინეს პირობაზე, — კურბანს აღარ დავკლავო, და გამოუშვეს.

ჯოჩების გაყიდვა

ამის შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. მეც კაიხელა მოვიყარე.

აბურდულ-დაბურდულად ხდებოდა ყოველი მოსახდენი. მე კი არა, მგონი, ვერც დიდებმა ბევრი ვერაფერი გაუგეს ამ ამბებს.

სკოლიდან რომ დავბრუნდებოდი, მამაჩემი კარგ ხასიათზე თუ იყო, მკითხავდა, — ბიჭალიავ, რაფერაა თქვენი სტალინიო. მე თავს ჩავლუნავდი, რა უნდა მეთქვა, — რა ვიცოდი, სტალინი რაფრათ იყო. რად მეკითხებოდა, — ვჯავრობდი.

მამაჩემი სტალინს ჩვენად, ახლების კაცად თვლიდა. ერიდებოდა, მგონი, კიდეც ეშინოდა, ბელადზე ჩვენთან რაიმე „გადაბრუნებული“ რომ წამოცდებოდა. ბალნებს ის, აყვარებენ სტალინს, ჰირდამუწული დავდივარ, ელახა არაფერი გამომეპაროსო, იჩივლებდა ზოგჯერ დედაჩემთან.

დიახ, პაწა წამოვიზარდე, „ბიჭალია“ დამიძახა. ამიხსნა. შენ ხომ დუბელები ალიას ბიჭს გეძახიანო, ჰოდა მეც ბიჭ-ალიას დაგიძახებო. ასე მირჩევნიაო.

მურთაზს შემოდგომაზე ქალი დაუნიშნეს, გაზაფხულზე მოუყვანეს. ასეთ დროს არ იციან ჩვენში ქორწილები, მაგრამ მურთაზას ქორწილი მაისში მოეწყო. მურთაზამ ჩვენი სახლის მოგრძო დერეფანს ბოლოში, გარედან, ლამფის პატარა „ბუჭულია“ ოთახი მოადგა, დერეფნის ბოლო კედლის ძელები გამოხეხა და იმ ბუჭულიაში გასასვლელი გააკეთა. იმ პატარა

ოთახის კუთხეში ფიცრის საწოლი გამართა და ზედ ძველი ხალი გადააფინა. ქორწილზე მეჭიბონე მოიყვანეს. მეჭიბონეს მედოლეც მოჰყვა. დოლი მედოლემ ეზოში დანთებულ ცეცხლზე აფიცხა კაიხანს და გადაჭიმულ აპკა-ტყავზე უსვა და უსვა ხაოიანი ხელის გულები.

რამდენსაც აფიცხებდა, იმდენად ხმა იხვეწებოდა, გეგონებოდა, დოლში ხმა მწიფდებოდა, მკვიდრდებოდა, იჭედებოდა. შებინდებულზე ველოდით, მაგრამ მექორწილენი იგვიანებდნენ. მურთაზი შფოთავდა. ხიდის დუქანიდან ბოთლი ღვინო ამოიტანა ვიღაცამ. მალე ითქვა, ღვინო მოლა-ყედირას ბადიშმა ამოიტანაო, იუნუსი საიდანღაც ამოძვრა ჩვენთან. ხელი წამავლო და ტყისკენ წამიტყუა. იქ, ბუჩქებში, სამი-ოთხი ბიჭი გველოდა. მე, რო-

1936

გორც ნეფის ძმა, უფრო პატივში ვიყავი. იუნუსამ ქურცხებიდან (ეკალბარდის ბუჩქებიდან) გამოაძრო თავისი ბოთლი, ხმაურით ამოაძრო საცობი, შარვლის ჯიბიდან ამოიღო ჭიქა და ნახევრამდე ჩაასხა. თქვა:

— გაგვიმარჯვოს, ჭო! — და ტუჩზე მიიდო.

ვიღაცამ დაიყვირა:

— ეგერ, ყედირ-ეფენდი მოდის, ე! — იუნუსა შეხტა. ჭიქა და ბოთლი კინაღამ ხელიდან გააგდო. მაგრამ ხუმრობას მალევე მიხვდა. მოწრუპა, მოხვრიპა, თუმცა მალე ხალისი წაუხდა, შუბლი შეჭმუხნა, ყბა მოეღრიცა, მაგრამ მიტოვება არ იკადრა, — სასმელი ბოლომდე დაიყვანა. მერე ჭიქა მერგო მე. ვთქვი:

— გაგვიმარჯოს, ჭო! — და ღვინო მოვსვი. პირველად სიცოცხლეში. რა გავიფიქრე? რა ასმევენ ამას? მწაქე, მძაგე, მომწარო, მომჟავო სითხე ჩამდინდა ყირყიტონში და ცხელ-ცხელი თქორები მოასხურა შიგნეულობას. კინაღამ გული ამერია, მაგრამ მალე გადამიარა და პირში ლუკმის ჩადება მომინდა. იქვე წკეპლას წვერი წავწყვიტე და ავახრამუნე. ცარიელი ჭიქა (ვითომ მთვრალი ვიყავი) მოვიქნიე და ხეს ვესროლე, მაგრამ დავაცილე. ბალნები გაიქცნენ, ჭიქა მოძებნეს, ნახეს, უკან ამოიტანეს. თავთავისი ყველამ დალია და ზევით ეზოში თოფით გავარდა. მაყრულმა იქუხა, დედოფალი მოიყვანეს, ყველანი აღმა გავიქეცით.

ქორწილზე ახლობლებმა, სიძეებმაც, ყოჩები მოგვიყვანეს საჩუქრად. წარნაქით აჭრელებული, რქებხუჭუჭა. სქელდუმიანი, ყოჩაღურად მობაკუნე ყოჩები. ახორში ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ჭახა-ჭუხი მექორწილეებსაც კი ესმოდათ.

დიახ, საკლავი იმდენი მოგვივიდა, ნაქორწილევს შვიდი-რვა ყოჩი ხელუხლებელი დარჩა.

რამდენიმე დღეში კი, სკოლის არდადეგები რომ დაიწყო, მამაჩემმა დედაჩემს გამოუცხადა.

— დედაბერო, რაცხა საგზალი გამიკეთე სახვალიოთ, ყოჩები უნდა გადავდენო და ბათუმში დავყიდო, თვარა დეინახავს მაგათ თავმჯდომარე და...

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მე სექვეზე ვიწექი, არ მეძინა, ბაბაი კაი ხასიათზე მომეჩვენა, მოვიდა, ჩამომიჯდა.

— ა, ბიჭალიავ, წამომყვები ბათუმში? შეგიკერო ახალი ქალაბანი? თუ იარ ფეხით, შეგიკერავ. ჩამოვკიდოთ ეჟვანი ერთ ზიანქარ ყოჩს და რაჟლა-რუჟლით გუუყვეთ გზას.

ზეცას ვეწიე სიხარულით. წამოვჯექი და ბაბას გათეთრებულ წვერიან ლოყაზე მივეხუტე. იმანაც მარჯვენა ხელის ლავაში ზურგზე მომიბრაგუნა.

— მოკვდება ბალვი ამხელა გზაზე, ფეხით, — ოხვრით დაიჩივლა დედამ.

— არ მოვკვდები, არა! წავყვები, ნენი, წავყვები, ზღვას დევნახავ, ქალაქს დევნახავ, მატარებელს დევნახავ, გემს დევნახავ. მინდა, ნენი, მინდა! — ავტყდი.

მამაჩემმა ბალნიანი საქალამნე ტყავის ნაჭერი ჭაშტის წყალში ჩაალბო. ბალანი არ გაფხიკა. ხრეშიან გზაზე ბალანი კაიხანს გატარებსო. დილაზე შავბალნიანი მესხურაი ქალამნები ქერქისაგან ნაგრეხი თასმებით კარებთან ეწყო. იქვე ეყარა ღაზლის ძველი, მაგრამ კარგად გამოკემსილი წინდები. იალუნზე გამალვიძა ბაბამ, ჯერ ფეხის ცერზე მომიჭირა ხელი, უმალვე გავაჭყიტე თვალი. მიყურებდა, იცინოდა, რატომღაც სიცილისას ორივე თვალზე თითო კურცხალი მოასველდებოდა. ასეთ წუთებში ისე ლამაზი იყო მამაჩემი, მომინდებოდა ჩავხუტებოდი, — პირი ბუძგნარ ღაწვებზე ამესვ-დამესვა, მაგრამ თავად თუ არ მოისურვებდა, ამას რაფერ გავუბედავდი!

კეცის თბილ-თბილი, რბილ-რბილი პურები (კოლექტივობამდე მონაყვანი ხორბალი შემოგვრჩენოდა) ჩამიკალიბა დედამ სკოლის ჩანთაში და მომკიდა ზურგზე. წინდებში ჩავმალე ბოლომოგლეჯილი შარვლის ტოტები. ჩავისიმსე ზედ ახალშეკერილი ბალნიანი ქალამნები და ეზოში გავედი. ყოჩები ბაბამ გამოუშვა. ერთს, წარნაქით სულ გათხუპნულს, ყველაზე უკეთესად რქებდაკიმანჭებულ ყოჩს, ეჟვანიც ეკიდა კისერზე. ეჟვანი ძველი იყო, ბევრძროხიანი, ბევრთხაცვრიანი რომ ვყოფილვართ, ე, მაშინდელი. ბაბას შეუნახავს. ეჟვანი ბნელში ნაგდები და ნათრევი, თითქოს წამხდარიყო, მოწყენილიყო, ხმა დაჰკარგოდა, მაგრამ იმ რქადაკიმანჭულმა ყოჩმა ისე გააკორწიალა კისერზე, რომ ეჟვანს წართმეული წკრიალი ისევ გაალებინა და ჩვენი სოფლის ვიწრო, დაგრეხილი თავდალმართი მხიარული ჟრიალით ჩავლიეთ.

დილით შარაზე ერთ სატვირთო „ავტომოფილს“ ვეევლო და ისეთი თეთრი მტვრის ფუტი იდგა, ყოჩები თვალში დამეკარგნენ.

აჭარისწყალი, დაპაწავებული, გალეული, ქვა-ლოდებში ბაწარივით განწირული, მიკლაკნილ-მოკლაკნილი მილივლივებდა, მიიკეცებოდა. ისეთი

ლურჯი იყო და გამჭვირვალე, გეგონებოდა, ცა ღვარად მოედინებაო.

ბავშვობიდან მიყვარს ზაფხულის მდინარე, რა ძვირფასია, რა სანატრელია ეს ლაჟვარდივით სუფთა და სიცოცხლესავით მოუსვენარი მთის ნაჟურებით შემდგარი ჩქერების ასიარულება. იგი იყო ჩვენი ბალნობის გამახალისებელი და გამალამაზებელი.

მაშინ ვერ ვიტყოდი, მაგრამ აი, ახლა ვამბობ:

— რამდენი რამ ახსოვს ამ წყალს, ამ ქოჩორა, მკვირცხლ და მოჩქაფუნე მდინარეს. გაჩენა, აღზევება ქვეყნისა და მხარისა, დავითის აღმაშენებლობა, თამარის დამშვენებულობა, შოთას და ტბელის სიბრძნე-სიტყვათმზეობა, რამდენი შრომა, რამდენი ლოცვა, რამდენი ლხინი, მტერთა მოჭრა, ხოცვა-ჟლეტა, შიში, ძრწოლა, მოდრეკა, მორჩილება, კვნესა, დაცემა, დამუხლვა.

ხიდები კი, ათასი წლისანი, ჩვენი სულის ცისარტყელებივით გადავლებიან გალახულ, მაგრამ მარად გულცინცხალ მდინარეს, თავიანთი უტეხი დუმილებით უკვდავების სიმღერებად ქანდაკდებიან.

აჭარის წყალი მართლაც აჭარის ცრემლია. თუცა რაც უნდა ვეფხეროთ ახლა ამ ტანჯვის მდინარეს, იმაზე ნაღდს მაინც ვერაფერს ამოვთქვამთ, როგორიც ამოუთქვამს ჭაბუკ მწყემსს, სიყვარულის ცეცხლმოდებული რომ ჩასცქეროდა ამ მოქაფქაფე ზვირთებს.

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა,
ალვის ხის ჩამონათალი,
წყალო, დაღექ და მითხარი
საყვარლის შამონათვალი.

მზე, ქურაზე გადაღებულ ღვიერ რკინის ნაჭერივით, წითლად ჩანდა. შარაგზის ბულში ზურგებზე მოჭირებული მნათობი მიგვაცილებდა დასავლეთისაკენ.

ყორჩები გაიშალნენ, მატყლები დაირეკ-დაიბერტყეს, დაიფრუტუნეს და ლალი ბაკუნით გაჰყვნენ მტვრის ბულში გაწვარადინებულ გზას.

ჩემთვის, ალბათ, ეს გზა იყო ჩემი სიცოცხლის გზის დასაწყისი. მხოლოდ იმ დიდი ხნის გზას, სხვის გაყვანილ გზას დავადექი სასიარულოდ (განა მერე, ოდესმე, ჩემი საკუთარი, თუნდაც მცირე ბილიკი დამიმჩნევია დედამიწაზე?).

ბაბაია მეუბნებოდა:

— ჭო, იცოდენა შენ, ის დანდალოა, იქ თამარ დედოფლის ხიდია, ეს კოკატაურია, ახო, გობრონეთი, აბუქეთა, ტიბეთა, კანტაური, აქეთ წონიარისი, ვარჯანისი, ზვარე, გალმა — ვაიო, კვაშტა, აქუცა, გამოლმა — ზესოფელი... ჰო, არ მეიღალო, არ დუუშვა ჩიჩვირი, თვალი გაახილე, გუუძე-

ლი, არ მეიწყინო, იმფერ-იმფერ რამიებს დაგანახვებ, რომე მთლად გეყოფა.

მაგრამ ქალამანმა ისე მომიჭირა, სული დამეწირეხა ზორისგან.

ეჟვნიანი ყოჩი რომ დაწინაურდა, აღარ დათმო მეწინავეობა, — თავიდანვე მეთაურობა გაითავისა. ეს, ალბათ, ეჟვანმა შთააგონა. სხვა ყოჩებმაც ადვილად დაიჯერეს და მიიღეს მისი მეწინავეობა.. აღარცერთი აღარ ცდილობდა წინ გასწრებას, ყველა მუნისად (მორჩილად) მიჰყვებოდა უკან.

სიცხე კი მატულობდა. მანქანის დანახვა უფრო ხშირად მინდოდა, მაგრამ, იმ ერთის გარდა, აღარ ჩანდა, თუმცა, მალე, მოსახვევიდან ჭიმესმა დასიგნალება. კლდეებზე მტვრის ბაირალები აცურდა, გრიალით და ღრჭიალით მოგვიახლოვდა, ზემოდან გადაჭიმული ფართხუშა ბრეზენტს მოაფრიალებდა, ხალხს თავი გარეთ გამოეყო. მამა წინ გაიჭრა, რათა ყოჩები შუაგზიდან გადაერეკა, მე, „ახტომოფილმა“ არ გამჭიჭყოს-მეთქი, შიშით ზემო მხარეს კლდეს მივეკარი, საიდანაც მოახლოებულ მანქანას გადარეული ვაკვირდებოდი. მანქანიდან ვიღაცებმა თვალი მომაშტერეს, ერთიმეორეს გადახედეს და ირიბად ჩაიღიმილეს.

იმ მანქანის სუნი ახლაც დამყვება, — ჩვენი საუკუნის სუნია.

დიახ, კვალის სუნი თითქოს მომეწონა. ახალი, უხილავი, მაღალი საწყაროს სუნი იყო. იგი სადღაც შორეთისაკენ მეძახოდა ვითომ, რაღაცებს მპირდებოდა. ვაი, იმ სუნს, რაც გვიყო და რასაც გვიშობა ახლა.

გზაზე მთლად გადმოშვერილი კლდეები რომაა და ქვეშ რომ აჭარისწყალი ჯავრიანი ფახაფუხით მიედინება, აი, იმ ალაგს, დიდ ფარას დავეწიეთ. ფარას მატყლიანი ქუდებით მწყემსები მიუყვებოდნენ, მწყემსებს ვეება ბამბურა ძაღლებიც ახლდნენ.

ჯერ ბევრი მომეჩვენენ, მერე კი დაცოტავდნენ. სამი კაცი გავარჩიე მხოლოდ. უფრო, — ერთი კაცი, ორი ბიჭი.

ჩვენმა ეჟვნიანმა ყოჩმა ერთი კი მოიხედა უკან, რას იტყვის პატრონიო. ისე კი ეტყობოდათ, ესიამოვნათ ჩვენს ყოჩებს იმ ცხვრების დანახვა და ფრუტუნ-ფრუტუნით, დუმების ქანდურით, ფარაში შერევა დაიწყეს.

მტვრის ბუღიც მეორე დიდ მტვრის ბუღს შეუერთდა, აიწია, გაიშალა და იქაურობა სულ ნისლში გაახვია. მზე, ქარქაშიდან ახალამოღებულ ბებუთივით რომ უპრიალებდა პირი, ოდნავ შეიბურა, ქალამნები კი ისევ გახმა-გაპიწკინდა, ფეხები ისე დამიჭიჭკა, სიარული გამიჭირდა. ვერც ვამბობდი, მამაჩემის მეშინოდა, არ გამიჯავრდეს, რა ფაფის ორთქლივით ნაზი ყოფილხარო, არ მითხრას-მეთქი. მაგრამ მოიხედა ბაბამ და როგორც კი შენიშნა, გაჭირვებით ვილრიკებოდი, შედგა, მომიცადა, რა გჭირსო, მოფერებით მკითხა. მოგიჭირა მაგ უნამუსომო? ჰო-მეთქი, გამოვუტყდი გაუბედავად. ჰაით, წამოი, ჩევდეთ წყლიპირაი და მაგას ვუტირებ ყოფასო, მითხრა ბაბამ.

ჩემი ყოჩის ეჟვნის წკარუნი სადღაც დაკარგულიდან ძლივს მეყურებოდა. ყოჩები არ დაგვეკარქონ-მეთქი, გამოვთქვი შიში და გავაფრთხილე მამა. არა, არ უშავს, წარნაქიანებს ყოველთვის მოვძებნითო, დამამშვიდა. ხედავ წინ მიმავალ ფარას? ჩვენი შველა ეგაა. ცხვარი ცხვარს აღარ მოცილდებაო.

თასმები თავადვე შემხსნა, ქალამნებიდან ძლივს ამომაძრობინა დაჭიჭკული ფეხები. ძირებზე დახედა, ბალნები ოდნავ შეცვეთოდა. ჩალმა ჩაამხო და ქვის ძირას მომცრო მდორეში ჩააწყო, ზემოდან კი მოზრდილი ქვა დაადო, წყალმა არ წაიღოსო.

— ყოჩები? — ვკითხე ნერვიულად.

— იაროს, რა გენაღვლება, დევეწევით, ჰად წევლენ, აბა. — სიამოვნებით და ალერსით თქვა ბაბამ. ამოიღო თუთუნიანი ქისა, გაახვია ძიგარა, ჩამოჰკრა კვესი, აადინა კვამლი აბედს, ჩადო აბედი ძიგარის ტუჩში, გააბოლა ეშხიანად.

ცოტა ხანში ამოიღო ქალამნები წყლიდან. მშრალზე აღმა მიაწყო ლოდს.

— ახალია და იმიტომ გვაწვალებს. მალე გაყალიბავს შენი ფეხები და ქალამანიც მოშინავრდება. — ამიხსნა ბაბამ.

მოსველო ამოვიცვი. ფეხზე შეგაშრეს და „გაყალიბდეს“ ჯობიაო, თქვა მამაჩემმა და მალე აჩქარებით გზას გავუყევით.

ორი მოსახვევის მერე ჩემი ყოჩის ეჟვანი გავიგონე. მწყემსები მესხები აღმოჩნდნენ. კოლექტივს გადავუმალეთ ცოტ-ცოტაი და ახლა ბათუმში გაყიდვა მოვასწროთ გვინდაო, უთხრეს მამას. ისინი რაღაც უცხო, მოუკეშავ, გახამებულ ქართულს ლაპარაკობდნენ. იმათ პირში და ბაგეებზე სიტყვები დაჭრილ-დასნეულებულივით კვნესოდნენ თითქოს. არადა, უცხონი არ იყვნენ, სხვა ხალხის კაცებს არ გვანდნენ. თავებზე გრძელბეწვა მატყლიანი წოწოლა ქუდები ეხურათ და ყვრიმალებზე, შუბლებზე, კისრებზე ოფლი ღვარებად ჩამოთხუპოდათ. ქუდებს რომ ვუყურებდი, სული მეხუთებოდა, რა ჯანდაბად უნდათ ამ ყიამეთ სიცხეში ამისქე ბუხარივით მხურვალე ქუდები? ვის კითხავდი, ყველანი მივდიოდით, ყველანი კაცები ვიყავით, ყველას ჩვენ-ჩვენი ჭკვა და ადათი მიგვქონდა.

ბაბამ მითხრა, სწორედ სიცხის გამო ახურავთ სქელი, ბეწვიანი ქუდებიო. თხელებში უფრო დაიხრუკებიანო.

ცხვარს ორი ფერდებჩაცვენილი ცხენიც მიჰყვებოდა. ავშარები ორივეს კისერზე ჰქონდა შეგდებული. ზურგზე ორივე აბულულებული, ტომრებში შეკოჭილი ტვირთები მიჰქონდათ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა მ ი ლ ი

კავკასიას არწივმა
როცა გადაუქროლა,
უმალ მიხვდა შამილი
სანთელს თუ ვინ უქრობდა,
კაცთა მოდგმის კი არა,
ღმერთის შიში თუ ჰქონდა.
დიდმა იმპერატორმა
მთა გააპო ტორებით,
ალაზევა შამილმა
მაშინ მთების ტომები:
— რაა იგი სიცოცხლე,
თუ გავხდებით მონები,
გვისპობენ რჯულს და ენას,
და არც შეგვიწყალებენ,
ყველა უნდა შეებას
ჩვენი სულის მწვალებელს,
გვისპობენ რჯულს და ენას,
აღარც შეგვიწყალებენ.
დაჰკარ, დაღესტანელო,
დაჰკარ, ნუ დაფიქრდები,
არარად ღირს სიცოცხლე
თუკი მონა იქნები,
დაჰკარ, დაღესტანელო,
დაჰკარ, ნუ დაფიქრდები!
ყველამ ერთად იქუხა:
— ბრძოლად გვიხმობს შამილი!—
ვილაც მოხუც აშულის
აჟღრიალდა შაირიც,
და დაეშვა მდინარედ,
და დაეშვა შვავივით.
ზარბაზნების გრიალი
ცეცხლს შეუნთებს აულებს,
დიდი იმპერატორის
ნება უნდა აღსრულდეს...
მსუნაგივით უჭვრეტენ
ოფიცრები ასულებს;
შეგრიალდნენ მეჩეთშიც,
ხოჯას უთხრეს არაკად:
— ვეძებთ მტრედებს, ჩიტუნებს,
გალიებში არა გყავთ?! —
ქედს არ იხრის მთიელი,
მხრებს შეარხევს ამაყად.
მეფის ლეგიონების
ელავს ხმალიც, ფარებიც,
და ძირს სცვივა ულმობლად
დაღესტნელთა თავები,
და ჰგოდებენ ლამაზი
ცოლები და თარები.
რას არ უძლებს იმამი,
შვილიც გადაუხიზნეს,
დაღესტანის დიდ ქურუმს
მხოლოდ ის აგულისებს:
გენერალი ქართველი
მას რომ, გულში უმიზნებს.
ეჭიდება გულდაგულ
მტანჯველ ფიქრებს ამაზრზენს,
ბრძანა, კიდეც მაუხდნენ
ჭავჭავაძეთ ლამაზებს,
ახლა ტყვედ ჰყავთ ქალები,
ყველა კარიც ჩარაზეს.
ტყვედ ჰყავს ერთი თავადიც,
სინანულით გაუჭვრეტს,
შეინანეს მძასავით,
განა მკერდი გაუჭრეს,
მაგრამ რუსთა გენერლებს,

შამილი ცეცხლს გაუჩენს.
— ქართველებო, კვლავაც
გთხოვთ,
შამილს მხარი მომეცით! —
მეფეს ბარათს უგზავნის
ორად, თბილად მოკეცილს.
—ქართველებო, კვლავაც გთხოვთ,
შამილს მხარი მომეცით!
ყურის მგდები ვინ არი,
შამილს კარებს უმტრევენ,
გენერლები ქართველი
უტევენ და უტევენ,
ყურის მგდები ვინ არი,
იმამს კარებს უმტვრევენ.
მთები დიდი იმამის
მტკიცე, შეუვალია,
დაცვა დაღესტანისა
დიდ-პატარის ვალია,
მთები დიდი იმამის
მტკიცე, შეუვალია.
ენას, თავისუფლებას,
რჯულს, სიცოცხლეს
სწირავენ,
თვისი ხმალი ურჩევნით,
სხვისი რაგინდ ბრწყინავდეს,
ენას, თავისუფლებას,
რჯულს, სიცოცხლეს სწირავენ.
ტანჯვაა და ცრემლია
ბედი ერის პატარის,
უნდა იყო ქვითკირი,
ამტანი და გამტანი,
ტანჯვაა და ცრემლია
ბედი ერის პატარის.
ენას დაღესტანელთა
ბასრი ხმალით კენწლავენ,
მხოლოდ, მხოლოდ რუსული,
ისწავლე, გინდ ეწამე,
ენას დაღესტანელთა
ბასრი ხმალით კენწლავენ.
ამ პატარა, საბრალო
ხალხს რა ძალა ჰქონია,
ო, რამდენი მომხდური
ხევხევ ჩაუქოლიათ,
მამაც დაღესტანელებს
დევის ძალა ჰქონიათ.
ოცდაათ წელს იომეს,
არც გაქცევა ჩვევიათ,
და მკერდგაუკაწრავი
ბავშვიც არ დარჩენილა,
რაც მთიელებს სტკიოდათ,
ის ტკივილიც ჩემია.
შამილი არ დანებდა,
ფარ-ხმალი არ დაჰყარა,
და დიდ იმპერატორთან
ქედი არცკი დაჰხარა,
და საყვარელ დაღესტანს
გული გზნებით ახალა.
როს გულმკერდზე პერანგი
სისხლმა ამოუწითლა,
მშობელ მიწას დაემხო,
უბეს ივსებს მიწითა,
თავის მოკვლა ეწადა,
მაგრამ ხმალმა იწივლა...
დაიფერფლა იმედი,
დაიფერფლა მიზანი...
და დაღესტანს შემორჩა,
როგორც ტკბილი სიზმარი...
დარჩა მხოლოდ ანდერძად
მთების ბრძენის მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კეჭალმაძე

ლუკას დაბრუნება

ვუძღვნი დიდებულ ქართველ ქალს ზინა სირაძესა და მის მეუღლეს — აწ განსვენებულ ვაჟა აფხაზავას.

არ უყვარს ჩემს ძმას, ლადოს, იმ დროის გახსენება. სხვა ომგადახდილები თუ ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს და დაუღალავად ყვებიან, რას გაუძლეს და რა გადაიტანეს ომის პირველი დღიდან დასასრულამდე, ჩემი ძმა თავს ჩაქინდრავს და დუმს. ძალიან რომ მოაბეზრებენ თავს, სად, როგორ დაიჭერი, ის მაინც გვიამბეო, უხალისოდ ჩაიბუზღუნებს, ისეთი არაფერი იყოო, ღამით რომელიღაც პატარა სოფელს ვუახლოვდებოდით, მოულოდნელად ნაღმს წავაწყდი და ყველაფერი ამით დამთავრდაო. ჩემი გმირობაც ეგ იყოო, დაუმატებს მწარე ღიმილით, სხვები ომობდნენ, მე საავადმყოფოდან საავადმყოფოში დამათრევდნენ, მჭრიდნენ და მკერავდნენ, მჭრიდნენ და მკერავდნენ, ბოლოს კი ხელი ჩაიქნიეს და შინ გამომიშვესო.

ლადომ მთელი წლით ჩამოასწრო ლუკას, ჩემს ქმარს, უფრო სწორად, დანიშნულს. ერთი შეხედვით მაინცდამაინც შემაშფოთებელი არაფერი ეტყობოდა. კოჭლობდა, მაგრამ ომში ნამყოფი კაცის კოჭლობა ვის გაუკვირდებოდა. დადიოდა პირქუში, ცხვირჩამოშვებული, გაუღიმარი, ახლოს არავის უჩერდებოდა, არც შინაურს, არც გარეშეს. გატყიურდა და გაველურდა, ცოცხალი კაცი კი არა, თითქოს ომიდან ლანდი დაბრუნებულიყოს. ზოგჯერ თვე გავიდოდა, სიტყვას ვერ ამოგლეჯდი პირიდან. ღამღამობით მძინარე (თუმცა ვინ იცის, ეძინა თუ არა) ხვნეშოდა, გმინავდა, გაურკვევლად ლაპარაკობდა. სულ სხვა იყო ომამდელი ლადო და ახლანდელი, შინ დაბრუნებული. გარეგნულადაც აღარ გავდა იმ ძველს, ხასიათზე რომ არაფერი ვთქვათ. წინანდელი სიცოცხლით იყო სავსე, ხუმარა იყო, დაუდგრომელი, ენაწყლიანი. ისე ვუყვარდი, ისე... რომ დავიწიშნე და მთელი სოფელი გაიძახოდა ჩემს საქმროზე, რა დიდებული ბიჭია, ნეტა თინიკომ ასე რით მოხიბლაო, ლადო მეტისმეტად ბრაზობდა. რა ბრძაა ეს ხალხი, რა ბრიყვი, როგორ არ რცხვენიათ, ამას როგორ ამბობენო, კაი ბიჭია ლუკა, სულაც არ ვწუნობ, მაგრამ ჩემი და უკეთესსაც გაყვებოდაო... ჰოდა, როგორც გითხარით, დამნიშნა ლუკამ, მაგრამ არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვეც, ომი ატყდა. ვუთხარი საქმროს, წამიყვანე შენს სახლში, იქ, დედაშენთან, მოგიცდი-მეთქი. არავინ ებადა ქვეყანაზე დედის გარდა. რა გვე-

ჩქარებაო, მიპასუხა, ომს ორიოდე თვეში მოვრჩებით, ჩამოვალ და გორც წესი და რიგია, ისე დავქორწინდებითო. შევეხვეწე, მტკიცე უარზე დადგა. ვფიქრობდი, რომ მის სახლში, დედამისის გვერდით, ლოდინი უფრო გამიადვილდებოდა. თან, გამოვტყდე უნდა, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, გაივლ-გამოივლის, ქვეყანას ნახავს და რამე არ მოხდეს, ჩემზე გული არ აიყაროს-მეთქი. (ასეთი სულელი ვიყავი, კაცი ქვეყნის სანახავად კი არა, ნამდვილ ჯოჯოხეთში მიდიოდა, მე კი, გაივლ-გამოივლის და ჩემზე გულს აიყრის-მეთქი, ეს მაწუხებდა). ისეთი ეშხიანი ბიჭი იყო, ისეთი თვალტანადი, გული მიკანკალებდა, აი, ახლა წამართმევს ვინმე, აი, ახლა-მეთქი. თვითონვე მიკვირდა, რით მოვაწონე თავი. იმ წელს დაამთავრა უმაღლესი. ქალაქელი იყო, სოფლებში დაეხეტებოდა თავის ამხანაგებთან ერთად, ზღაპრებს, თქმულებებს, ხალხურ ლექსებს აგროვებდა. უმეტესად მოხუცებს, ხანშიშესულ ადამიანებს დაეძებდა.

ჩვენც გვესტუმრნენ სახლში. ბაბუა მაშინ ცოცხალი იყო. გვიან ღამემდე ისხდნენ, ბაბუას ალაპარაკებდნენ, ყურადღებით უსმენდნენ, თან რვეულებში იწერდნენ. მე სკოლა დამთავრებული მქონდა და ყოველდღე დავდიოდი ჩაის პლანტაციაში. ვხედავ, ერთ დღეს თავზე დამადგნენ ლუკა და მისი ძმაკაცები, იქნება შენც იცი რამე ზღაპარიო. რა უნდა მცოდნოდა ბაბუაჩემზე მეტი? ილაყბეს ერთხანს, იცინეს, იმასხარავეს და წავიდნენ. მეორედაც მეწვივნენ. მესამედ კი მარტო ლუკა მოვიდა. კარგად გაიხსენეო, მთხოვა, ერთი პატარა ზღაპარი, ან სულაც ანდაზა როგორ არ გეცოდინებაო. განა ვერ ვხვდებოდი, რა ანდაზაც აწუხებდა, პირველ სტუმრობაზევე შევატყვე, რომ მოვეწონე. მეც მომწონდა, ცხადია. ვის არ მოეწონებოდა ასეთი ლამაზი ბიჭი, თანაც ნასწავლი, უმაღლესდამთავრებული. მიხაროდა, სხვა გოგოებზე მეტად რომ მაქცევდა ყურადღებას. „მაშ ნამდვილად ანდაზისთვის მოხვედი?“ ვეკითხები. ახლაც არ ვიცი, როგორ გავბედე. ერთხანს იყოყმანა და მერე გამოტყდა, რა მეანდაზება, ძალიან მომეწონე და, თუ თანახმა იქნები, ცოლად უნდა შეგირთოო. ჯერ ყურებს არ დავუჯერე, თავი ავწიე, თვალებში შევხედე, მერე ავფორიაქდი, დავიბენი, ისეთი ცეცხლი შემომენთო სახეზე, კინაღამ გული წამივიდა. დავიხარე, დავიხარე, შეშინებული და დარცხვენილი კინაღამ ჩაის ბუჩქში ჩავძვერი. დამცინის, თავს იქცევს-მეთქი, გამიელვა. დადის სოფლებში, იწერს რაღაც-რაღაცებს და თან გოგოებს ეარშიყება, რას ჰგავს, რა ენაღვლება, აბა, სად მე და სად ეს, ასეთი განათლებული... მე სომ ჩაის კრეფის მეტი არაფერი ვიცოდი, არაფერი მეხერხებოდა.., არა-მეთქი, ძლივს ამოვლერღე ბუჩქებში თავჩარგულმა. თან ისე მქონდა ჭილის ქუდი ჩამოფხატული, არ ვიცი, ააღწია თუ არა ჩემმა ლულლულმა ლუკას სმენამდე. „რა თქვი?“ მეკითხება. რაც გაიგონე-მეთქი. არაფერი არ გამიგონიაო. „არა!“ — გავიმეორე. ერთხანს გაშეშებულივით იდგა, მერე მეკითხება: „შეყვარებული

გყავს?“ „არა!“ — კინაღამ ვიკივლე. რაღაც კიდევ მკითხა, რაზედაც იხვის უცვლელი, უაზრო „არა“ მიიღო პასუხად. თავაუღებლად, გააფთრებით ვგლეჯდი ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა — ჩაის შარშანწინდელ ფოთლებს, ბუჩქებს შორის წამოზრდილ სარეველას, გვიმრას, ხვიარას, ვგლეჯდი და განურჩევლად კალათში ვყრიდი. გავიდა ხანი, ცოტათი დავმშვიდდი, გონება მოვიკრიბე, თავი ავწიე, სადაა შენი ლუკა! ნეტავი, ხომ არ დამესიზმრა ყველაფერი ეს? ნეტა, ხომ არ მომელანდა ჩემზე შეყვარებული ლუკა? თითებზე დავიხედე, სისხლი მდიოდა. ამ ჩემს უთავბოლო ფართი-ფურთში, ამ ჩემს გიჟურ წრიალსა და „არას“ ძახილში ჩაის ბუჩქების რიგს გავცილებივარ და ეკალ-ბარდებში გადავსულვარ. იქვე დავემხე და ავღრიალდი. ტირილით რომ გული ვიჯერე, ჩემი კალათი მოვიხსენი, მოვაპირქვავე, ქუდიც ბუჩქებში ჩავჩურთე და შინისაკენ წავლასლასდი, ჩემს პატარა ოთახში შევიპარე, საწოლზე დავეცი და მუშტადქცეულმა თავზე საბანი წავიხურე.

საღამო იყო, დედაჩემი რომ შემოვიდა ოთახში, საბანი გადამხადა, შეშფოთებულმა შუბლზე ხელი დამადო, თვალებში ჩამხედა, რა გჭირსო, მკითხა. ვკვდები-მეთქი, მივუგე. „რა გტკივა, გოგო, არ იტყვი?“ „ყველაფერი მტკივა“, — იდგა, იდგა, მერე წავიდა, ვახშამი შემომიტანა. საჭმლის დაბახვაც არ მინდოდა, ხელი არ დამიკარებია არაფრისთვის. ნუ გეშინიაო, მამშვიდებდა დედა, არ მოკვდებიო, მეფერებოდა და თან უცნაურად ეცინებოდა. ეტყობა, მიხვდა, რა სენიც მჭირდა. დილით ავდექი, წავედი პლანტაციაში, მივაკითხე ჩემს კალათსა და ქუდს. გავიდა ათი დღე და გამოტირებული რომ მქონდა უკვე ჩემი სულელური სიყვარული, ლუკა გამოგვეცხადა თავისი სამი ამხანაგით. პირდაპირ სახლში მოგვადგა. „დაგრჩათ რამე ჩაუწერელი?“ ეკითხება სტუმრებს მამა, თან სახლში ეპატიჟება. კი, ბატონოო, უპასუხა ლუკამ, რაღაც-რაღაცები უნდა დავაზუსტოთო. თავი კი მოგაბეზრეთ, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდაო. შემოვიდნენ, მაშინვე ბაბუას მიუსხდნენ, მაგრამ რვეულები და ფანქრები აღარ მოუმარჯვებიათ. დედაჩემი, მე და ბებია ვახშმის მზადებას შევუდექით. დედაჩემი დროდადრო შემომსედავს, ჩაიცინებს. „რა გაცინებს, ქალო?“ ვკითხე წყენით. „არაფერი, ისე...“ „მალავ შენ რაღაცას...: იცი რაღაც...“ ვიცი, ვიცი, მაგ ბიჭი რომ გიყვარსო. არ გამკვირვებია. დედამ კი არა, მეგონა, მთელმა ქვეყანამ იცოდა ჩემი სიყვარულის ამბავი. „ცოლობა რომ მთხოვა ამასწინათ, იქნება ისიც იცი?“ ვკითხე მე. „ჰოო? — გაუკვირდა დედას, — ეგ არ ვიცოდი“. „თავს მოვიკლავო, ცოლად თუ არ წამომყვებიო...“ ვცადე ხუმრობა. „მერე?“ „უარი ვუთხარი“. „სწორად მოქცეულხარ, რა შენი საფერია“. „ვითომ რატომაო?“ ავიმაღლე ხმა. „შენ უკეთესის ღირსი ხარ“. „რატომ დამცინი, დედა?“ „მაშ რაღას უწუნებდი, უარი რატომ უთხარი?“ „არაფერს... დავიბენი... რა უნდა მეთქვა?“ „ჩვენთან უნდა მოგეგზავნა,

მშობლებს მოელაპარაკეო, უნდა გეთქვა“. „ჰოდა, მიდი, მოელაპარაკე, თა-
ვისი ფეხით მობრძანდა ვაჟბატონი“.

შუა ვახშამზე ვართ. სტუმრებმა თითო-ორ-ორი ჭიქა შესვეს. ლუკა ზის, ხმას არ იღებს. უსიტყვოდ მიმზერს, რალაცას მეკითხება თვალებით, მევედრება რალაცას. მივუხვდი. რაც კი შემეძლო, ძალ-ღონე მოვიკრიბე, თვალები გავუსწორე და ოდნავ, სულ ოდნავ გავუღიმე, გავაძხნევე ჩემი ჭკუით. სხვები ლაპარაკობენ, იცინიან. ლუკა უცებ წამოდგა, ჯიბიდან რა-ღაც ამოიღო, ქალალდში სათუთად გახვეული. „თუ ნებას მომცემთ... თუ ნებას მომცემთ...“ გაძლევთ ნებასო, შეაგულიანეს ამხანაგებმა. „მე გადავ-წყვიტე...“ გაჩუმდა, ხმა ჩაუწყდა. ბაბუაჩემს ცოტა ყურს აკლდა. ჩამო-ვარდნილ უხერხულ სიჩუმეში ჩემსკენ გადმოიხარა და მკითხა: „რაო, რა უნდა?“ „თუ ნებას მომცემთ, — ვანაგრძო სასიძომ, — თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მე ამ ბეჭდით ამაღამ თინიკოს დავნიშნავ“. სინათლეზე ოქროს ბეჭედი აბჭყვიალდა. „კი, მართალია, ღარიბი კაცი ვარ... ეს ბეჭე-დი, ვალიარებ, დედაჩემის ნაქონია... ამიტომაც ისე ძვირფასია ჩემთვის და თინიკოც ისე ძალიან მიყვარს...“

წამოვვარდი. მგონი შუბლით გავიტანე კარები. გამომყვა დედაჩემი, მომძებნა, ხელი მომკიდა, შე სულელო, მითხრა, გულში ჩამიკრა. მერე სიცილით შემიყვანა ოთახში. ასე დამნიშნა ლუკამ. დათქვეს ქორწილის დღეც, მაგრამ რამდენიმე კვირაში ომი დაიწყო...

ომს მალე მოვრჩებითო, დაიბარა წასვლის წინ, ჩამოვალ და დავქორ-წინდებით, რა გვეჩქარებაო. როგორ არა, მალე მორჩნენ! ისე, კაცმა რომ თქვას, არც ოთხი წელია მთლად უსაშველო დრო, ზოგჯერ ისე მალე გაი-რბენს, ვერაფერს გაიგებ. ის ოთხი წელი კი... ოო, როგორ გაგრძელდა. წელი კი არა, საუკუნე გახდა, ოთხი საშინელი საუკუნე. თითქოს გაიყინა დრო, გაჩერდა, აღარ იძვროდა ადგილიდან.

სხვისი არ ვიცი და, მე კი სწორედ ასე მეჩვენებოდა. კვირა არ გა-ვიდოდა, წერილი რომ არ მიმეწერა ჩემი დანიშნულისთვის. ყოველდღე მივწერდი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეუხერხულებოდა. ისიც მპასუხობდა, მაგრამ კანტი-კუნტად. ვერ ვამტყუნებდი. ომში იყო კაცი, ფრონტზე. ომის ბოლო წელს სულ შეწყდა წერილები. დამთავრდა ომი, დაბრუნდნენ შინ ომგადახდილები (ვინც ცოცხალი გადარჩა, რა თქმა უნდა). ჩემი საქ-მროსაგან კი მაინც არაფერი ისმოდა. ადრე სადედამთილო ჩამოირბენდა ხანდახან სოფელში, ახლა იმანაც ამოიკვეთა ფეხი. რალაც ცუდად მენი-შნა ეს ამბავი. ჩავჯექი მატარებელში და გავწიე ქალაქისკენ. მთელ ღამეს იჩაქჩაქა მატარებელმა, ძლივს ჩააღწია დილით. გარეუბანში ედგათ ერთი პატარა, აგურის სახლი. შევედი ეზოში, ძელსკამზე ჩამოვჯექი, ვზივარ, ვუცდი. ეზოს საკმაოდ მაღალი მესერი ავლია. მყუდრო უბანია, სოფელს ეავს აქაურობა. სოფელში მეტი ხმაურია, ძაღლები ყეფენ, ქათმები კრია-

ხებენ. საქოსელი ბღავის. აქ ბაღლებიც გაუწყვეტიათ. ძაღლების რჩენას პურ ი არ უნდოდა? სად იყო პური. ვიცოდი, ლუკას დედა სადღაც ფაბრიკაში მუშაობდა. საღამომდე ვერ გამოჩნდებოდა. გავიდა ერთი საათი, ორი... მთელი ღამის უძინარს რული მომერია. უცებ გამიელვა: ხომ შეიძლება შინ იყოს ის ქალი? ან ავადაა, ან საღამოს ცვლაშია. დაბალი კიბე ავირბინე, კარზე დავაკაკუნე. შემოდი, კარი ღიააო, მომესმა შიგნიდან მამაკაცის ხმა. შევალე. რას ვხედავ! ლუკა ფანჯარასთან ზის, წინ გადაშლილი წიგნი უდევს. მე გულისკანკალით ველოდები რამდენი წელი, თვე, დღე, რამდენი საათი და წუთი, ეს კი თურმე ჩამობრძანებულა შინ და ზის მშვიდად ფანჯარასთან, წიგნს კითხულობს, ერთობა. არც კი გახსენებია თავისი საცოლე, თვალებსაც ისე თამამად, ისე ურცხვად მისწორებს, თითქოს ცაში მართალი იყოს. იქნება ცოლ-შვილიც ჩამოყვა?...

გამძვინვარებული წავწვდი ბეჭედს. გაჯიუტდა, არ დამყვა, თითქოს შეზრდოდა თითს. ვიფიქრე, თითიანად მოვიგლეჯ-მეთქი... მოვიგლეჯდი კიდეც, მაგრამ ისეთი ხმით მკითხა: „მოხვედი, თინიკო?“ ერთბაშად მიღალატა ღონემ. „დაიმალე? — მივახალე მე, — აღარ ინებე ჩემი ნახვა?“, „რას ამბობ, შენზე უკეთესს ვის ვნახავდი... აბა, ერთი კარგად შემომხედე“,,. შევხედე, გულდასმით შევათვალიერე და თვალები დამიბნელდა, დაბზრიალდა ჭერი, ოთახის კედლები აყირავდნენ. კედელს მივეყრდენი, მივეწებე, რომ არ წავქცეულიყავი. იჯდა ჩემი უბედური ლუკა, იჯდა და დამოკლებული ფეხები იატაკს არ უწვდებოდა, შარვლის ცარიელი ტოტები ამოკეცილი და მუხლებთან ქინძისთავებით ჰქონდა შებნეული. ვიდექი გახევებული, კედელს მიკრული. „გინდა შენ ასეთი საქმრო?.“ ხმა ვერ ამოვიღე, ვერ დავძარი ენა.

— ახლაც მიჯავრდებიო? — როდის, როდის მკითხა. დიახაც გიჯავრდები-მეთქი, ვუთხარი, როცა სული მოვითქვი, როცა გასქელებული, ძარღვებში ჩაყინული სისხლი ამოძრავდა. „შენს გარდა მე ქმარი არ მინდა და, სულაც რომ არ ჩამოსულიყავი, ხომ არ გგონია, გავთხოვდებოდი?“

იჯდა საოცრად მშვიდი, მიმზერდა, იღიმებოდა. მე ისევ იქ ვიდექი, კედელთან. მაპატიეო, მითხრა, უნდა მომეწერა შენთვის ყველაფერი. მაგრამ არ მეგონა, თუ ცოცხალი დავრჩებოდი. არც ახლა მჯერა, რომ ცოცხალი ვარ, ან ეს რა სიცოცხლეა? ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი უკვე ათასჯერ ნაფიქრი და აწონილ-დაწონილი მაქვს. დამთავრებულია ჩვენი საქმე. წადი ახლა, ბედს ეწიე... გქონდეს მაგ ბეჭედი, ჩემგაი სამახსოვროდ... გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო! დრო ყველაფერს შველის. გათხოვდები, შვილები გეყოლება, ოჯახი გექნება. მართალია, ბევრი ჩაწყდა იქ... გაუთხოვარი ბევრი დარჩება, მაგრამ შენ არ დარჩები... შენისთანები სანთლითაა საძებარი...“

იქვე, იატაკზე ჩავჯექი და მოვრთე ტირილი. არაფერს ამბობდა. გულ-

გრილად იცქირებოდა ფანჯარაში. ვითომ გულგრილად. მერე დამიყვავა, რაა ეს ამდენი ცრემლის ღვრაო, პატარა ხომ არა ხარო, წადი, დაეკითხე შენიანებს, ნახე ერთი, რა გირჩიონო. მაჯაში წაგლეჯილი მარჯვენა ხელი ასწია, დამანახვა. ფეხები, იცი, როგორიცა მაქვს... ესეც ჩემი მარჩენალი მარჯვენა. რაც შეეხება მარცხენას, აი, ეს ორი თითიღა დამრჩა..: ალბათ, იმისათვის, წიგნი რომ გადავფურცლო. მე ხომ წიგნის კაცი ვარ... ამ ორმა თითმა პური უნდა მაჭამოს... შეძლებენ ვითომ ეს საწყლები?“

გაჩუმდი-მეთქი, ვიკივლე, მუშტები დავცხე იატაკს, ავღრიალდი. გაიცინა. „აახ, კარგი რა, ვიხუმრე, ძვირფასო... ხუმრობა არ იცი? მართლა ამ წიგნებს კი არ გავაწყალებინებ ტვინს. აი, დამპირდნენ რალაც ურიკასა და ზამბოხებს, მალე გამოვგრიალდები გარეთ. იქნება სადმე სამსახურიც ვიშოვო, მე ხომ უმაღლესი მაქვს დამთავრებული“.

დავბრუნდი შინ, გამოვაცხადე, ჩამოსულია ჩემი საქმრო, დაჭრილია, სიარული უჭირს, მკურნალობს, იმიტომ ვერ გვინახულა-მეთქი. მოიკეთებს ცოტას, ჩამოვა და წამიყვანს. წავიდა ლადო სასიძოს სანახავად. ჩამოვიდა ფერდაკარგული, ენაჩავარდნილი, „შვილო, მითხრა დედაჩემმა, რამდენი ცოლ-ქმარი სცილდება ერთმანეთს, დანიშნულების გაყრა ვის უკვირდება? ვინ გაგამტყუნებს? მით უმეტეს, კაცი თვითონ ყოფილა საბუთიკ უარზე“. ვერაფერი რომ ვერ შემასმინა, ვიშვიშს, ტირილსა და მოთქმას უმატა, ეს რა სიცოცხლეაო, გაიძახოდა, ეს რაღა დაბრუნებააო. ვუხარი, მაგ სიტყვები კიდევ გითქვამს, სამუდამოდ შეგიძულებ, ჩემს სიცოცხლეში აღარ დაგელაპარაკები-მეთქი. არა, შვილო, არაო, ღმერთო ნუ მიწყენ, ეს როგორ წამომცდაო, მარა, რა ვქნა, დედა ვარ, მებრალებიო...

კაცმა რომ თქვას, ლადო ვითომ უკეთეს დღეში იყო? მაგრამ ეს არ ვიცოდით მაშინ არც მე, არც დედამ. ყველაზე მეტი შეუპოვრობით სწორედ ლადო ებრძოდა ჩემს გადაწყვეტილებას. ისედაც გაივსო ქვრივებით ეს ქვეყანა, ძალად რატომ ეჩრებიო, შენი ნებით რატომ ეწერები ქვრივებშიო. თვითონვე გრძნობს ის საწყალი, ორი პარასკევი რომ დარჩენია ამ ქვეყანაზე, უარსაც იმიტომ გეუბნებაო. „ბოლოსდაბოლოს, იცი შენ, რატომაა ის კაცი უარზე? იქნებ, სულაც აღარ სჭირდები? იქნებ... მეც ვიყავი იქ, საკუთარ თავზე გამოვცადე.“ ჰოდა, იქ რომ იყავი, მაგიტომ უნდა გრძნობდეს, ასეთ სიტყვებს რომ ამბობ ნაომარ კაცზე-მეთქი, ეუთხარი, შენ სხვაზე მეტად უნდა გებრალებოდეს-მეთქი.

ათიოდე დღის შემდეგ გავიპარე და მივადექი კარზე ლუკას. აბა, ერთი, თუ ვაჟკაცი ხარ, გამაგდე-მეთქი! კი სცადა, მაგრამ ვერ გამაგდო, რადგან დედამთილი ჩემს მხარეზე დადგა. ლადო კვალდაკვალ მომყვა. მეგონა, ჩხუბს დამიწყებდა, შინ წაყვანას დამიპირებდა. საჩხუბრად არ მოვსულვარო, მითხრა... რაც ფრონტიდან ჩამოვედი, დღე არ გასულა, თავის მოკვ-

ლაზე რომ არ მეფიქრა, ახლა კი დავრწმუნდი, რომ სიცოცხლის ფასი მაინც დიდია, სიცოცხლე რომ ღირსო. ამისათვის მადლობა უნდა გადაეხადა. არ შეშინდე, გული არ გაიტეხო, მუდამ შენს გვერდით მიგულეო. გადაყოლილი იყო ჩემზე, ჩემს ოჯახზე.

მისი ზრუნვა და ყურადღება არც მანამ მომკლებია, სანამ მარტოხელა იყო და არც შემდეგ, ოჯახი რომ გაიჩინა... კი, ბატონო, ცოლი შეირთო (ამას არავინ ველოდით). ეს ასე მოხდა: ჩავდივარ ერთ დღეს სოფელში (უკვე ორი შვილი მყავდა, ლუკა ხშირად ავადმყოფობდა და ბევრი აღარ უცოცხლია მას შემდეგ), ჩავდივარ და ვხედავ, ჩვენს ეზოში ვიღაც ქალი საქმიანობს. „თქვენ თინა ბრძანდებით, ხომ? ლადოს და?“ მეკითხება გახარებული. კი-მეთქი, მივუგე, მიკვირს, რა უხარია, ვინაა. მე თქვენი რძალი ვარო, გამეცნო. ლადოც გამოჩნდა ამ დროს. იცინის. „გაგიკვირდა? არ ტყუის. მართლა ცოლია ჩემი. შევხვდით ორი უბედური. რაღაცაში მაინც დავჭირდით ერთმანეთს“. რაღაცაშიო! ისეთი ოჯახი შექმნეს, ისეთი ტკბილი, თბილი, ვის არ შეშურდებოდა. სამი ბავშვი გამოიყვანეს ობოლთა სახლიდან, ორი გოგო, ერთი ბიჭი, ზრდიდნენ, თავს ევლებოდნენ.

გაგვიჭირდა ძალიან ლუკას სიკვდილის შემდეგ. უფროსი შვილი — ვანო ათი წლისა იყო, უმცროსი — მზია ექვსისა. დედამთილი ლოგინად ჩავარდა. ისევ ლადომ გვიშველა, სოფელში ჩამოგვიყვანა, თავისი საკარმიდამო ნაკვეთი, მოვლილი და მოშენებული, ბაღვენახიანი შუაზე გაგვიყო, სამთვალი სახლი აგვიშენა. სწრაფად გაირბინა დრომ. ვანო მასწავლებელი გახდა, გოგომ სკოლა დაამთავრა თუ არა, გათხოვდა. ახლა ოთხი შვილი ჰყავს, ოთხივე გოგო. სიძე მხიარული, გულგაუტეხელი ბიჭია, აი, ხომ ხედავთ, გაიძახის, ნამდვილ ვაჟკაცებს გოგოები უჩნდებათო, რომ ამბობენ, სრული ჭეშმარიტება თუ არ ყოფილაო, აი, დავგლახდები, დავჩაჩანაკდები მეც ზოგიერთი ბიჭის მამასავით და მერე ვნახოთო... ძალიან კი უნდათ ბიჭი. ყველას გვინდა. იქნება ლადოს ან ლუკას დაემსგავსოს. რაღაც ვერ დამიჯერებია, რომ კაცი სამუდამოდ მიდის, ქრება, იკარგება, აღარასოდეს ბრუნდება და მეორდება.

გოგო კი მალე გამითხოვდა, მაგრამ ბიჭმა არ იჩქარა დაოჯახება. მეწუნია გამოდგა ვანო. თვითონ ვერავინ ამოერჩია, სხვის ამორჩეულსა და შეთავაზებულზე კი უბოდიშოდ ამბობდა უარს, ზოგს ტანს უწუნებდა, ზოგს თვალადობას, ზოგსაც სიტყვა-პასუხს. ბოლოს თებრო გააცნეს. ბევრი უთვალთვალა და უკირკიტა ბიჭმა, მაგრამ ვერაფერი უპოვა ზადი. ავდექით და დავაქორწინეთ. უკეთეს ნეფე-პატარძალს ოცნებითაც ვერ წარმოიდგენდი. მთელ სოფელს თვალი მათზე რჩებოდა.

პირველი შვილი ვაჟი შეეძინათ. საზღვარი არ ჰქონდა ჩვენს სიხარულს. ძლივს აგვიხდა ნანატრი. ლადო სახლში შევარდა, თავისი სანადირო თოფი გამოიტანა და მანამ ისროდა, სანამ ნახევარმა სოფელმა ჩვენს

ეზოშ არ მოიყარა თავი. კინალამ ჩაგვშხამდა ჩვენი უზომო სიხარული — ბავშვი მეტისმეტად სუსტი აღმოჩნდა. არავის ეგონა, თუ სამშობიაროდან ცოცხალს გამოვიყვანდით. ძლივს გადავარჩინეთ. მთელი ოჯახი, დიდიან-პატარიანად საავადმყოფოს ეზოში ათენებდა და აღამებდა. დაძაბული, შეშფოთებული მივჩერებოდით იმ ოთახის ფანჯარას, სადაც ჩემი მელოგინე რძალი და ახალდაბადებული უსუსური ბიჭუნა გვეგულებოდა. მოიკეთა ბიჭმა, როგორც იქნა. ერთ დილას დაგვანახა კიდეც რძალმა ფანჯრიდან საგულდაგულოდ შეფუთული ერთი ციცქნა ჩვილი. ბავშვი პაწია წითელ სახეს იჭმუხნიდა, თვალებს ჭუტავდა. „ალბათ, ლუკას დაარქმევთ, ხომ?“ რალაც უცნაური, ფრთხილი და თბილი სევდით იკითხა ლადომ. „ოხ, ერთი გადარჩეს და...“ ბავშვი გადარჩენილი იყო უკვე. ასე გვარწმუნებდნენ ექიმები. „იცი რა?.. მე მინდა ლადო დავარქვა“. ლადო შეცბა, შემომხედა. „ლუკა?“ მოვა ლუკაც... კიდევ ეყოლებათ ბიჭი. ლუკა ის იქნება“. როგორ გაუხარდა ლადოს! თვალები აუწყლიანდა. ცდილობდა დაემალა სიხარული, ვერ მალავდა. შვილიშვილები, ცხადია, მასაც ეყოლებოდა, არა ერთი და ორი. მაგრამ ეს სხვა იყო, ჩვენი ჯიში და ჯილაგი. მომდევნო გოგო დაიბადა, კალმით ნახატი ბავშვი, ნამდვილი ანგელოზი. მაშამ თინიკო დაარქვა.

სხვა ცვლილებები მოხდა ჩვენს ოჯახში. ახალი ოდა წამოვეჯიმეთ, ორსართულიანი, ლამაზი. დავამშვენეთ კარ-მიდამო. ეზო ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინის ხეებით გავავსეთ. ავ თვალს არ ენახვებოდა იქაურობა. ვანოც დაწინაურდა, ჩვენი სოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორი გახდა. დღედაღამ იქ იყო, იქ ტრიალებდა, ოჯახისთვის ვერ იცლიდა, მაგრამ რძალმა გამოიჩინა ნამდვილი ვაჟკაცობა, ქალი კი იყო, მაგრამ ორი კაცის საქმეს ართმევდა თავს. მეტსაც შეძლებდა, მაგრამ პატარა ლადოს ავადმყოფობა უშლიდა ხელს. სად არ დაჰყავდა, რომელ ექიმს არ გაასინჯა. ზოგი მკურნალი თირკმელებს უწუნებდა ბავშვს, ზოგი ვუულს, ზოგი ღვიძლს. რაც საწყალ ბიჭს წამლები ვასვით, ციცხალი როგორაა, მიკვირს. გაწვალდა დედამისი ცალკე ექიმებთან სირბილით, ცალკე კოლმეურნეობაში და ეზოში მუშაობით. დიდი უცნაური ვინმეა მაინც, ტოლს არავის უდებს, არავის არ უნდა რომ ჩამორჩეს, ვინმემ როგორ უნდა მაჯობოსო, სხვაზე ნაკლები რითი ვარო, სულ ამას გაიძახის. ვუთხარი ერთხელ, ნამეტანი მოგდის-მეთქი, ყმაწვილი ქალი სარ, წელს ნუ გაიწყვეტ, ნუ ეჯიბრები სხვებს, შენ კიდევ გყავს შვილები გასაჩენი და გასაზრდელი-მეთქი. „შვილებიო?“ მკითხა გაკვირვებულმა. „რომელი შვილები?“, „როგორ თუ რომელი... მესამე, მეოთხე.“ „ხუმრობ თუ?“ „რა მეხუმრება, ქალო!“ ავუწიე ხმას. „გაიხელ-გამოიხედე ერთი, ვის ჰყავს ახლა ორზე მეტი? ზოგი თითოსაც დაჯერდა. ახლა სხვა ცხოვრებაა, დედამთილო, მე რა, სხვაზე სულელი ვარ თუ სხვაზე ჭკვიანი?“ კარგა ხანს ვიდექი შტერივით, ვერაფერი მეპოვა სათქმელი. განა ბრმა ვიყავი, განა ვერ ვხედავდი რა ხდებოდა

ირგვლივ, სხვა ცხოვრება რომ მოვიდა, სხვა ჭკუაზე რომ დადგა ხალხი, უფრო სწორად, უგუნურობასა და უჭკუობაზე რომ დადგა, მაგრამ ნუთუ ჩემი ვანოს ოჯახშიც ის უნდა მომხდარიყო, რაც სხვაგან ხდებოდა? ვანოს— მასწავლებლისა და დირექტორის, სოფელში ყველაზე შეგნებული, ყველაზე განათლებული კაცის, ბოლოს და ბოლოს ყველა შეხვედრისა და წვეულების მეთაურისა და თამადის? „მერე ლუკა?!“ წამოვიძახე შეშფოთებულმა. რძალი დამაკვირდა, ეტყობა იფიქრა, ჩემი დედამთილი ჭკუაზე შეცდაო. „ერთი ბიჭი მაჩუქე, — შევეხვეწე მე, — ერთი მაინც... მე გავზრდი, ხელსაც არ გაგანძრევინებ...“ „სწორედ ბიჭია საქმე, მიპასუხა თებრომ, თორემ გოგო რა, გავათხოვებ და მორჩა. გაზრდით კი გაზრდი, მაგრამ გაზრდილს რა ვუყო? ამ სახლის აშენებას შევალიე, რაც ძალი და ღონე მქონდა, მეორის აშენების თავი ვისა აქვს? ესეც არა მაქვს ჯერ გაწყობილი, ვინ იცის, როდის მოვრჩებით.“ ისე ჩამწყვიტა გული რძლის პასუხმა, გავშრი, ველარ ამოვიდე ხმა. მან კი, თითქოს არაფერიაო, თითქოს სწორედ ის მითხრა, რაც თავისთავად იგულისხმებოდა, მიბრუნდა და კვლავ საქმეს შეენთო მისებურად ერთგულად და მუყაითად. ჩვენს შორის დარჩეს და, შემირცხვენია ასეთი საქმეც, ასეთი ერთგულებაცა და მუყაითობაც. ისევ ჩემი ვანოს ბრალია ყველაფერი-მეთქი, გავივლე გულში, დამაცადოს, დამაცადოს, ვასწავლი, როგორ უნდა წვეულებებზე, თავყრილობებზე ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი მამულით თავის მოწონება. იმ დღეებში ერთი ჩვენი მეზობელი ბიჭს აცილებდა ჯარში. მიიწვიეს ვანოც, თამადად, რა თქმა უნდა. მეც გადავედი, თუმცა შეუძლოდ ვიყავი. ვზივარ ჩემთვის მაგიდის კუთხეში და ვუსმენ ჩემი ვაჟიშვილის ოქროპირობასა და ენამზეობას. ეშხში შესული თავის საყვარელ სადღეგრძელოს რომ მიადგა, კურთხეული სამშობლო ედემის ბაღად, უმშვენიერეს წალკოტად რომ დაასურათხატა, თამამად წამოვდექი და თამადას სიტყვა შევაწყვეტინე, მოეშვი-მეთქი, შევუძახე, მაგ ბაღსა და წალკოტს, არ ახსენო, მე, შენი დედა, უფლებას აღარ გაძლევ „უფლებას არ აძლევსო?!“ განცვიფრდა ხალხი. „რატომ, დედა, რა დავაშავე?“ მეკითხება ვანო. „ბაღში ნერგები უნდა დარგო, შვილო. უმაგისოდ მაგ შენი ენამზეობა ზიანის მეტს არაფერს მოუტანს“.

ვუთხარი ეს და წამოვედი, აღარ გავჩერებულვარ იქ. ვანოს გვარიანად შეაგვიანდა. ვიწექი, სინათლე ჩამქრალი მქონდა, ოთახის კარი რომ შემომიღო. „არ გძინავს, დედა?“ მეკითხება. არა-მეთქი. „რა იყო ის, მეუბნება, თან სინათლეს რთავს, რომ დამადექი პირზე იმდენ ხალხში, შემარცხვინე კაცი“. ახლოს მოდი-მეთქი, ვუთხარი. მოვიდა, საწოლის კიდეზე ჩაძოჯდა. „ლუკას დაბრუნება უნდა, ვუთხარი ისეთი შეუვალი ხმით, ისეთი დაჟინებით, თვითონვე გამიკვირდა, ლუკას დაბრუნება უნდა, ვანო!“ ხელი ხელზე გადამისვა, გაიცინა. „ეე, რა ხარ, დედა, რანაირი ხარ... მართლა გჯერა,

ამ ჭკვიან ქალს, რომ იმ ქვეყნიდან ბრუნდებიან? ვინც წავიდა, წავიდა... მანამ ჩვენ არაფერი გვეტკინოს, სანამ იქედან ვინმე მობრუნდებოდეს". „იცი, შვილო, რა მესიზმრება?" „თქვი, გისმენ". „ლუკა მოდის ვითომ, შინ, ჩვენთან... აი, შენ რომ გხედავ ახლა, ისე ცხადად... მელაპარაკება კიდეც, მოვდივარო, მელოდეთო. ხან დიდია, ხან ბავშვი, ხან მთლად პაწია ჩიტივით, ადამიანს არცა გავს... იმედიანად, უშიშრად მოდის, ვერ ხედავს, გზაში რომ ჩასაფრებიან, მოკვლას, მოხრჩობას უპირებენ..."

— საბრალო დედა, — ჩაილაპარაკა ვანომ, — ახლა მაგ სიზმრები გინდოდა შენ კიდევ?

— დამიბრუნეთ ჩემი ლუკა, — ვუთხარი, — არ სჭირდება მას თქვენი ნაჯახირევი სახლი... არც რბილი ხალიჩები სანებივროდ და სამცონაროდ... ლუკა თქვენგან სიცოცხლეს ითხოვს მარტო, ნუ დაამადლებთ...

ვანომ მაგრად მომიჭირა ხელზე ხელი, ეეხ, მართალი ხარო, მძიმედ ამოიხვნეშა. შენ კი მართალი ხარ, მაგრამ აბა, ამ ახლანდელ ქალებს რამე გააგებინეო. წამოდგა, კართან მივიდა, თუ კაცი მქვია, დაბრუნდება, დედი შენი ლუკაო, დამპირდა, სინათლე ჩააქრო და გავიდა.

სიტყვა რაკი მომცა, აღარ გატეხს მგონია, თუმცა, რა დასამალია და, ჩემს რძალსაც კარგად ვიცნობ უკვე.

ჰოდა, ველოდები ლუკას, რა დამრჩენია მეტი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა ქებურია

გ ა რ დ უ ვ ა ლ ო ბ ა

ახლაც ძლივს ქრება მაღალ მთებზე
დეკემბრის თოვლი,
უკვე ამაოდ უხმობს მარტი თავის ძმაბიჭებს,
ჩვენ გაზაფხულის პირველ დღეებს მოვედით თრთოლვით,
თორემ აპრილი თავისთავად შემოაბიჯებს.

ბარი უეცრად მიენდობა სითბოს ღიმილით.
მაგრამ მთა ასე მიამატი გულის როდია,
ცას შეასკდება გაყინულის სივრცის კივილი.
რადგან სიმაღლე მუდამ ძნელი დასათმობია.

* * *

საოცარია სურათი ესე:
ჯერ დღის სინათლე არ უხილავთ
ღამის ჩარჩოში ჩასმულ ვარსკვლავებს...

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

მსჯის!
მაჯილდოებს!...
და ვეგუები სითბოს უხილავს,
ტკივილს საჩინოს,
თუ მისი ხელით დავიღუპები,
მანვე ხომ უნდა გადამარჩინოს?!



ჯემალ ქათამაძე

დედის ღიმილი

პირველი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო მემედალი ხაბაზი, იგი მოჰკლეს და შემდეგ უსუფ დუმბაძე აირჩიეს, რომელიც 1937 წელს ციმბირში გადაასახლეს. მასავით სხვებიც აღმოჩნდნენ „შავ სიაში“, უსწავლელი ხალხი არაფრის გამო გაასამართლეს და ციმბირის ტყეებში უკრეს თავი, მათ არც კი იცოდნენ, რისთვის აპატიმრებდნენ. თავი იჩინა კიდევ შურმა, მტრობამ, დაიწყეს ერთმანეთის გაცემა, ამით ისარგებლეს არაკაცებმა და, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ, ყველას აპატიმრებდნენ.

ერთ საღამოს ბილალი დადარდიანებული დაბრუნდა სახლში, როგორც იტყვიან, დანა პირს ვერ გაუხსნიდა. ფატის არ მოეწონა ქმრის სახე და ჰკითხა:

— რაო, რა მოგივიდა?

— მე არაფერი... დღეს ხასან გოგიტიძე დაიჭირეს. — თქვა ბილალიმ.

— რა დააშავა მაგ გაჭირვებულმა? — გაუკვირდა ფატის და ქმარს შეხედა, მანაც შიში იგრძნო.

— რა ვიცი, წერა მაგან არ იცის და კითხვა, ერთი უცოდველი კაცია, მშრომელი, პატიოსანი, კეთილი, მაგრამ ხალხის მტრად ჩათვალეს. განა ასე შეიძლება?

— სუ! ამ კედლებსაც ყური აქვს. — გააფრთხილა ფატიმ და თვითონ წამოიწყო:

— ღმერთი აღარაა. მართლა რას ნიშნავს ამ ბერიკაცის დაპატიმრება.

— აბა, აბა, ყოფილი ბეგიაო, ამბობენ.

— წყვილი ქალამანი არ ჰქონია მაგ საწყალს, რა ბეგია მაგი! — გაუკვირდა ფატის.

— მაინც დუმილი სჯობია. ახლა ხალხს ჭკუას ვინ ეკითხება. რამეს იტყვი და...

იმ ღამეს ხასან გოგიტიძესთან ერთად კიდევ ათი მიწის მუშა დააპატიმრეს. შეშინებული ხალხი ხმას ვერ იღებდა. ერთი საწინააღმდეგო სიტყვა რომ გეთქვა, ქარი მიუტანდა ჩეკას ამბავს, და მშვიდობით ცოლ-შვილო, შენს კვალს ვერ მიაგნებდა ეშმაკიც.

ფატი და ბილალი კოლმეურნეობაში თავდადებით მუშაობდნენ. შვილების პატრონ მშობლებს ძილი და მოსვენება ენატრებოდათ, მალე უფროსი ბიჭი სკოლაში წაიყვანეს, მას სხვებიც მიჰყვნენ, დედაც შვილებთან ერთად სწავლობდა და კითხულობდა ქართველი მწერლების წიგნებს, იზეპირებდა ლექსებს, განსაკუთრებით მოსწონდა „სამშობლო ხევსურისა“, სიმღერასავით ჩაიღიღინებდა, ხოლო ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ ბევრჯერ უტირია. ბავშვების სწავლამ ფატის ახალი საზრუნავი მოუტანა, სკოლაში კვირაში ორჯერ, ხშირად სამჯერაც მიდიოდა, გამოიკითხავდა ბავშვების ამბავს, მასწავლებლებიც ფატის დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ კარგი შვილების გაზრდისათვის, ბავშვების წარჩინებით სწავლა დედას საკუთარი თავის წარმატებად მიაჩნდა. ამაყობდა, კარგ ხასიათზე დგებოდა, უფრო მარჯვედ მუშაობდა. სწორედ დედის ასეთმა მონდომებამ, წიგნის სიყვარულმა, მოთხოვნამ და შემოწმებამ შედეგიც გამოიღო, თითქმის ყველა ბავშვმა ხუცუბნის საშუალო სკოლა მაღალი აკადემიური წარმატებებით დაამთავრა.

მიუხედავად იმისა, ბილალი ბუნებით თბილი და ალერსიანი კაცი იყო, არ მოს-

---

დასასრული იხ. „ჭოროხი“ № 6, 1989.

წონდა შვილებისადმი გადამეტებული სიყვარული, იგი ბავშვებისაგან მოითხოვდა სიდინჯეს, პატარებს უნერგავდა შრომის, ხალხის, სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტულ გრძნობებს, იცოდა გარდასული ამბების კარგად თხრობა, მისი თქმული დამაჯერებელი და გასაგები იყო. ბავშვებს უხაროდა მამასთან ყოფნა, სიახლოვე, ძველი ამბების მოსმენა, იგი უმიზეზოდ არ დატუქსავდა მათ, არც ყვირილი იცოდა, მაშინ იყო მკაცრი, თუ უმიზეზოდ სკოლას გააცდენდა ვინმე, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას მიჩვეული, სხვებისაგანაც მოითხოვდა ამასვე. როცა ცივად შეხედავდა ვინმეს, აგრძნობინებდა, რომ უკმაყოფილოა... მტკივნეულად განიცდიდა სიზარმაცეს, მაგრამ თამაშს, გართობასა და ტოლებთან მეგობრობას არ უშლიდა ბავშვებს. თამაშში იგი გაკაუებას და ჯანმრთელობას ხედავდა, თუ ბავშვი ფიზიკურად ძლიერია, ყველაფერს აიტანსო, იტყოდა ხოლმე, სუსტი, გამხდარი და ზანტი ბავშვი ნახევარი შვილიაო. — ესეც ბილალის სიტყვებია. როცა გოგო-ბიჭები წამოიზარდნენ, ფატის და ბილალის მძიმე ტვირთი შეუმსუბუქდათ, ბავშვებიც შრომობდნენ და მშობლებიც, ამაღლდა სახლის ჭერიც და ამაღლდა ფუძეც, მაგრამ მთავარი საზრუნავი წინ იყო, ამდენ შვილებს მოვლა-პატრონობა, სწავლა-განათლება, გზაზე დაყენება, დასახლება და დაბინავება სჭირდებოდა, ცოლ-ქმარი დღენიადაგ ამაზეც ფიქრობდა.

წლები წლებს ემატებოდა. იყო ტანჯვა, გაჭირვება, შიში, სიკვდილიც, მაგრამ სოფელი მაინც იკრებდა ძალას, ცხოვრების ფერხულში შებმული, ლომახარივით ეწეოდა უღელს, რომ ბოლომდე გაეტანა კვალი და სწორედ ასეთი გარჯის შედეგად ხუცუბანი, გვარა, სოფელ ჭობულეთი, სამება თუ კონდიდი ძლიერ მოღონიერდა, მოკლე დროში შეიცვალა ძველი იერი, ახალ მწვანე სამოსელში გაეხვია ეს მაღლიანი მიწა-წყალი...

ამასობაში კი ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. სოფელში ყუმბარასავით გავარდა საშინელი სიტყვა: — ომი! ამ სიტყვამ თავბრუ დაასხა ყველას, მაგრამ მძიმე განსაცდელის ყამსაც არ დაიბნა ხალხი, არ დაუკარგავს რწმენა, მთის პატარა სოფელს მძიმე ტვირთად დააწვა ომის საშინელება, სოფელი დარჩა ქალების, მოხუცების, ბავშვების იმედად, დაცარიელდა სახლები, ჩაქრა ღიმილი, ისევ მოვარდა ცრემლის წვიმა, შიმშილი, შიში... სიხარული და სიყვარული ჩაკლა ომის გამოცხადებამ, გაცივდა გული, აღარ ირწეოდა აკვანი, შეწყდა ქორწილი... იქ კი შორს, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში იღვრებოდა უდანაშაულო ბიჭების სისხლი, მაგრამ ეს სისხლი უქმად როდი დაღვრილა.

— ჩვენ გავიმარჯვებთ! — ყველას პირზე ეკერა ეს ორი სიტყვა და ხალხი ყველაფერს აკეთებდა მტრის დასამარცხებლად, გამარჯვებისათვის.

როცა იუსუფ ბეჟანიძე, მემედ მუავანაძე, მემედ მოწყობილი, ხასან გოგიტიძე, ნური ბაჯელიძე, ხუსეინ გოხიძე, მემედ თხილაიშვილი ომის გამოცხადების მეორე დღეს ფრონტზე წავიდნენ, ბილალს გული აეწვა, შეჩვეულ მეზობლებთან და მეგობრებთან განშორება ეძნელებოდა, მასაც გული ფრონტისკენ მიუწევდა, მაგრამ წლები უშლიდა ხელს, იგი ფრონტისათვის აღარ ვარგოდა, მუხლებში ძალ-ღონე ძველებურად აღარ ერჩოდა, თვალიც აღარ უჭრიდა, ამიტომ გამეჩხრებულ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში, მასავით ხანდაზმულები შემოიკრიბა და კოლმეურნეობის ბაღ-პლანტაციებში მუშაობას შეუდგა. ახლა სხვების წილიც შინ დარჩენილებს უნდა გაეკეთებინა. იმ ავბედობის ყამს მართლაც თავდაუზოგავად შრომობდა ხალხი, დღე-ღამეს ასწორებდნენ, ყველაფერს ასწრებდნენ. ჩაის კრეფდნენ, ციტრუსები მოჰყავდათ, სადაც შესაძლებელი იყო, სიმინდს, ბრინჯსა და სოიასაც უვლიდნენ. შემოდგომაზე სასიამოვნო სანახავი იყო ლელვასა და კინტრიშის პირებზე ყანები, ჩოლოქის ჭაობში — მოლივლივე ბრინჯის თავთავები. ცარიელ ადგილს ვინ დატოვებდა, სწორედ მაშინ გაიკაფა ტყეები საყანედ და საბახჩედ, შემდეგ ამ გაკაფულ ბორცვებზე ხალხი დასახლდა. იმ დროს გვარა,

ხუცუბანი, კოხი, სამება, კონდიდი თუ ალამბარი პატარა სოფლები იყო, მოგვიანებით, ხინოს, ზერაბოსელის, ცხემვანის, მესხიქედის, სოდომურის, კეჭიეთის თუ ჭახათის მცხოვრებლები ბარში ჩამოსახლდნენ, მიატოვეს მამა-პაპური სახლები, ეკლესიები, საფლავები და ხიდები, ყველაფერი მთაში დარჩა, სადაც, ცხადია, მანდარინის ბაღები არ იყო... ყველაფერი ეს მოგვიანებით, ომის დამთავრების შემდეგ მოხდა, მანამდე კი თავგამოდებით ებრძოდა ხალხი მიწას, ოჯახი და ქვეყანა რომ გამოეკვება, რომ ფრონტის ზურგი ძლიერი და გაუტეხელი ყოფილიყო.

ფატი და ბილალი მთელი დღე ნაშრომი, დაღლილი და დაქანცული სახლში რომ მივიდოდნენ, საქმე არც აქ ელეოდათ. ბავშვებს ასწავლიდნენ შრომის ყადრს, აჩვევდნენ სიძნელეებს... ფატიმ და ბილალიმ კარგად იცოდნენ, რომ ბავშვობიდან იწყება სიკეთეც და სიყვარულიც.

ეს ის დრო იყო, როცა სოფელში თითქმის ყოველდღე მოდიოდა ომში დაღუპული ბიჭების დეპეშები, ჯარისკაცის დედები და ცოლები ფოსტალიონს შიშით შეჰყურებდნენ, მისი ჭიშკართან შეჩერება უბედურებას მოასწავებდა, სიხარულის მაცნე ხომ იშვიათად მოჰქონდა.

ერთხელ ბილალი ბეუანიძეს სოფლის ფოსტალიონი ასლან ჯაფარიძე შეხვდა. ზურგზე დახეული ჩანთა გადაეკიდა და გზაზე მიდიოდა.

— გამარჯობა, ასლან! — მიესალმა ბილალი, — მეც შინ მოვდივარ, ერთად წავიდეთ.

ასლანმა მეზობელს ცივად შეხედა, პაპიროსი მოთხოვა, ბილალმა მიაწოდა, ასანთიც მიაყოლა, ფოსტალიონმა გემრიელად მოქაჩა.

მეზობლები ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. მოსახვევში ასლანი შეჩერდა, ჩანთა მხრებიდან მოიხსნა და ბილალს შეეხვეწა, დამეხმარე რამეო!

— რა გინდა?

— მეტი არ შემიძლია, გასკდა გული!.. ამ ჩანთას ხედავ? შიგ ცეცხლი დევს. შვიდი ვაჟკაცის სიკვდილის ქაღალდი, რა ვქნა, რამდენ ხანს ვმალო? მაგათი დედები ყოველდღე წერილებს მთხოვენ, ცოცხლები ჰგონიათ, ისინი კი... — ცრემლები მოადგა ასლანს თვალზე.

ბილალს შეეცოდა მეზობელი, სახე მოარიდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, — ძნელი დროა, მეზობელო, ძნელი, მაგრამ ეს საქმე, ხომ უნდა აკეთოს ვინმემ?.

— მეყო მე. მეტი არ შემიძლია, რა დავაშავე ასეთი, რომ ღმერთმა ამ ჯოჯოხეთში ჩამაგდო! ჩემი გამოჩენა ეშინია ქალებს, ამ ქაღალდებს, ჩემო ბილალ, წამლის, ცრემლის, სისხლის, სიკვდილის სუნი ასდის, ასეთი მძიმე ტვირთის ტარება მეტი არ შემიძლია, დამეხმარე რამე!

— მე რა შემიძლია?

— უთხარი საბჭოს თავმჯდომარეს, მოკვდა კაცი-თქვა. ეს ოხერი ფეხი რომ არ მტკიოდეს, ჩემი ნებით წავიდოდი ფრონტზე. ერთ ტყვიას ხომ მაინც გავაცივებდი! ასეთ ტანჯვას სიკვდილი მიჯობს, მეზობელო, ღმერთი არა გწამს, დამეხმარე!

ბილალი გაშრა, ხმა ველარ ამოიღო, ფოსტალიონის ჩანთას თვალი აარიდა და უნებურად ფოსტალიონმა ბილალს შეხედა, ჩანთა ძირში დააგდო, — მეჯავრება, მეჯავრება, კაცი ვარ მე? სოფელში, მეზობლებში სიკვდილის ქაღალდებს ვაფრიალებთ... ქვეყანა გადავიკიდე.

— კი მაგრამ, შენ რა შუაში ხარ?

— მე ვარ ამ შავი ქაღალდების მომტანი... გუშინ ბაჯელიძის მშობლებს შევუცხადიე, დღეს თქვენთან მოვდივარ...

ბილალი ნელა მიდიოდა, შეეცოდა მეზობელი, მაგრამ ნუგეშის მეტი რა შეეძლო. ბურად ბაგეზე ერთი სიტყვა მოწყდა: — ჩვენთან?

— ჰო. დეპეშა მაქვს ჩანთაში, ავადსახსენებელი დეპეშა.

ბილალს ისევ ჩაუწყდა ხმა.

— ვინ? — ძლივს ამოღერღა.

— იუსუფ ბეჟანიძე, შენი ბიძაშვილი.

ბილალიმ ფოსტალიონს პირზე ხელი აიფარა, გაჩუმდი, მაგის თქმა სხვასთან არ გაბედოო!

— დავმალო?

— ჰო, ასე აჯობებს. მაგის მეტი არავინ ჰყავთ...

— ქერჩიდან მოვიდა ქალალდი, გმირულად დაეცაო. დავმალო? ასე აჯობებს, ხომ?

— ჰო, ასე აჯობებს. მშობლები ყოველდღე სახლში ელოდებიან, საპატარძლოს ეძებენ, დედამისს მისი ლოგინი არ დაულაგებია და ჯოჯოხეთი გინდა დაატრიალო? ნუ ვიზამთ ამას. დაე, ელოდონ!

— მეც ამიტომ გთხოვე დახმარება, — ასლანმა სახე მოარიდა აცრემლებულ მეზობელს, გულში ჩაიკლა დარდი და აღმართს აუყვა.

ბილალი უგუნებოდ დაბრუნდა სახლში, ვითომ მწუხარებას არ იმჩნევდა, მაგრამ მეუღლეს ქმრის უხასიათობა არ მოეწონა და პირდაპირ ჰკითხა:

— ავად ხარ?

— არა.

— კაცის ფერი არ გადევს.

— დავიღალე.

— რაღაც არ მჯერა. — არ მოეშვა ფატი.

— მართლა დავიღალე. — ახლა უფრო დინჯად თქვა ბილალმა და როგორც კი ფატი საქმეს შეუდგა, აივანზე გავიდა, იქვე ახლო იდგა იუსუფ ბეჟანიძის სახლი, ოთახიდან მბუტავი ჭრაქის შუქი ანათებდა, მოხუცმა ბიძამ ძროხას ჭიშკარი გაულო. ბილალს უფრო ეტკინა გული , — სამი შვილიდან არცერთი არ შეარჩინა ღმერთმა, საქმეა აგი. — მისთვის ჩაილაპარაკა და პირზე ხელი აიფარა, ჩუმად ბილალ, ჩუმად, ვინმემ არ გაიგონოსო!

ოთახში ბავშვები ხმაურობდენ, ბილალს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, შვილების მოსიყვარულე მამა ვერ იყო ხასიათზე, ძალად ცდილობდა გაღიმებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, მწარე ფიქრებში ჩაძირულმა უგემურად ივახშმა და წამოწვა. მთელი ღამე თეთრად გაატარა, მხოლოდ უთენია წაეძინა, მაგრამ იუსუფის სახე მოსვენებას არ აძლევდა, თვალი რომ გაახილა, საწოლთან ფატი იდგა.

— ხომ მშვიდობაა? — ჰკითხა მან.

— კი. რატომ მეკითხები.

— მთელი ღამე არ გიძინია, მხოლოდ დილით წათვლიმე, მაინც რა მოხდა?

— არაფერი.

— იუსუფს ახსენებდი ძილში.

—სიზმარი ვნახე ცუდი.

— რამე ხომ არ მოუვიდა მაგ ბიჭს ფრონტზე?

— რა უნდა მოსვლოდა. ომი მალე გათავდება და ჩამოვა.

ბილალიმ მაინც არ გაუმხილა მეუღლეს საიდუმლო, ქალია, წამოცდებაო, ფიქრობდა და მარტო გულში იკლავდა ტკივილს!

დამთავრდა ომი. იუსუფი არსად ჩანდა. მოხუცი მშობლები დიდხანს ელოდნენ, იმედს არ კარგავნენ, მაგრამ ბიჭი იგვიანებდა.

— წადი, ბილალ, იკითხე, სადაა ჩემი ბიჭი, ომი დამთავრდა, რატომ არ მოდის? — ეხვეწებოდა ჭაღარა დედა.

წარმებული ბიბლიოთეკა

ბილალი ამშვიდებდა:

— მოვა, აი ნახავ, მოვა. ყველას ერთად ხომ არ გამოუშვებენ.

დედა ალუბლის ხესთან მივიდოდა. — რამხელა გაიზარდა, ჩემი იუსუფის დამყნილია, აგერ სუთჯერ აყვავდა, ბიჭი კი არ ჩანს...

მამა მთლად მოიხარა წელში, ომის დაწყების მერე წვერი აღარ გაუპარსავს, ამ ბოლოს ავადმყოფობაც შეეჩვია, ერთ საღამოს შვილზე დანატრებული მიიცვალა. არ გასულა დიდი დრო და მეუღლეს ჯარისკაცის დედაც მიჰყვა.

იუსუფის დამყნილი ალუბლის ხე, ვინ იცის, მერამდენედ ყვაოდა ხუცუბანში...

ომი რომ დამთავრდა, ქვეყანამ სული მოითქვა, მაგრამ ამით ყველაფერი როდი მოთავდა. დაიწყო ისევ ახალი რეპრესიები, უდანაშაულო ხალხის ხელმეორედ აწიოკება, განსაკუთრებით ტყვეობაში ნამყოფი ჯარისკაცების გადასახლება. სოფელს იმ დროში კაცის ხელი სჭირდებოდა, საჭირო იყო ჩამორჩენილი მეურნეობის ფეხზე დაყენება, ეს კი მოხუცებს და ქალებს არ შეეძლო. „სამშობლოს მოღალატეებზე“ ნადირობა ისევ გრძელდებოდა.

— ხასან ტაკიძე დაიჭირეს დღეს. — წყენით თქვა ბილალიმ და თეთრ წვერზე ხელი მოისვა.

— რაო, რა დააშავა მაგ უბედურმა?

— ტყვეობაში ყოფილა თურმე.

— პარტიზანი იყოო, ასე არ ამბობენ?.. ორდენებიც ჩამოიტანა. ახლა გახდა მოღალატე?

— ორდენები ჩამოართვეს და გადაასახლეს.

— ახლახან ცოლიც ხომ შეირთო?

— ცოლიც გაჰყვა ციმბირში.

— მამუდ რომანაძეც დაიჭირეს.

— მაგიც ტყვეობაში იყო?

— ყოფილა, აბა. იმასაც ამბობენ, პარტიზანების მეთაური გამხდარა და პარტიაშიც იქ შესულა...

— და მაინც გადაასახლეს?

— ეჰ, ვინ არკვევს ამას ახლა.

ფატიმ ქმარს შეხედა, მერე მისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა: — ომი მოვიგეთ, რამდენი ხალხი გაწყდა, მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი რაღად უნდა. განა ასე შეიძლება?

— აბა, აბა. მარტო ჩვენი სოფლიდან გადაასახლეს ოცამდე კაცი, გაცივდა ოცი ოჯახი, დააკლდა სოფელს მუშახელი, მერე რისთვის?

ბუხრის პირას დიდხანს საუბრობდა ხანდაზმული ცოლ-ქმარი.

ცხოვრება გრძელდებოდა, ხალხი მარჯვედ შრომობდა, ნელ-ნელა იშუშებდა ომის იარას, შენდებოდა ახალი ქვითკირის სახლები, გაჰყავდათ გზები, გახშირდა ქორწილი, ძეობა, მომრავლდნენ ბავშვები... სოფლის გზაზე გამოჩნდა მსუბუქი ავტომანქანები, ზოგი გადასახლებიდანაც დაბრუნდა, გათბა ჩამქრალი კერა, გამხიარულდა ეზოფუძე, თუმცა ომის ჭრილობა დიდხანს სტკიოდა ხალხს.

ფატი და ბილალი ძველებური შემართებით მუშაობდნენ. წამოიზარდენ შვილები. ერთნი საშუალო სკოლას ამთავრებდენ, სხვები პირველად მოდიოდნენ სკოლაში. მრავალშვილიან ოჯახს მეტი თავსატეხი, საზრუნავი და საფიქრალი აქვს. გაუმართლა ბედმაც, საბედნიეროდ ბავშვები ნიჭიერი, მშრომელი და პატიოსანი გამოდგნენ. ფატი წაიტრაბახებდა ხოლმე, ბაბუას, — თევრათ ცივაძეს ჰგვანანო. მართლაც, თევრათ ცივაძის ოჯახის ჭერქვეშ კარგი მამულიშვილები აღიზარდნენ. ბატონ თევრათს შვიდი შვილი ჰყავდა, ყველას (ფატის გარდა) უმაღლესი განათლება ჰქონდა.

ამ ოჯახში აღიზარდნენ ცნობილი აგრონომი, საზოგადო მოღვაწე ილია ცივაძე, საქართველოს დამსახურებული აგრონომი დურსუნ ცივაძე, განათლების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ქალბატონი ეთერ ცივაძე.

შვილების ტრადიციები შვილიშვილებმა გააგრძელეს. ფატი ცდილობდა თავისი შვილებიც ამ ტრადიციებით აღეზარდა და მშრომელმა დედამ ყველაფერი გააკეთა ამ მიზნის მისაღწევად, მანაც მამასავით სამშობლოს სახელოვანი შვილები აღუზარდა, რითაც ნათლად მოიხადა ქართველი დედის ლამაზი ვალი. დედ-მამის ბედნიერებაც ხომ სასახელო შვილების აღზრდაა, ამ მხრივ მათ ვერავინ დაემდურება....

მინაწერი:

დედის თვალებს ყოველთვის ენატრება შვილების დანახვა, მაგრამ დრო, დრო ცოტაა, სამუშაო — ბევრი, ამიტომ შვილები არცთუ ხშირად ხვდებიან საყვარელ ფატის, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას მაინც გააღებს კარებს და მათთან შეხვედრის მოლოდინში ფიქრებში ჩაიძირება, რა ტკბილია ეს ფიქრები!..

ნურც შვილებს ნუ გავამტყუნებთ, თითოეულს სერიოზული და საპატიო მოვალეობა აკისრია. უფროსი ვაჟი მიხეილი დედის პირველი სიხარულია. მან ჯერ ოდესის ეკონომიკის ინსტიტუტი დაამთავრა, მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ცხოვრების ძნელი და საპატიო გზა გაიარა, ამჟამად გენერალი მიხეილ ბეჟანიძე აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრია. ასეთ პოსტზე კაცს საზრუნავს და საფიქრალს რა გამოულევს, მიუხედავად გადაუდებელი საქმეებისა, იგი ხშირად ჩამოდის ხუცუბანში, დედას მოინახულებს, მოეფერება, ხელებს დაუკოცნის, მის მადლიან კალთას დალოცავს... ქალბატონ ფატის, რა თქმა უნდა, უფროსი შვილის ასეთი ყურადღება სიამოვნებს და ცრემლმორეული იღიმება.

— მაპატიე დედა, კვირას ვერ ჩამოვალ, მოსკოვში მივდივარ. — აფრთხილებს მიხეილი.

— წადი, შვილო, წადი, ოღონდ ჭკუით იყავი. — ძველებურად არიგებს.

მიხეილს გაეღიმება და დედას ლოყაზე აკოცებს.

— დედა, ახლაც პატარა ხომ არა ვარ. გავიზარდე....

— ჩემთვის, შვილო, შენ ყოველთვის პატარა ბიჭი ხარ. — ეტყვის მშობელი. წავა და ვახშმის თადარიგს დაიჭერს. ქალბატონ ფატის გემრიელი კერძების დამზადებაში ბადალი არა ჰყავს მთელს სოფელში. ამ ხნის ქალს გულით უხარია სამზარეულოში ტრიალი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მონატრებული შვილები ესტუმრებიან და დიდი ოდა მხიარულობს.

ქალბატონი ლამარა სამაგალითო პედაგოგია, მას პატივს სცემენ ხუცუბანში, დაგვასა და ბობოყვათში, იგი გეოგრაფიის სპეციალისტია, დედა რომ მოენატრება, შინ მოიჩქარის, შვილებიც მოჰყავს ბებიასთან.

იოსებმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა ოდესაში, ახლა იგი მშობლიურ სოფელში სასათბურე მეურნეობას ხელმძღვანელობს. იგი ბავშვობიდან გამოირჩეოდა მიწისა და ბუნების სიყვარულით, იოსები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია.

იოსების კვალს გაჰყვა ქალბატონი მერი, რომელმაც თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, მერი მოსკოვის ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის ქობულეთის ფილიალის მეცნიერი თანამშრომელია, ძმას არც მეცნიერულ მუშაობაში ჩამორჩა, ისიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია.

ვინ მოთვლის, ქობულეთის საკონსერვო ქარხანაში რამდენ ქილა მზა პროდუქციას

გაუვლია ქალბატონი ქეთევანის ხელში, გამრჯე ქალი, ინჟინერ-ტექნოლოგი, პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას. ქეთევანმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

ქალბატონი რუსუდანი ჩვენი პატარების აღმზრდელი და მოამაგეა, მას ქვეყნის, ერის წინაშე მეტად საპატიო მოვალეობა აკისრია.

ნაბოლარა მერაბმა უფროს და-ძმებს ტოლი არ დაუდო, ოქროს მედალზე დაამთავრა ხუცუბნის საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ასევე წარჩინებით — კიევის სავაჭრო ეკონომიკური ინსტიტუტი, მოგვიანებით კი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ ცხოვრების საკმაოდ ძნელი და დიდი გზა გაიარა. იყო ქობულეთის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, შემდეგ აირჩიეს საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში განაგებს ერთ-ერთ განყოფილებას. ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმი, მუშაობს აჭარაში ციტრუსების განვითარების პერსპექტივებზე.

დაოჯახდა, პედაგოგი აირჩია ცხოვრების თანამგზავრად, დედასთან სიახლოვე ურჩევნია ყველაფერს, დედაც თვალებში შესციცინებს თავის ნაბოლარას.

მართლაც საამაყოა, შვიდი შვილი გყავდეს და შვიდივე ასე სახელოვანი, ეს გახლავთ ყველაზე დიდი ღვაწლი, ვალი დედისა, რომელმაც არაფერი დაზოგა — არც ძალა, მონდომება. უნარი, ღამეები თეთრად ათენა, რომ ასეთი შვილები დაფრთიანებულიყო მის მაღლიან კალთაში. სანამ გაიზრდებოდნენ და საკუთარ გზას ნახავდნენ, რამდენი რამ იყო საჭირო ეს მხოლოდ დედამ იცის, დახედეთ მის ხელებს და მიხვდებით, რა წვითა და დაგვით გაუზრდია ისინი.

დიდება და მადლი ქართველ დედებს! უწინაც და დღესაც საქართველოს მრავალშვილიანი ოჯახები სჭირდებოდა და სჭირდება. ამის ერთი ლამაზი მაგალითი ქალბატონი ფატიცაა. სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი, რომ საქვეყნოდ მეთქვა ქება ამ სანდომიანი ქალისა, საქართველოს დიდი დედისა, ერთი ნახეთ, როგორ იღვრება იგი ლიმილად, როცა ირგვლივ ეხვევიან შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... ბედნიერი მშობელი ცრემლებს ვეღარ იკავებს, მაგრამ ეს სიხარულის ცრემლებია.

ეზო და სახლი ივსება ბავშვების ჟივილ-ხივილით, ყველაფერს აცოცხლებს მათი თამაში, კისკისი, სიმღერები და ლექსები. განა ამას რამე შეედრება? სწორედ ესაა საქართველოს უკვდავება!

ქალბატონი ფატი ყველაზე პატარა შვილიშვილს ყველაზე მეტად ეფერება. უმეტესობას კი პატარები აღარ ეთქმით, მიხეილის ვაჟიშვილი ექიმია და ბათუმის სამშობიარო სახლში მუშაობს, დავითი მამამისის კვალს გაჰყვა, მილიციის ოფიცერია, ქალბატონი ლამარას ქალიშვილი, ლიანა, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, ინდირა გამომძიებლად მუშაობს ქობულეთის რაიმილიციაში, ავთანდილი აგრონომია და გვარას კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას თავკაცობს.

სხვა დანარჩენებიც მალე გამოვლენ ცხოვრების დიდ გზაზე: ფრიდონი, ჯემალი, ვახტანგი, რუსლანი, ნუნუ, მადონა, ლევანი, ნინო, ფატიმა, ინგა, ირაკლი, დათო და ირაკლი. პოეტისა არ იყოს, იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

მათ შემყურე დიდ ბებიას, შეუძლია ახლა მაინც მოსვენებული იყოს, მაგრამ უსაქმურად მაინც ვერ ძლებს, როცა კედელზე სურათს შეხედავს, თვალები ცრემლით ევსება. გული სტკივა, მის გვერდით საყვარელი მეუღლე ბილალი რომ არა ჰყავს, ამ დიდ სიხარულს რომ ვეღარ განიცდის, ვეღარ ხედავს სიცოცხლით ანთებულ ამდენ თვალებს.

ბილალი ადრე გატეხა შრომამ, გაჭირვებამ, მძიმე წლებმა, როცა წელში გაიმართა, შვილები წამოეზარდა, ყველა თავის გზას დაადგა, როცა ქვეყნისა და ოჯახის წინაშე მშობლის ვალი მოიხადა, შემოალამდა, მაგრამ დავითი თუ ირაკლი, ქეთევანი თუ ფატიმა მისი სულის ნაწილი არაა? მისი უკვდავება, სახელი და დიდებაა!

...ამას წინათ ვიყავი ბილალი ბეჟანიძის ოჯახში, ვნახე დიდი ქართული ოჯახის ფუძე-კერა, შესანიშნავად მოვლილი კარ-მიდამო, ყველაფერს გამრჯე კაცის ხელი ატყვია.

ზამთარი იდგა, ციოდა, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა... ღიმილით შეგვხვდა ოჯახის დედა, ქალბატონი ფატი, სანდომიანი, სტუმართმოყვარე, ღიმილიანი.

მოწიწებით ხელზე ვეამბორე. იშვიათად მინახავს ასე მშვენიერი მოხუცი, სკამი მომაწოდა, თვითონაც დაჯდა, ოთხი პატარა გოგონა ბებიასთან გაჩნდა, ყველაზე ციცქნა მუხლზე დაისვა:

— წუთითაც არ მომასვენებენ. — თქვა და ბავშვებს გაუღიმა.

მერე დაიწყო საუბარი, ბევრი რამ გაიხსენა, რაც თავს გადახდა, ხშირად იგონებდა ბილალს, მოჰყვა შვილების ამბავი, — ვინ როგორ სწავლობდა, შრომობდა, გაიხსენა ძველი დრო, როგორ დაწვეს ჩადრი, როგორ გაიცნო მეუღლე... ძალზე მომეწონა მისი ლაპარაკი, მისი ქართული.

ამ ოჯახში სითბო და სიმყუდროვე სუფევს, კაცი იგრძნობს უმცროს-უფროსობის პატივს, შინ თუ გარეთ ყველგან წესრიგია, ეზო-კარს გამრჯე კაცის ხელი ატყვია, ყველაფრიდან ჩანს რომ მშობლებმა შვილებს ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, შრომის დიდი სიყვარული შთააგონეს. სხვაგვარად არც კი შეიძლება! კაცს თუ შრომა არ უყვარს, იგი არსად არ გამოდგება. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა.

სწორედ ამიტომაა, რომ ამ ოჯახში დაფრთიანებული გოგო-ბიჭები შრომით, სწავლით, განათლებით, მამულიშვილობით გამოირჩევიან, ესეც მშობლების დამსახურებაა, მათ შესანიშნავად შეუხამეს ერთმანეთს შრომა და ალზრდა, ეს კი ბევრს ნიშნავს, ეს დიდი ხელოვნებაა.

როცა ქალბატონ ფატის ყურადღებით ვუსმენდი, აზრი დამებადა, წიგნი დამეწერა, ძალზე მომეწონა ეს ჭარმაგი ქალი, საჭიროა ყველამ იცოდეს, თუ რა დედები ჰყავს საქართველოს.

ჩანაფიქრი რომ გავუმხილე, მოხუცმა გაკვირვებით შემხედა.

— წიგნი დაიწერება თქვენზე, სხვებმა რომ მოგბაძონ. — გავუმეორე.

— მე მისაბაძი რა მაქვს, შვილო, — ჩვენს სოფელში ჩემზე უკეთესს ბევრს ნახავთ.

— კარგი შვილების გამზრდელი დედა ღმერთს შეადარა ვაჟამ. მართლაც, ბევრი შვილის კარგად გაზრდას დიდი ძალა და უნარი სჭირდება.

— ქალის ვალიც ესაა, შვილო, — მოკლედ თქვა. — მრავალშვილიანობა წინათ არავის უკვირდა.

— ახლანდელი ქალები რომ იკიწყებენ ამ ვალს?

— ცუდია მაგი. ერთი ან ორი შვილის ყოლა ვერაფერი დედობაა, საქართველოს გამრავლება სჭირდება, სხვაგვარად არ შეიძლება მომავალზე ფიქრიც. მე შვიდი გოგო-ბიჭი გავზარდე, მაშინ უფრო ჭირდა, ახლა? ათიც და მეტი შვილის ყოლა შეიძლება. საქართველოს მრავალშვილიანობა თუ იხსნის დღეს.


— სწორი ბრძანდებით. — გამეხარდა.

— ჰო და, გამრავლდით! — აი ჩემი სიტყვა. ჩვენ გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, ჯერი თქვენზეა, საქართველოს გამრავლება სჭირდება, თორემ ძველი ტაძარივით გაპარ-

ტახდება. ქვეყანა ხალხით არის მდიდარიც და ძლიერიც. ეს სახლიც ლამაზი და ჭერმაღალი ჩემი ნამრავლითაა, თორემ რა ფასი აქვს ალუბალს, რომელიც ნაყოფს არ ისხამს, ასეთ ხეს ჩიტებიც არ გაეკარება ახლოს, ხომ ასეა?

შევხედე. ეს კეთილი ქალი უფრო ამაღლდა ჩემში, სწორედ ასეთმა დედებმა გადაარჩინეს ძნელბედობის ჟამს საქართველო. ქართველი დედის გულში არა მარტო შვილების, ოჯახის სიყვარული ენთო კელაპტარივით, არამედ მამულისათვის თავგანწირვის სიყვარულის ცეცხლიც გიზგიზებდა.

მართლაც ბედნიერია ქალბატონი ფატი, ღმერთმა გაახაროს. დამილოცია მისი მადლიანი კალთა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი თევზაძე

* * *

ნეტა, სულებ რას სჩადიან უფალო, სულეთს,
მას გასცქერიან გარინდებით სამოთხის ხიდან?
გალმა ნაპირზე მინდოდა და.. მაქციე ხიდად,
რომელსაც არვინ არ მიადგეს იქნება სულაც.
დარჩებათ შვილებს, კაცთა შიგან რაიც ბნელია,
შენი კალთის ქვეშ ჩაცხრებიან სულნი ვნებულნი
და შენი ნათლით სამუდამოდ შერიგებულნი,
რისკენ ილტვიან მომავლისგან რას მოელიან?
მარქვი, უფალო, შორეული გზა-კვალი ჩემი,
მანდ, შენს წიალში, მახლობელთა სულების გვერდით,
რა მელოდება, განსაცდელით მდიდარი ბედი,
თუ მარტოოდენ სხივმოსილი სიმშვიდე ჩუმი?
იქნება მგზავრიც კი გამოჩნდეს უგზო-უკვალო,
მარქვი, სულები რას სჩადიან სულეთს, უფალო.

* * *

გზად ლამაზმანმა ჩაიარა ნატიფი რწევით,
მწვანეს ელიან მანქანები ფერად-ფერადი.
ვზი მოწყენილი, პოლოდინით სავსე ყელამდე,
დროა, წავიდე. მაგრამ საით, შიგნით თუ ზევით?
დალლილო მზეო, ამღვრეული სხივებით ვთბები.
სადღაც ჩემს ახლოს, თუმცა შენ არ მიგიძღვის ბრალი,
ჯეჯილის თავზე გრიგალივით ნავარდობს წყალი,
ჩამოდის მთები, მშობლიური ჩამოდის მთები.
ქუჩაც ხმაურობს უგულოდ და ძალისძალათი.
(როგორც ჭადრაკში, დაკარგული უფლება როქის,
დრო აიძულებს შეისწავლოს პოპი და როკი)
და გიჟიც მარჯვედ მოაბიჯებს ქალის ხალათით.
დღეები მძიმედ, მაგრამ წლები — სულ ნება-ნებით,
შიგნით თუ ზევით. ღვთაებრივი, შიგნით თუ ზევით.

* * *

ნამოსახლართან შემკრთალი ვდგები.
ხმა მომაწვდინე, წინაპარო, საკუთრივ შენი,
მარქვი, რა იყო შენი ფიქრი და შენი შანა,
სხვათაგან ვიცი, სხვათა სიტყვით ნაძებნი გზები.

შენკენ სავალი მკრთალია და... შემკრთალი ვდგები.
შემოაქვს ბერძენს სამკაული ფერადფერადი
და გალაქული ამფორები ფასობენ ძვირად,
სატრფოს თვალები ჟინითა და ნდობით ელავდნენ
და შენც ყიდულობ, თუმცა გულში არ გიღირს ჩირაღ.

გემზე აზიდეს ირმის ტყავი ათჯერ ათასი,
შეჰყურებ ხომალდს ჩუმი შურით, ბოლმით, დარცხვენით,
ხარობს ბერძენიც, მოხატული ფიალის ფასად
მიაქვს საუნჯე აურაცხელი.

ბუნდოვნად გახსოვს ქალაქები ხღუდემაღალი,
დინჯი რონინი, ასულების ლერწამტანების.
ქედმოდრეკილნი მოდიოდნენ რიდით და კრძალვით
უცხო ქვეყნელი მოვაჭრენი და დესპანები.

ნუთუ ეს შენ ხარ, შემოსილი ნადირის ტყავით,
კიმერთა მოდგმის ნატერფალი წარხოცა ქარმა.
გასრულდა, განრა კიდევ ერთი სიზმარი ავი,
იქნება ბედმა ახლა მაინც გატაროს წალმა.

ო, წინაპარო. მეც ბუნდოვნად მახსოვს თამარი,
მახსოვს დავითი და ელჩები მოსულნი შორით,
როგორც შენ გახსოვს კიმერიის ავი ლახვარი.
მეც დღემდე მომყვა მონღოლთაგან დაკრული ტორი.

ო, წინაპარო, ხმა მაწვდინე საკუთრივ შენი,
ერთი ბედი გვაქვს და სიზმარიც თითო ნათელი,
სამ ათასწლეულს შევკვნესივართ ამ ერთი ენით,
შენ კოლხი გქვია, ანდა ქართი, მე კი – ქართველი...
ნამოსახლართან შემკრთალი ვდგები.

• • •

გვედრებდი: გზები გამინათეო,
განაწამები დროსთან კირთებით,
გაუტანელო, ცრუ სიმართლეო,
ჩემი სიმართლით შენ არ გჭირდები.
შენ ფარად იქეც დიდი სიცრუის,
რათა ახალი გზებით იაროს,
რომ ცრუ სალბუნი დაადოს შუბლზე.
წიწამურს — ქართლის გახსნილ იარას.
რომ ნება დამრთოს დავლვარო ცრემლი,
რომ შევურიგდე ამ ცრუ სამძიმარს,
რომ იმავე ზღვას შევერთო მრევლით,
რომელმაც უკვე ასგზის დაგვძირა.
და წიწამურიც ახალ კვირტს ისხამს,
აღარ სურს მხოლოდ ხსოვნად დარჩენა,
ავაგლეჯ სალბუნს, იდინოს სისხლმა.
იდინოს სისხლმა და გზა გვაჩვენოს.
დე, წმინდა სისხლი ნათობდეს ბნელში,
ნათობდეს ბნელში
და ბნელს კვეთავდეს,
რომ გაჰყვეს ქართლი სანთლებით ხელში
წიწამურიდან ბაზალეთამდე.

* • •

თავდადება არ გვიკვირს,
მამაცი არ გვაოცებს,
შენ კი... გასაოცართ
ათასწლებს შეულოცე,
ხარ სიკვდილის ურჩი,
შენი ფარით, შენი ხმლით.
შენი ჯარით, შენი ხმით
ტახტი სხვას განუბოძე.
ერისთავო ეგრისის,
დიდებულო ქუჯი.
იმ სამ სიტყვას მადლიანს
ყოფნისტოლა ფასი აქვს,
უდრის დიდგორ-ბასიანს,

გაგვანათა რომელმაც.
დიხთ-დასავლის მმართველმა.
ასი ციხის მფლობელმა,
ასი რკინის ბურჯის,
ეს როგორ თქვი ქართველმა
შენს თანასწორ ქართველთან,
ჩემზე უფროსი ხარო...
ერის სული ახარე,
ერისთავო ქუჯი.
შენ თქვი: დაგეხმარები,
შენ თქვი: ტახტი არ მინდა
და ქართლი და ეგრისი
საქართველოდ დაღვინდა.
დაიმკვიდრე დიდება
მარადი და მუნჯი,
შენს სახელს არ არქმევენ
ქუჩებსა და ქალაქებს
ჯიშის უკვდავება ხარ,
ერისთავო ეგრისის,
საოცარო ქუჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისაბედ ღაღაშვილი

საიუბილეო მიპატიჟება

იოსებ ნონეშვილის ხსოვნას.

კარდანახულ ღვინით გლოცავთ, ბიჭო კარდანახელო,
საქართველო გადღეგრძელებს, ალავერდი, კახელო!

ჩაგრეხილო ვაზის ყლორტო, ზეცის მადლით ნათლულო,
გაჯიქნული ყურძნის წვენით დათაფლულო ქართულო.

რა ვიღონოთ კახელებმა, საით გაინაპირებთ,
სად აღვნიშნოთ იუბილე, წასვლას საით აპირებთ?

თუ ჩამოხვალთ შენს მხარეში, გულს გაგიშლით მხიარულს,
ერთ დღეს მაინც დაგავიწყებთ საზღვარგარეთ სიარულს

არ გამოგრჩეთ არსად ჩასვლა, ყველა მოინახულეთ.
ნახეთ ჩვენი გამრჯე ხალხი, ხალხი მოჭირნახულე.

მოეფერეთ გომბორის მთებს, კავკასიონს, ალაზანს,
და ყვარელში დაგაბრძანებთ ამ ზეიმის თამადად...



ვოლტერ ჰანტურია

ჭანას აღსარება

მესამე, დამამთავრებელი მოთხრობა საზღვაო ციკლისა (პირველი „პოსეიდონი“ იყო, მეორე — „შეხვედრა ვენეციაში“, ისინი სხვადასხვა დროს „ჭოროხში“ დაიბეჭდა).

ჩემო პოსეიდონ!

ულმობლად მომიახლოვდა ვერცხლის ძაფით მოქარგული შემოდგომა — ჩემი ახალგაზრდობის დაისის წინასწარმეტყველი.

ზუსტად არ მახსოვს ვის, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ერთ-ერთ დიდ მოაზროვნეს უთქვამს: ადამიანს აღსარების სურვილი არასდროს გაუქრებაო.

და აი, მეც გადავწყვიტე ფეხი ავუწყო სიყვარულის იმ ცეცხლის ალს, რომელიც შენ ჩემი მეთვრამეტე გაზაფხულის საზეიმო დღეს ამიგიზგიზე.

ო, ღმერთო ჩემო! გემუდარები, მომეცი რწმენა და მიეც სწორი გზა ჩემს საწერ-კალამს, რათა იგი ხატავდეს მართალს და მხოლოდ მართალს.

ჩემო პოსეიდონ!

მას შემდეგ, რაც შენ გუდა-ნაბადი აიკარი მარსელიდან, მე დიდხანს მივსტიროდი ჩვენს განშორებას, თუმცა ვიცოდი, რომ ეს აუცილებელი იყო. ექიმმა ლეფრანსემ მახარა მაშინ: „რა კარგია, რომ მოხვედით, ჟანა, შეხედეთ, თქვენი პოსეიდონი აგერ-აგერ გაფრინდება. ივი თვალდანამული გეძებდათ, ძალიან წუხდა. ო, როგორ გაახარა თქვენმა ბარათმა! ჟანას გადაეცით, აუცილებლად ვუპასუხებო, მითხრა“. შენც მალე აიჭერი ცაში და გაუჩინარდი. შენი პასუხი?.. არ იყო პასუხი, ალბათ, დღესაც მოფრინავს შენი ქაღალდის ჩიტი, მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ამ ჩვენს მიწა-წყალზე თითქმის ყველაფერი კანონზომიერად ხდება. პრეტენზიას არაფერზე ვაცხადებ. მეზღვაური ხომ შევიყვარე და ისიც უცხო ქვეყნის მკვიდრი? უნდა მცოდნოდა, როგორც თქვენში მღერიან ხოლმე, რომ მეზღვაური „დღეს აქ არის, ხვალ კი — იქაო“. მე მხოლოდ მინდა ამ აღსარებას ვაზიარო ჩემი გრძნობისა და სიყვარულის ხან ტკბილი და ხანაც მწარე განცდები.

გადიოდა დრო — ყოველგვარი ჭირ-ვარამის დასტაქარი, მაგრამ იგი უძლური აღმოჩნდა ჩემი სვე-ბედის მიმართ. მე ნოტრდამის ხშირი სტუმა-

რი გავხდი, სადაც ღვთისმშობელს ვევედრებოდი, რომ შენ სწრაფად გასულიყავი ზღვაში, ვინძლო კვლავ ჩაგეგდო ღუზა ჩემს ყურეში. ოცნება დარჩა, არც შენ ჩანდი და არც შენი გემი. მე დღედაღამე გულს მიღრღნიდა სულის სიცარიელე და სევდა...

ჩვენი გულწრფელი სიყვარულის შიშნარევმა ჟამმა გაიარა თუ არა, ნათელი გახდა, რომ შენი სულის ნაწილი ჩემში დაბინავდა. თვალცრემლიანი და აკანკალებული შევსცქეროდი ღვთისმშობელს, როცა ამ ამბის მოწმე გავხდი. განა არ მოველოდი?! მერე და როგორ! მაგრამ, გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო, იტყვიან, ეს სინამდვილე მაინც მეხივით დამატყდა თავს. და კვლავ მთელი სიცხადით დაიძრა გონებაში მოგონებების ზვავი იმ პირველი სიყვარულის სიხარულისა, რაც ვიგემე ჩემი სრულწლოვანების მიჯნაზე. ჩემი აფორიაქებული სულის კივილს ექოთი უპასუხა ნოტრდამის ტაძრის კედლებმა. ეს მოხდა იქ, სადაც შენ ვერცხლის ხურდა გადაუგდე ბედს იმ იმედით, რომ დღეს თუ არა ხვალ კვლავ ესტუმრებოდი ამ მიწას. და მართლაც, შენი ოცნების ასრულების დრო დადგა: მოვდივარო, ტოკავდა შენი მემკვიდრე. გონს რომ მოვედი და ჩემს ირგვლივ შეკრებილთ თვალი მოვავლე, ვიღაცის გამკილავი კილოთი ნათქვამი მომხდა ყურში: „ახალგაზრდული სიგიჟის ბრალია, გაუვლისო“. ო, რარიგ მეტკინა გული და დამიბნელდა თვალები. ძლივს წამოვდექი. ვიღაცამ ხელი შემაშველა. გულისხმიერ ადამიანებს მადლობა გადავუხადე და გასასვლელისაკენ გავსწიე. ჩემს გვერდით ვიღაც ახალგაზრდა ვაჟი აღმოჩნდა და კეთილი სურვილებით გამომეცნაურა. მე გაოგნებული შევსცქეროდი უცნობს და თვალებს ვერ ვუჯერებდი. ის კი განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მე არაფერი მესმოდა, თითქოს არც კი ვიყავი ამქვეყნად. მომეჩვენა, რომ შენ გამომეცხადე. კინაღამ ავღრიალდი, მაგრამ უცებ გონს მოვედი, ჩემი თანამგზავრი კი, რა თქმა უნდა, განაგრძობდა სიტყვას.

— მე მესამეჯერ ვხედავ თქვენს მოწყენილ თვალებს ამ ღვთისმშობლის ტაძარში. ნუ გაგიკვირდებათ, აქ მეც ხშირი სტუმარი ვარ. ნოტრდამის სამრეკლოდან ზღვის სივრცეს გადმოყურე მარიამ ღვთისმშობლის ქანდაკება ხომ მეზღვაურებისა და მეთევზეების მფარველია. ჰოდა, ვენეციელი მეთევზე გახლავართ, — დიდი პათოსით ლაპარაკობდა იგი.

მე ძლივს მივლასლასებდი. შეამჩნია რა ჩემი სისუსტე, მეთევზემ ხელკავი გამიკეთა. წინააღმდეგობა არ გამიწევია. პირიქით, წარმოვიდგინე, რომ ჩემ გვერდით შენ მოსეირნობდი. მერე მან თავის „კადილაკში“ ჩამსვა და სახლისაკენ გამაქროლა. თუკი თქვენი ნება იქნება, შემოგივლითო, მითხრა დამშვიდობებისას. მე თანხმობის ნიშნად თავი დავხარე, და ჩემმა ნაცნობმა მოუხშირა ჩვენს ოჯახში სიარულს, მამაჩემსაც დაუმეგობრდა. მათ მალე მონახეს საერთო ენა. მამაჩემს ხომ სიგიჟემდე უყვარს თევზაობა.

ერთხელ, როცა ვენეციელმა ფერმკრთალ-მოყვითალო ხის დაფაზე

ამოტვიფრული ჩემი შიშველი ტანის ნახევარფიგურა დაინახა, საბაბი მო-
მეცა ჩვენი სიყვარულის ამბავი მომეთხრო მისთვის. ვუთხარი, რომ ჩემს
ჰორიზონტზე შენმა გამოჩენამ, როგორც სიცილიაში იტყვიან, ელჭექით
გამგმირა, არ დამიმალავს ჩვენი საიდუმლოც — შენი ჩემს გულში სამუდა-
მოდ დასადგურება. ვუამბე, რომ შენ ჩემი ფიგურა თვალებდაბნელებულმა
ამოკვეთე, რითაც ჩემი გრძნობის განმგებელი გახდი. ისიც არ დამიმა-
ლავს, რომ შენ ჩემს ცხოვრებაში ცეცხლმფრქვევი ვულკანივით შემოიჭე-
რი და ისე მოინადირე ჩემი არსება, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწა-
რი. მე ვენეციელ მეთევზეს ფართოდ გავუხსენი გულის კარი, სადაც შენი
ორეული რომ დაინახა, მან ჩემი გულწრფელი აღსარების სინამდვილე და-
ჯერა. იგი დიდხანს დუმდა, ხან მე შემომხედავდა და ხანაც — დაფაზე
ამოკვეთილ ჩემს ფიგურას. მერე ფეხი აითრია და უსიტყვოდ წავიდა თავ-
ბრუდახვეული.

და მიჰყვა ერთიმეორეს უფერულ დღეთა წყება...

და ვენეციელი მეთევზე კვლავ მომევლინა წითელ-წითელი ტიტების
თაიგულით.

და ვენეციელი მეთევზე ჩემი მეუღლე გახდა, იგი ამაყობდა თა-
ვისი ბედნიერებით. ყოველდღე გადიოდა ზღვაში და ყოველთვის მახარებ-
და ადრიატიკის ჯურღმულებში ნანადირევით.

თითქოს ყველაფერი იმდენად კარგად იყო, რომ უკეთესზე არც კი
ვფიქრობდით. საუბედუროდ, შავმა ბედმა მორიგი დარტყმა მაგემა. ჩემი
ვენეციელი ზღვის რაინდი ადრიატიკამ წამართვა.

ჩემს სასოწარკვეთლებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ჩემში ხომ
შენი ყლორტი მწიფდებოდა. თან ერთ-ერთი ჩემი თანამემამულის მიერ
ოდესღაც ნათქვამმა ქარაგმამ გული გამიმაგრა და დამაიმედა: „ჩვენ კი არ
ვცოცხლობთ, არამედ თავს ვიმედოვნებთ, რომ ვცოცხლობთ“.

და მიჰყვა ერთიმეორეს ჩემი სიხარულისა და კენტად დრტვინვის
წლები.

შენი სახის ნაკვთები თითქოს ამოიშალა ჩემი მეხსიერებიდან. და მო-
ხდა სასწაული: სრულიად მოულოდნელად დილის ვარსკვლავივით შემოა-
ნათე ჩემს ადგილსამყოფელში — ვენეციის ლაგუნაში. განა მოველოდი?!
აბა, გაიხსენე რომის მოედანი, სადაც ბიქტორის სახელით გამომეცხადე!
რატომ?! შენ ხომ არჩილი ხარ. შენი სახელის ამ მეტამორფოზას დღემ-
დეც ვერაფერი გავუგე. მაგრამ მაშინ, როგორც კი ახსენე „ბიქტორი“, შენი
ხმის ტემბრმა დამაეჭვა. თვალი რომ შეგაჩვიე, შენმა ამაყმა თავდაჭერამ
მომაგონა შენი ტანადობა და სახეც კი, თუმცა შავი სათვალე გეკეთა. მა-
გრამ მაინც, ბიქტორი რომ გავიგე, ვირწმუნე, ვცდები მეთქი. მერე და,
რა გასაკვირია, რამდენმა დრომ გაიარა! ამასთან ერთად, არ მასვენებდა
აზრი, რომ შენ არ გაექცეოდი სინამდვილეს, ან რაში გჭირდებოდა კუკუ-

მალობანა? ამან კი კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ვცდებოდი. და როდე-
საც შენ, როგორც მომეჩვენა, თითქმის არაფრად ჩააგდე შენი ორეულის
ვენეციის ციდან სან-მარკოს მოედანზე ჩამოფრენა, საბოლოოდ ვცანი
თავი დამარცხებულად, მართალია, მოგვიანებით ვიფიქრე, რომ შეუძლე-
ბელი იყო რაიმე გცოდნოდა მემკვიდრეზე, თუმცა შენს მოქმედებაში თით-
ქოს შეიმჩნეოდა რაღაცნაირი დაძაბულობა და მზადყოფნა — გეყვირა, რომ
შენა ხარ, მაგრამ რომელიღაც შეუცნობმა ძალამ შეგაჩერა. მეც სრულიად
გამოვეთიშე აზრს შენს არსებობაზე ჩემს გვერდით. ისე კი, სიმართლე თუ
გინდა, ძალიან მინდოდა არჩილი ყოფილიყავი. თქვენს ჯგუფთან დამშვი-
დობებისას კი რაღაც თავისებური სურვილი დამებადა ჩაგხვეოდი და დამე-
კოცნე. ეს წადილი რომ შევისრულე, ალბათ, გახსოვს. ღმერთო ჩემო,
იმწამს შენი სახისა და თმის სუნმა ბანგივით დამრია ხელი, მეგონა შენი
სუთქვის ცეცხლში დავიხრუკებოდი. ფეხებქვეშ სან-მარკოს მოედანი მეც-
ლებოდა, აგერ-აგერ გამისკდებოდა გული და იქვე გავიშხლართებოდი შენ
წინაშე. მაგრამ მეც გამომეცხადა ის შეუცნობი ძალა, შენ რომ შეგაჩე-
რა აღიარებისაგან, და დამიბრუნა საღი გონება. მერე კი გაქცევით ვუშ-
ველე თავს...

გადიოდა წლები.

იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა შენი ძე, რომელიც სულ უფრო და უფ-
რო, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი ნიშან-თვისებებით, შენი ასლი
ხდებოდა.

და დადგა მისი მეთვრამეტე გაზაფხულის დღე, და ამ სამახსოვრო
დღეს ჩემსა და შვილს შორის გაიმართა არაჩვეულებრივი საუბარი.

— როგორ გაიზარდე და როგორი მოხდენილი ვაჟკაცი მყავხარ, შვი-
ლო.

— მადლობელი ვარ, დედა, რომ შენ ასეთი კეთილი ხარ ჩემთვის.

— არა, შვილო, არა მგონია ღირსი ვიყო შენი მადლობისა.

— რაებს ლაპარაკობ დედი!

— კი, ჩემო ძვირფასო, მე ბევრ რამეში შევცოდე შენ წინაშე. დღეს
კი ჩემი დანაშაული უნდა ვაღიარო.

— რას ამბობ, რა დანაშაულზე ლაპარაკობ?!

— მე დამნაშავე ვარ, რომ შენ დღეს ობოლი ხარ, შვილო.

— კი მაგრამ, შენი რა ბრალია, მამაჩემი ხომ ადრიატიკაში დაიღუპა?

— არა, შვილო, მამაშენი ცოცხალია.

— ხომ არ შეიშალე, დედა!

— კი, შვილო, მე დღეს უნდა განვიკურნო იმ სენისაგან, რომელიც
ცხრამეტი წლის უკან შემეყარა, — ვთქვი და შენს პოსეიდონს დაუმალა-
ვად მოვუყევი მისი ამქვეყნად მოვლენის ამბავი,

ყურადღებით მისმენდა ჩემი ბიჭი, არც შეუწყვეტინებია და არც რამე უკითხავს. ჩემი აღსარება რომ მოისმინა, ხვევნა-ალერსით გამაბრუა და შვილური სიყვარულით დამიყვავა: „რამდენი რამე გადაგიტანია, თურმე. მე კი არაფერი ვიცოდი. სიტყვას გაძლევ: „რადაც უნდა დამიჯდეს, მოვნახავ მამას, აუცილებლად მოვნახავ“. „ჩემო შვილო! შენ მაინც ბედნიერი უნდა იყო ამქვეყნად“, გავიფიქრე და გულატკებული ჩემს ოთახში განვმარჩოვდი, რათა დამემთავრებინა ჩემი აღსარება.

მე შვილს თითქმის ყველაფერი ვუამბე. ვამბობ თითქმის-მეთქი იმიტომ, რომ დავუმალე მხოლოდ ერთი საიდუმლო — სეიშელის კუნძულებზე ჩვენი შეხვედრის ამბავი...

ვენეციის საექსკურსიო ბიურომ შვებულება იანვარში შემომთავაზა, რადგან ამ თვეში ტურისტები ნაკლებია... მეც ვისარგებლე ამ მომენტით და დიდი ხნის ოცნების შესრულება გადავწყვიტე. ათკაციან ტურისტულ ჯგუფს შევუერთდი, სამოთხედ აღიარებული სეიშელის კუნძულები უნდა მენახა. საახალწლოდ უკვე იქ ვიყავით. სეიშელის ყველაზე დიდ კუნძულზე, მაე რომ ჰქვია, ქალაქ ვიქტორიას მახლობლად, სწორედ იქ დაეშვა ავიალაინერი. კოხტა შენობაში დავბინავდით. ამ სასტუმროსაც „მაე“ ჰქვია. იგი მთის თხემზეა აგებული და არწივის ბუდეს მოჰგავს შორიდან. იქიდან ხელისგულივით მოჩანს მაეს აღმოსავლეთით მდებარე ნავსადგური ვიქტორია, რომლის იქით ინდოეთის ოკეანე ლივლივებს, სეიშელები იანვრის პირველ ორ დღეს ზარ-ზეიმში ატარებენ და ჩვენც ნებაზე მიგვიშვეს... ჩვენც ცეკვა-სირბილით ოკეანის სანაპირო ქუჩაზე დავეშვით და ნავსადგურისაკენ გავწიეთ. ყველგან სიცილ-კისკისი, ჟივილ-ხივილი და მუსიკის ჰანგები გაისმოდა. ხალხი სიხარულის ორომტრიალს მოეცვა. ნავსადგურს რომ დავუახლოვდით, შენეული ვენეციელი „ბიქტორი“ ამოტივტივდა ჩემს გონებაში. რატომ? ვიქტორია და ბიქტორი ხომ ერთი და იგივე სახელიდანაა, ამ დამთხვევამ უნებურად აი, რა მაფიქრებინა: „თუკი ამქვეყნად სასწაული ხდება, მოხდეს იგი დღეს. ხომ ამბობენ, ღმერთს სამება უყვარსო? ო, ღმერთო, ჰქმენ სასწაული!“, შევევედრე გამჩენს. ჩვენ კარგად ვხედავდით გემებზე აფრიალებულ ალმებს, რომელთა შორის თქვენი დროშაც შევნიშნეთ. იგი გემ „ალაზანზე“ აღმართულიყო. წავიდეთ და მეზღვაურებს ახალი წელი მივულოცოთო, თქვა ვიღაცამ. აზრი მოგვეწონა. გემის ტრაპთან მდგარ მეზღვაურს მივუახლოვდით თუ არა, მანაც მყისვე აცნობა უფროსობას. სულ მალე რამდენიმე მეზღვაური გამოჩნდა და ჩვენსკენ გამოემართა. მათ რიგებში შენ გეძებდი და, რომ დაგინახე, გული თითქოს ამომივარდა საბუდარიდან. „ღმერთო ჩემო! ეს შენი სასწაულმოქმედებაა თუ ჩემი ილუზია?“, ვფიქრობდი ჩემთვის და უცაბედად გადმოხეთქილი სიხარულის ტალღის დაოკებას ვცდილობდი. როგორც იქნა, მოვთოკე ნერვები. შენ, ისევე როგორც ვენეციაში, შავი სათვალე გეკეთა. მისა-

ლმ̇ება-მოლოცვისა და კომპლიმენტების შემდეგ, კაპიტანმა გემზე მიგვიწვია. განა საჭიროა ვილაპარაკო, თუ რა მდგომარეობაში აღმოვჩნდი. რადგან ჩემმა თანმხლებლებმა არც კი იცოდნენ, რუსულს რომ ვფლობდი, მეც იგი საიმედოდ „დავმალე“. აზრთა გაცვლა-გამოცვლა უმთავრესად ინგლისურად ხერხდებოდა, თუმცა ხშირად გაისმოდა რუსული, ფრანგული, იტალიური და, როგორც მივხვდი, ქართული სიტყვებიც. მუსიკის ჰანგები დაირხა თუ არა, ყველაფერი მოწესრიგდა უმალ. მუსიკალური რითმები ხომ ერთ ენაზე ღაღადებენ ყველასათვის. გაიმართა ცეკვა-თამაში. მე შენ ამოგირჩიე. განა შემიძლია სიტყვებით გამოვთქვა ის გრძნობები, მე რომ დამეუფლა იმ წუთს, ჩემი სხეულის ყველა უჯრედი და კუნჭული რომ ცაია-რა?

მელოდიები რომ მიწყდა, კაპიტანმა ბოკალი აიღო, მშვიდობიანი ახალი წელი მოგვილოცა და დედამიწის ყველა ხალხთაშორის მეგობრობის სადღეგრძელო დალია. და კვლავ დატრიალდა სტუმარ-მასპინძელი. მე კი ვეძებდი საბაბს, როგორმე გავცლოდით აქაურობას. „ბოლოს და ბოლოს, რას ვკარგავ, უნდა გავრისკო“, გავიფიქრე და კაპიტანს მივმართე, მომისმინეთ-მეთქი. „ბატონო კაპიტანო! დიდი მადლობა ყველაფრისათვის. ოღონდ უნდა მაპატიოთ, რომ თქვენი სტუმართმოყვარე სასახლე იძულებული ვარ დავსტოვო. თუკი თქვენი ნება იქნება და „ბაბუა“ გამაცილებს, მადლობელი ვიქნები უზომოდ“. კაპიტანმა გამიღიმა, ხელზე მეამბორა, შენთან მომიყვანა ცეკვა-ცეკვით და რუსულად გითხრა: „გააცილე ლუიზა, არ დაიგვიანო!“..

ჩემს აპარტამენტში რომ შემოხვედი, სათვალე მოიხსენი და თვალი თვალში ისე გამიყარე, რომ კინალამ დავიბენი, ხომ არ მიცნო-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ მალე მივხვდი, რომ შენ ჩემს თვალებში ჟანას არ ეძებდი. გულზე მომეშვა. გამოცნობის შიში რომ დავსძლიე,—ტრიუმფოში სულ სხვა ჟანა იდგა. შენ რადიო ჩართე და ამაცეკვე. თვალები დავხუჭე. გამახსენდა ჩვენი ცეკვის საღამოები მარსელში და შორეული წლების სიამტკბილობის მოგონებების მორევში გადავეშვი. სიტყვები უძლურია აღვწერო, რასაც ვგრძნობდი და ვერც ლაპარაკით გადაიცემა ჩემი სულის იმჟამინდელი შფოთი. როგორ მწყინდა, რომ შენ სრულიად დაგვიწყებოდი და რომ ვერ ცნობდი შენს ჟანას... ამ ბურანიდან მაშინ გამოვედი, როცა შემანჯღრიე და ხელებზე ამიტაცე, ამიტაცე ისე ცსუბუქად, თითქოს ბამბის ფთილა ვყოფილიყავი...

და პირველი სიყვარულის სიხარული კვლავ დამიბრუნდა ისე, როგორც ეს მაშინ მოხდა. გახსოვს? მე დიდხანს ვიმყოფებოდი არარსებობის წყვდიადში და, როცა გონს მოვეგე, ჩემდაუნებურად წამოვიძახე: „ჩემო პოსეიდონ!“. შენ დამფრთხალივით გაიოცე: „რა თქვი?!“. მე გავიმეორე:

„ჩემო პოსეიდონ!“. მერე დავამატე: „შენ განა ზღვის მეუფე არა ხარ? ახლა კი ჩემი მეუფეც გახდი“. შენ დუმდი, ალბათ, იგონებდი რალაცას. ამ მოულოდნელმა სიხარულმა და ამასთან ერთად შენმა გულცივობამ ცრემლებით ამივსო თვალები. გული მისკდებოდა იმის გამო, რომ მე შენთვის თითქოს მეზღვაურების მორიგი მეძავი ვიყავი და სხვა არაფერი. მინდოდა ყველაფერი ეს პირში მეხალა, მაგრამ აზრი არ ჰქონდა წამემწარებინა შენთვის ეს წუთიერი სიამტკბილობა. თავს ვიკავებდი, და უხმოდ დავსტიროდი ჩემს სვე-ბედს, დრო ჩქარა მიიწურა, შენ არ შეგეძლო კაპიტნის ბრძანების უგულებელყოფა, „არ დაიგვიანოო!“. მწარე ფიქრები მოვიშორე და კვლავ დავიბრუნე ჩემი „მე“. ჩვენი დამშვიდობება იყო უბრალო, სენტიმენტებისა და მომავალ შეხვედრებზე ლაპარაკის გარეშე, მაგრამ კეთილი და მეგობრული. მე არ გამიცილებიხარ. მხოლოდ გადაგეხვიე და ღაწვები დაგიკოცნე. ისე, როგორც ვენეციაში. გახსოვს?

შენ მიდიოდი მსუბუქი მეზღვაურული რწევით, უკან მოუხედავად.

მე თითქმის მთელი ღამე არ მეძინა, სულ შენზე ვფიქრობდი და ვგოდებდი, ფანტასტიკურ გეგმებს ვსახავდი ხვალინდელ შეხვედრაზე ვიქტორიას ყურეში. ვერ წარმომედგინა, გულს რომ გადაგიშლიდი, თუ რას მოიმოქმედებდი. გათენებისას ჩავთვლიმე და უცებ შენ გამომეცხადე, ზღვის მეუფესავით ძლიერი და ღიმილგადაფენილი. ხელებგაშლილი იდექი და ღალადებდი: „ჟანა, ჩემი ჟანა! შენ ჩემი გაცურება გინდოდა? არ გამოგივა. აბა, ადექი, ეს მე ვარ, შენი პოსეიდონი!“, ამბობდი და მე, შენს სულიერ განწყობას დამორჩილებული, შენკენ ავფრინდი... სწორედ ამ დროს გემის უწყვეტი გუგუნი გაისმა. იმწასვე გამომელვიძა. მივაყურადე. მართლაც ისმოდა გემის დვრინი. ფანჯარას მივვარდი. ო, ღმერთო ჩემო! შენ და შენი „ალაზანი“ ოკეანეში გადიოდით... გველის ნაკბენივით ავღრიალდი და ჩავიკეცე...

მეორე დღესვე გავფრინდი ვენეციაში.
რომის მოედანზე ჩემი პოსეიდონი დამხვდა..

* * *

სექტემბრის ხავერდისებურ საღამოს ზღვისპირა პარკში მუსიკალური შადრევნის გასწვრივ მისეირნობდნენ ორნი: პოსეიდონი — მამა და პოსეიდონი — შვილი. ყოველი მათგანი საკუთარ ფიქრს ჩაკირკიტებდა. შვილი კმაყოფილი იყო, რომ დედის თხოვნა შეასრულა, „მონაზე მამა და დაუმეგობრდიო“. ოღონდ შეასრულა დედის ანდერძის პირველი ნახევარი, მაგრამ რა მოელოდა მეორე ნახევარს — ჯერ არ იცოდა. მამა კმაყოფილი იყო იმით , რომ ვენეციელი პოსეიდონი მოევლინა, რომელიც მისი

ერთადერთი მემკვიდრე იყო, მაგრამ ჯერ არ იცოდა, გახდებოდა თუ არა იგი არჩილის ძე. მამას თავისი თავისათვის ვერ ეპატიებინა მაეს კუნძულზე ჩადენილი ვერაგობა, სადაც შეუბრალებელი გულცივობით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ერთგულ ჟანას. მამა და შვილი ძალიან განიცდიდნენ ჟანას დაღუპვას , მაგრამ მამას შვილისათვის რაიმე სანუგეშო სათქმელი ვერ მოეხერხებინა, გარდა სიტყვებისა: „მაპატიე, შვილო, ასე რომ მოხდა. ვნანობ, რომ დამაგვიანდა“.

ასე მიდიოდა ხელიხელჩაკიდებული ორი პოსეიდონი. ზოგს ეგონა, ორი მეგობარი მიდიოდა, ზოგსაც კიდევ ძმები ეგონა... და არავის არ მოსდიოდა აზრად, რომ ეს ორი მეზღვაური ერთსა და იმავე ტრაგედიას დასტიროდა, ხვალ კი ყოველი მათგანი კვლავ ზღვაში გავიდოდა: ერთის გემი აღმოსავლეთისაკენ აიღებდა გეზს, მეორესი — დასავლეთისაკენ.

ორჯონი ქოჩლაძე

დრო მოვა

გაბრაზებულა ზღვა...
რამ აალელვა ნეტავი,
იქნებ მას გადაედო
ამ სულის მღელვარება?
მე ვერ აღვსდექი, ვერ ვთქვი
ბოლომდე სიტყვა ჩემი...
ზღვაო, სიმართლევ, ვიცი,
დრო მოვა მალე შენი...
აღსდგები ტალღად, ზვირთად —
ძალად მიწის და ზეცის,
წალეკავ მრუდს და მუხთალს
და გაასწორებ ნაპირს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუჟუნა ფაინიძე,
მურმან ცეცხლაძე

რომ ასეთი სიყვარული

ტევადი სიტყვა

სამშობლო — რაძდენად ტევადია ეს სიტყვა და მაინც რაღაც ყველაზე კონკრეტულს, ყველაზე ფასეულს, საკუთარ არსებასთან შენივთებულს გულისხმობს:

სამშობლო მიწის ნაჭერია, არაფერი სხვა.
მიწა იმ ტერფის ოდენია, რომელზეც ვდგევარ.
ბიჯს ვერ მომიცვლის ვერც მტრის ხმალი,
ვერც ღვთის შერისხვა, უტეხი კლდე ვარ.

პოეტის ეს სიტყვები ქართველი კაცის გულისთქმაა, ქართველი კაცისა, გოჯი მიწისთვის სიცოცხლეს რომ თმობდა, თავს რომ სწირავდა. სწორედაც რომ ტერფისოდენა გოჯი მიწა ჰქონდათ სამკვიდროდ და საფიცრად ჩაოელებს. ხულოს რაიონში იშვიათად თუ მოიძებნება ასეთი პატარა და უხვმოსავლიანი სოფელი თავისი ხალასი ბუნების შეუდრეკელი ადამიანებით. აქაური ხალხისაგან ხშირად გაიგონებთ სხარტულად ნათქვამს: ბიმბალი ღურტას მოიკითხე, ღრმა ბორანო — ღორჯომს, ღვინო და ნიგოზი თუ მოინატრო, ჩაოელს ესტუმრეო. ჩაოში ოცდათვრამეტამდე სახეობის ყურძენი ხარობდა და აქაური გლეხკაცი დღესაც კარგად ფლობს წინაპრისაგან ნამემკვიდრევ ღვინის დაყენების ხელოვნებას, დიდ პატივს სცემს გაუხუნარ ტრადიციას—ჭიშკართ მისულს ჭაშნიკად შესთავაზებს ნახელავს, კაკლის ჩრდილში გაუშლის სახელდახელო სუფრას, ფუძის ანგელოზს დაულოცავს და დაალოცვინებს. ამ პატარა სოფელში, სადაც თითქმის ყველა ოჯახი ერთმანეთს ენათესავება, საკმარისია ვინმემ ერთ-ერთ ოჯახში შეასვენოს მუხლი, დიდ-პატარიანად თითოეული საკუთარ კერიასთან მიიპატიჟებს... მკაცრმა ბუნებამ, მიუვალმა გზებმა, ამ მართლაცდა ტერფისოდენა სამკვიდრომ სიძნელეებთან შეჭიდება, მომჭირნეობა, „ჭირსა შიგან გამაგრება“ ასწავლა ადამიანებს. მახსენდება ოთხმოცდაათს მიტანებული

ქალის, გოგჩი ბებიას სიტყვები: „აქ, შვილო, შენი თავის ჰექიმიც უნდა იყო და ვექილიც, თორემ სანამ გალმა (რაიონულ ცენტრს გულისხმობდა) ხმას გააწვდენ, შენი დაგემართებაო“. ამბობდა და თან ჩვეული სიფაქიზით აგროვებდა ნაირ-ნაირ ბალახ-ბულახებს, მთის სურნელოვან ყვავილებს და მათგან სხვადასხვა წამლებს ამზადებდა... აქ, როგორც მთის სხვა სოფლებში, მამაკაცთა უმრავლესობა საუკეთესო ხელოსანი — თავიანთი ხელით აშენებ-აპირკეთებენ ოდა-სახლებს. თუმცა სადღაა ოდა-სახლები, ჩვენს წინა თაობას თუ ახსოვს ხის ჩუქურთმებიანი აივნები, დღეს კი თითქმის ყველა კომლს წამოუჭიმავს ორსართულიანი ბეტონის სახლები. ასე დამძიმდა ორბის ბუდედ შეფენილი სოფელი. სიმძიმე კიდე, ჰო, მცირემიწიანობამ აიძულა გლეხკაცი და გამოუყენებელი, მოუხნავ-დაუთესავი აღარ დარჩა მიწის ნამცეციც, ბუჩქნარი ადგილებიც გაიჩეხა... მერე ყოველივეს დიდთოვლობაც დაერთო და მოერღვა სხეული ტანდამძიმებულ მთის ფერდობს. თუ იქ, წაბლანაში, სოლგომანის ამაყი მთა წამოიქცა, აქ, ჩაოში, საძირკველი მოერღვა სოფელს და ხევის პირას მდგომი მთვრალი დევივით დააწყებინა ბარბაცი: დაიბზარა სახლები, ჩასკდა და ჩაიფლატა საკარმიდამოები, ფუძე მოეშალა სასაფლაოებს. საგონებელში ჩავარდა მთიელი კაცი — სად მიეჩინა ახლობელთა ძვლებისათვის საიმედო ადგილი, რომ კვლავ არ მორღვეულიყო მიწა და თან არ წარეტანა...

„სადაურსა სად ჭაიყვან“...

მაღალმთიან აჭარაში დატრიალებულმა ტრაგედიამ 9 აპრილის შემდეგ კიდევ უფრო გამოაფხიზლა ქართველი კაცი. გამოაფხიზლა და უფრო თვალნათლივ დაანახა, რომ სამშობლოს — ასე სანუკვარსა და ვერდასათმობს — სხვანაირი გაფრთხილება, მოფერება და მოვლა სჭირდება...

უნდა აიყაროთო — მეხივით გავარდა სოფელში სახელდახელოდ ამოსული გეოლოგების დასკვნა. თუმცა გეოლოგების დასკვნა რაღა საჭირო იყო, ფუძეგამოფლატულ სოფელში რომ აღარ დაედგომებოდა, ისედაც გაისიგრძეგანა აქაურმა კაცმა, მაგრამ არ ეთმობოდათ და არც გაემტყუნებოდათ, უთვალავჯერ რომ ჩაჰკითხავდნენ გეოლოგებს. და როცა იმათაც საბოლოოდ გადაუწურეს წყალი, მეტი რაღა ჩარა ჰქონდათ. და დაიწყო პატარა სოფელმა დიდი ფიქრი.... კუთხე-კუნჭულ შემოიარა მშობელი მიწის ასავალ-დასავალი. არა, გამორჩეულს კი არ ეძებდნენ, ერთს ნატრობდნენ მხოლოდ: იქნებ სადმე ჩაოს მინამსგავსი სოფელი შევიგულოთ და ერთიანად იქ ჩავსახლდეთო. ვერსად შეაჯერეს გული. ბოლოს ისევ რაიონული კომიტეტის რჩევას დაჰყვნენ — გორის რაიონზე შეაჩერეს მზერა. იმ დღიდან სხვა სალაპარაკო თემა აღარ ჰქონდათ სოფელში. გორი... წითელი უბანი... შავშვები...

თანადგომა

უკვე შელამებული იყო, შავშვებში რომ შევედით. ბინდ-ბუნდში იპლანდებოდა ჩაოდან გამოყოლილი სევდიანი განწყობილება... დილით, ის-ის იყო სასოფლო საბჭოში წასვლას ვაპირებდით, რომ ეზოში ჩასულებს თავად შავშვების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ოთარ სუბულური გამოგვეცხადა. ბევრი რამ გვსმენოდა ამ გულისხმიერ კაცზე, დიდ დახმარებას გვიწევსო, ხშირად ამბობდნენ ჩაოელები. ზაფხულში ხულოშიც ყოფილა, შუამთობას წვევია მთიელებს. წასვლისას უტირია, მართლაცდა ძნელია ასეთი კუთხის მიტოვებაო, — უთქვამს.

— სად ხართ კაცო, აქამდე? — ხელგაშლილი წამოვიდა და ყველა გადაგვკოცნა, ბინა გამოგითავისუფლე, — მიუბრუნდა შაქრო ცეცხლაძეს, წამოდი, გაჩვენო, თორემ მეჩქარება, გორში მიმყავს მოლარე, ხელფასები უნდა ამოვიტანო.

შაქრო ცეცხლაძის ოჯახისათვის მეურნეობის ამბულატორიის ორი ოთახი დაეთმოთ. ასევე ჩაოელებს დაუთმეს საცხოვრებლად საბჭოს შენობის მთელი პირველი სართული. ხუბულურს თუმცა ეჩქარებოდა, შავშვებში ჩაოელების ჩასახლების გეგმა მაინც გვაჩვენა.

როგორც გორის რაიონის მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროს გამგემ გოგი ვანიშვილმა გვიამბო, სულ აჭარიდან გორის რაიონში უნდა ჩამოსახლებულიყო 173 კომლი. 120 ხულოს რაიონიდან (90 — სოფელ ჩაოდან, 30 — ყინჩაურიდან), 53 კომლი კი შუახევის რაიონიდან. ამჟამად ჩასახლებული იყო 104 კომლი, — ყველა ხულოს რაიონიდან. 50 კომლი ჩაერიცხა შავშვების საბჭოთა მეურნეობაში, 35 კომლი — წითელ უბანში, 15 — მხეურვალეთში.

ძევერის საბჭოთა მეურნეობაში დამკვიდრდა 25 კომლი, კვარხეთში — 25, ქიწნისში — 6, სობისში — 2, კარალეთში — 2, ზედლულეთში — 4.

შავშვების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ადგილზე არ დაგვხვდა. მთავარმა აგრონომმა მერაბ ტატურაშვილმა გვითხრა: თავდაპირველად მხოლოდ ოთხი ბინა გვქონდა თავისუფალი, მაგრამ მივდექ-მოვდექით, ჩვენივე სახსრებით გავარემონტეთ ბინები, ორმოცდაათიდან ახლა მხოლოდ ოთხი ოჯახია უბინაოდ, მათაც მალე გაოვუძებნით.

როგორც აქ გვითხრეს, ჩამოსულებს მაშინვე გაუწიეს ას-ასი მანეთი დახმარება, მეურნეობის დირექციამ ათი დღის განმავლობაში მათ უფასო კვებაც დაუნიშნა.

— თუ სახელმწიფო კრედიტს და სამშენებლო მასალებს გამოუყოფს, ჩვენ შევქმნით ბრიგადებს და სახლების აშენებაშიც დავეხმარებითო. — თქვა მერაბმა.

გეზი წითელი უბნისაკენ ავიღეთ. იქ ჩასახლებულნი საერთო საცხოვ-

რებელში ცხოვრობდნენ. მათ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ, თუმცა საყვედური არავის დასცდენია. შედარებით ნათელი ოთახი-ას წელს მიტანებული მწოლიარე ქალისათვის მიეჩინათ, როცა გადავეხვიეთ, უცრემლოდ ატირდა და ხმა ვერ ამოიღო. ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა...

წითელი უბნის რვაწლიანი სკოლა დიდი არ არის, სულ 89 მოსწავლე სწავლობს. სითბოთი გარემოცული არიან მთიელთა ბავშვები, ნიჭითაც გამოირჩევიანო, გვითხრა სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბებიაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარის ოთარ ხუბულურის კაბინეტში მთიელთა ჩასახლების გეგმებს რომ ვათვალიერებდით, ხულოს რაიონის დაზღვევის უფროსმა ოთარ ბოლქვაძემ და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ კოჩალიძემ შემოაღეს კარი, ჩასახლების ფაქტიურ მდგომარეობას სწავლობდნენ.

გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ რევაზ ჯავახიშვილმა გულთბილად მიგვიღო:

— ჩამოსახლებულნი ყველგან მადლიერებას გამოთქვამენ მასპინძლების მისამართით, კმაყოფილნი არიან ადგილობრივი ხელმძღვანელობის ზრუნვითაც. მაგრამ მაინც აქვთ პრობლემები...

ვიცი, მალე შავშვებში საბავშვო ბაღის მშენებლობა დამთავრდება, რამდენიმე ოჯახს იქ შევასახლებთ, თუ გაგვიჭირდა, საბჭოს შემადგენლობას ისევ ძველ შენობაში გადავიყვანთ. მალე დავცლით კლუბსაც, სადაც ასევე ცუდ პირობებში ცხოვრობენ აჭარლები.

— ბუნებრივია, დიდხანს ასე გაძლება გაუჭირდებათ...

— ჩამოსახლებულთაგან 15 უმაღლესგანათლებულია. მხოლოდ ხუთის დასაქმება შევძელით, დაუსაქმებელთაგან ექვსი მასწავლებელია, ორი — ეკონომისტი, ერთი — ექიმი და ერთიც მედდა. პედაგოგები და ეკონომისტები ჩვენც ბლომადა გვყავს, მაგის გამო გორის პედინსტიტუტი გავაუქმეთ. ახლა ეკონომიკის ინსტიტუტი გვაქვს და კადრები კვლავ საჭიროზე მეტია. თუმცა ვეცდებით პირველ რიგში ჩამოსახლებულებს გამოვუძებნოთ რამე...

პირველი აკვანი

ძევერას საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვალერი სუხიშვილმა მოკლედ მოგვითხრო ჩამოსახლებულთა პრობლემებზე. როგორც ვნახეთ, ძევერასა და კვარხეთში უკეთესი პირობებია შექმნილი მათთვის.

— ჩვენ, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, გავუწიეთ ფულადი დახმარება, ჩვენი ინიციატივით ბავშვთა ბაღში ფულს არ ვახდევინებთ. მაგრამ ეს არ ჰყოფნის საქმეს, ყველას თავისი კუთხე უნდა, მალე, ალბათ,

ამაზეც ვიზრუნებთ. დღეისათვის მთავარ პრობლემად გვრჩება პირუტყვის სადგომი. ძველი ბოსელი უნდა გავურემონტოთ.

— პირველი აკვანიც დაირწა ჩამოსახლებულთა ოჯახში,—გვიმახარობლა დირექტორმა, — ვაჟია, ამრავლოს, ისინი სჭირდება საქართველოს!

წამოსვლისას ბინაში ვესტუმრეთ ფრიდონ მახარაძეს. ახალშობილი დავულოცეთ. პატარასათვის ვალერი დაურქმევიათ.

— ბაბუამ შეურჩია ეს სახელი,—იღიმება თამარი,—მეურნეობის დირექტორი კაი კაცია და იქნებ მისი სეხნიაც კარგ კაცად გაიზარდოსო.

ადამი

ბათუმში დაბრუნება კვლავ ხულო-ახალციხის გზით ვარჩიეთ. ჩამოვლისას ერთხელ კიდევ გავხედეთ ჩაოელთა ადგილსამყოფელს. შემოდგომის ფერები მოძალებოდა კაკლიანს. უნებურად სოფლის უხუცესის ალი შავაძის დარდიანი სიტყვები გაგვახსენდა: „ვაიმე ჩემო სათიხარო, გტევ, — ვინ იცის ჰად მივალო“... და მერე: „ადამ, წამო, თითო ჭიქა დაალევინე სტუმრებს“.

ადამი სოფელში რჩება, ვერაფრით გადავათქმევინეთო, — ამბობენ თანასოფლელები, მოგვიანებით კი შაქრო ცეცხლაძე — თანასოფლელთა გორში ჩასახლების ერთ-ერთი თავკაცი — გვეუბნება — 90-დან 84 კომლი მიდის, ექვსი სოფელში რჩება...

მთლად ხომ ვერ გავაპარტახებთ სოფელს, საფლავებს... და თუ მართლაც ღვთის რისხვაა ჩვენს თავს, რა მოხდა, თუ მსხვერპლად შევეწირები, — ხმა გაებზარა ადამს.

ერთი რამ გვენიშნა კიდევ: შაქრო ცეცხლაძე გორში წასვლის წინ დღეს გამოსაკეტად განწირული სახლის კარ-ფანჯრებს ღებავდა თოვლისფრად, ასე უკეთ შეინახებაო...

შუადღე გადახრილი იყო და ნაგვიანევი მზის სხივები ქარვისფერი ფოთლებიდან დასთამაშებდა ახალულ ყანებს. მზისფერში გახვეულიყო ყოველივე...

ნუგზარ ბოლქვაძე

უკვდავია შენი ჯიში

სიხარულით ჩავისახლე
გაზაფხული სულში ლექსად,
მაგრამ თურმე სისხლის გუბე
იქვე დგას და „კბილს ილესავს“.
არ კმაროდა ზამთრის სუსხი?
ახლა მთებმა შეკრეს პირი;
აღარ უჩანს ბოლო წუხილს,
ქართლის გული მოთქვამს,
ტირის.
ცა მრისხანედ იხვევს ნისლებს,
მზე აღარ წნავს ოქროს ულოს,
ცრემლში ცურავს, ცრემლში
ისევ
შუახევი, ქედა, ხულო.
შეუღებავს წითლად მიწა
მშობელ ხალხის სისხლის
წვეთებს...
გათოშილი შავებს ვიცვამ
და დაკარგულ სატრფოს ვეძებ.
გაზაფხული იას უხმობს,
გული – გულის ნაზად
ტრფიალს,
მაგრამ, განა მერცხალს
უფრთოდ
ცაში ფრენა შეუძლია?
სული ბოლავს, როგორც კვამლი,
ბედთან ჭიდილს აღარ ვფიქრობ,
ვარდს გავუთევ ახლა ღამეს
და ჩემს ტკივილს ის ჩამიქრობს.
...ვხედავ, უხმობს ალიონი
მზის ოქროსფერ წამწამთ ჩეროს,
რათა მისცენ ერთურთს ხელი
და ერთმანეთს მოეფეროს.

კვლავ იმედის მძიებს ვკრიფავ,
სული ისევ ფრთანათელობს,
ხმა ჩამძახის ყურში ციდან:
არ მომკვდარა საქართველო.
უკვდავების ჰიმნი მესმის,
კვლავ მრთელდება ძველი ხიდი,
აჭარიდან ჯავახეთში
კვლავ ქართული გენი მიდის...
თქვენი ხილვით ახლა გულზე
სიხარულის ფიფქი მათოვს.
დაგილოცავთ ჭერს და ფუძეს,
ნანა, ნუგზარ, მზია, დათო!..
რომ ვუყურებ მაგ თქვენ აკვნებს,
გულით ვხარობ, განა ვწუხვარ?
დაგილოცავთ განახლებულ
ნაღვერდალს და ქართულ ბუხარს.
აჭარელო! მკვიდრო პტენის,
აფნის, ჩუნჩხას, გოგაშენის,
ქედმოხრილი გლოცავს მთელი
საქართველო, ხალხი შენი.
შენ გიგალობს საგალობელს
ჩემი დიდი ნენეს ნანა,
მუდამ წყლულს რომ
მიმრთელებდა
და მხნედ დღემდე მომიყვანა.
შენახული შენთვის სიტყვა
სულში ახლაც თაიგულობს.
ვხედავ, მამულს კვლავ ეტრფი და
კაცურ კაცის გულით გულობ.
მჯერა, ისევ ააყვავებ
ჯავახეთის მთებს და ველებს,
თუკი დღემდე ქართველობდი,
კვლავაც მუდამ იქართველებ.
ჭირთა თმენა ოდით მოგდგამს
არ გჩვევია ვაი-ვიში,
უკვდავია შენი მოდგმა,
უკვდავია შენი ჯიში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩხაიძე

ჩვენებურები

ბათუმიდან საკმაოდ მსუბუქი, ტურისტული გარდერობით წამოვედი, ერთადერთი კოსტიუმით, თანაც უჰალსტუხოდ, ვერც მოვიფიქრებდი, თუ ასეთი მაღალი რანგის დიპლომატიურ დარბაზობაში მომიხდებოდა მონაწილეობა. ოთარი და შაადუმანი საგანგებოდ გამოეწყვნენ. სტუმრისადმი პატივისცემის გამოსახატავად დიასახლისმა ჩემი ქალიშვილის გამოტანებული გულსაკიდი გაიკეთა, როგორც ჩანს, მოუხდა, და ამიტომ ერთხელ კიდევ მითხრა მადლობა. ოთარმა კრიტიკულად შეათვალიერა ჩემი ჩაცმულობა, განსაკუთრებით, უჰალსტუხო პერანგი, შემდეგ კარადიდან თეთრად დაწინწკლული ლურჯი ყელსახვევი გამოიღო და საკმაოდ საიმედოდ ჩამასკვნა. შემდეგ ასეთივე ფერის ნაჭერი ჩამიკეცა გულისჯიბეში, სარკეში არ ჩამიხედავს, მაგრამ, ალბათ, საკმაოდ სასაცილოდ გამოვიყურებოდი. კიდევ კარგი, ჩემი მეგობრებიდან არავინ მხედავდა ახლა.

ასე მივადექით საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოს სტამბოლში, რომელიც მთავრობის პროსპექტზე მდებარეობს, ერთმანეთის მიყოლებით შედიან ეზოში ავტომობილები მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს ნაირფერი ალმებით. საკონსულოს მუშაკები შესასვლელში ეგებებიან დიპლომატებს. მეც ასევე მოწიწებით გამიღეს მანქანის კარები, პირველად ჩემს ცხოვრებაში. შენობაში შესვლამდე ისღა მოვასწარი, რომ გულისჯიბიდან ამოვაძვრე ჰალსტუხის დანამატი, თეთრად დაწინწკლული ლურჯი ქსოვილის ნაჭერი, და შარვლის ჯიბეში ჩავმალე, რისთვისაც ოთარის საყვედურიანი მზერა დავიმსახურე.

ვესტიბიულში გენერალური კონსული იური სავოსტიანოვი და მისი მეუღლე ეგებებიან სტუმრებს. როგორც ჩანს მასპინძელი ზოგიერთ მათგანს პირადად იცნობს, სხვები კიდევ თვითონ ასახელებენ ვინაობას. ალბათ, მეც ასე უნდა მოვიქცე. ოთარი ჩემს წინ დგას რიგში. ისიც შემაწევს ორიოდ სიტყვას, იმ შემთხვევაში, თუ სავოსტიანოვმა თურქული იცის, ვინაიდან თვითონ ოთარი რუსულად „ზდრასტისაც“ ვერ იტყვის. ჩვენი რიგიც მოვიდა. ოთარმა მაინც მოახერხა ჩემი წარდგენა, უსიტყვოდ, მე კი მოვალედ ჩავთვალე თავი, ორიოდე სიტყვა მეთქვა გენერალური კონსულისათვის, საიდან ვიყავი და როგორ აღმოვჩნდი სტამბოლში, თანაც მადლობა მოვახსენე დარბაზობაზე მიწვევისათვის. სავოსტიანოვმა მოულოდნელად საკმაო ყურადღება გამოიჩინა, მითხრა, რომ იგი ნამყოფია საქართველოში (მეუღლემაც დამიდასტურა ეს თავის დაქნევით) და დიდი სურვილი აქვს, რომ კვლავ ეწვიოს ამ მშვენიერ მხარეს (მეუღლემ ესეც დაადასტურა). მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, რადგან ჩემს უკან მდგომი ინდოელი თუ პაკისტანელი დიპლომატი თეთრი კბილების კრიალით უკვე ემზადებოდა მისასალმებლად.

გაგრძელება. იხ. „ჭოროხი“ № 6, 1989.

უპირველეს ყოვლისა, რამაც გამაოცა, ეს იყო ვეებერთელა გვირგვინები, რომლებიც ეკიდა ყველგან, შესასვლელში, კედლებზე, კიბის მოაჯირებზე. თითოეულ მათგანზე მიკრული იყო ლენტი დაახლოებით ასეთი შინაარსის წარწერით: ამა და ამ ქვეყნის მთავრობა ულოცავს საბჭოთა კავშირის ხალხს ეროვნულ დღესასწაულს. მილოცვის ასეთი წესი ყოფილა აქ, ჩვენგან განსხვავებით, სადაც გვირგვინი უფრო სხვა მიზნით გამოიყენება.

დიდ დარბაზში უამრავი ხალხი ირევა; დგანან ჯგუფ-ჯგუფად, ორ-ორი, ერთმანეთში საუბრობენ. ძირითადად ისმის თურქული და ინგლისური, მე არც ერთი ენა არ ვიცი, ამიტომ მუნჯივით ვდგევარ და, ვინ იცის, მერამდენეჯერ გუნებაში ვწყევლი ჩვენს სასკოლო პროგრამებს, რომელთა მიხედვით უცხო ენა ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ისწავლება, მაგრამ საშუალო სკოლა დამთავრებულმა „გუტენ ტაგის“ და „ვერი მაჩის“ გარდა მაინც არაფერი იცის. ამიტომ ოთარს გვერდიდან არ ვიცილებ.

ენზა სოხაძემ გვკიდა თვალი. ქალბატონ ლიანასთან ერთად ჩვენსკენ გამოემართა. მაშინვე ოფიციანტი გაჩნდა, სასმელი და ბუტერბროდები შემოგვთავაზა. სხვებიც შემოგვიერთდნენ, მათ შორის საკონსულოს კიდევ ერთი მუშაკი — ვიქტორ დგებუაძე მეუღლესთან ერთად. კარგა ხანია ისინი საქართველოში არ ყოფილან, მეკითხებიან, რა ხდება ჩვენთან, რა სიახლეებია? თან რჩევა-დარიგებას მაძლევენ, რომ ამ ოციოდე დღის განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ვნახო და გავიცნო, თუ საჭირო დარჩა, დახმარებასაც მპირდებიან. რა თქმა უნდა, ჩვენ ქართულად ვსაუბრობთ და ამით ყურადღებას ვიპყრობთ, იმიტომაც, რომ გარშემო ჩვენებურებიც არიან.

ვიღაც მეგრულად მესალმება, ტანმაღალი კაცი ღიმილით მართმევს ხელს:

— ჰაიათ ასილიაზიჯი ვარ, ლაზი. თქვენ, ალბათ, თურქული არ გეცოდინებათ, მე კიდევ — ქართული. იქნებ მეგრულად გველაპარაკა.

ვიხსენებ ჩემი მეგრულის მარაგს. საუბარი გამოგვდის. თან ოთარი გვეხმარება. ბატონმა ჰაიათმა მეუღლე წარმომიდგინა. იგი რუსულად მეცნობა. გამიკვირდა.

— თქვენი სიძე ვარ, — იღიმება ასილიაზიჯი, — ჩემი ცოლი ბათუმელია, დედა ბერძენი ჰყავს, მამა კი თქვენებური თურქი — ალი ბეი კარაბაჯიაკი.

მომეჩვენა, რომ ქალბატონი გიუნერი თითქოს სადღაც მინახავს.

— შეიძლება ტელევიზიით, — იღიმება იგი, — თქვენ ხომ ბათუმში ღებულობთ აქაურ გადაცემებს. პროფესიით მომღერალი ვარ. უფრო ხშირად, რადიოთი მიხდება გამოსვლა. სამუსიკო სასწავლებელშიც ვასწავლი, ბავშვთა გუნდი მყავს. დედ-მამა ახლა პენსიონერები არიან. ძალიან გაეხარდებათ თქვენი ნახვა. მათ ხომ ნახევარი ცხოვრება ბათუმში გაატარეს. პირობა უნდა მომცეთ, რომ გვესტუმრებით.

მეც ვაძლევ პირობას და ერთხელ კიდევ ვწუხვარ იმაზე, როგორ მოვასწრებ ამდენ ვიზიტს ამ ოციოდე დღის განმავლობაში.

ჰაიათ ასილიაზიჯი ცნობილი თეატრალური მოღვაწეა, კრიტიკოსი. მისი წერილები ხშირად იბეჭდება აქაურ ჟურნალ-გაზეთებში. საკმაოდ კარგად იცნობს საბჭოთა თეატრს, რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში, თბილისში, ბათუმში, უნახავს რუსთაველის, მარჯანიშვილის, მარიონეტებისა და სხვა თეატრების სპექტაკლები, შეხვედრია რობერტ სტურუას, მიხეილ თუმანიშვილს, სხვა ქართველ რეჟისორებს, რამდენიმე წერილი გამოუქვეყნებია ქართულ თეატრზე. მხარდაჭერას მთხოვს თურქეთში ჩვენი თეატრალური დასების მისაწვევად. ისიც მითხრა, ამ დღეებში მოსკოვიდან თეატრის მოღვაწეთა კავშირის დელეგაციას ველით, შემადგენლობა, ჯერჯერობით, არ ვიცი, მაგრამ, როგორც კი შევიტყობ, მაშინვე გაცნობებთო.

შემდეგ ჟურნალისტებმა დამიმარტოხელეს, მათ შორის უცხოელები იყვნენ. საუბარი გაადვილდა, როცა შეიტყვეს, მეც ჟურნალისტი ვიყავი, როგორც ჩანს, აქაური გაზე-

თები საკმაოდ ფართო ინფორმაციას აწვდის თავიანთ მკითხველებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ბოლო დროს საკმაოდ ობიექტურადაც; ძალიან აინტერესებთ ჩვენში ამჟამად მიმდინარე ცხოვრების განახლების პროცესი. განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამენ სარფის სასაზღვრო კარის გახსნის გამო. ამასვე უკავშირებენ ჩვენი ქვეყნიდან გაზის მიღების პერსპექტივას.

ჩვენებურებიც საკმაოდ არიან აქ. ოთარი მაცნობს მათ და იმ ადამიანთა სია, რომელთაც შეხვედრას ვპირდები, ბათუმში ვეპატიჟები, თანდათან იზრდება. უკვე მათ ქორწინებასაც ვერ ვიმახსოვრებ. ამასთან ჩვენი ხანმოკლე საუბარი, მხოლოდ ხელის ჩამორთმევით, ერთმანეთის გაცნობით და მოკითხვით არ მთავრდება, თითოეული აქ მყოფი რაღაცით დაკავშირებულია საქმიან წრეებთან, ბიზნესთან, კომერციასთან, ამიტომ აინტერესებთ ჩვენს ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივები. ბუნებრივია, მე მთლად ამომწურავად ვერ ვპასუხობ, მაგრამ რაღაც მოსაზრებებს გამოვთქვამ და ვპირდები, რომ მათ სურვილებს აუცილებლად გადავცემ ჩვენს ხელმძღვანელებს. რომ მეტი დამაჯერებლობა მიმეცა ჩემი დაპირებისათვის, ისიც გავიხსენე, ვარ ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, რამაც, შევამჩნიე, ჩემი ავტორიტეტი საკმაოდ აამაღლა.

ვიგრძენი, რომ ჩემდამი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ეგრეთწოდებული, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები — სომხები, ლაზები, ჩერქეზები, აღილელები, აფხაზები, ოსები... ალბათ, იმიტომაც, რომ მე მათთვის შემეძლო მეცნობებინა უახლესი ამბები, თუ რა ხდება მათ მშობლიურ მიწა-წყალზე, თანამემამულეთა ცხოვრებაში, როგორც ჩანს მათაც გაუჩნდათ ერთმანეთთან შეხვედრის იმედი, ისტორიული უკუღმართობის გამო დაშორებულებს.

ენზა სოხაძემ მომძებნა, ცალკე განვმარტოვდით პატარა, მყუდრო ოთახში, დროზე მიშველა. არც ისე ადვილი ყოფილა ორი საათი ფეხზე დგომა. მართალია, დღეს აქ ოფიციალური მიღებაა, ბატონ ენზას კონსულის რანგი აქვს, მაგრამ ახლა ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მაინც ქართველები ვართ და საუბრის ძირითადი თემა სწორედ ესაა. ვიგონებთ საერთო ნაცნობებს თბილისში, ბათუმში, თუ რა ახალი პიესები დაიდგა თეატრში, როგორი წარმატება ჰქონდა თენგიზ აბულაძის ფილმებს თურქეთში, როდის დაამთავრებს რეზო ჩხეიძე „დონ-კიხოტის“ გადაღებას, შემდეგ ჩვენი საუბარი თანდათან საქმიან ხასიათს იღებს, თუ რა მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის დასამყარებლად. ბატონი ენზა მეუბნება, რომ სულ მალე ტრაპიზონში გაიხსნება კიდევ ერთი გენერალური საკონსულო, რაც ხელსაყრელ პირობებს შექმნის დასაახლოებლად. ერზრუმში უკვე იმყოფებოდა პირველი ოფიციალური დელეგაცია ბათუმიდან. აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა კონცერტები ჩაატარა სტამბოლში, სხვა ქალაქებში. ბათუმელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი გამართეს რიზეში. კიდევ ბევრი რამაა დაგეგმილი, სახელდობრ, ურთიერთობის დამყარება სამშენებლო კომპანიებთან. საქართველოს ტერიტორიაზე, გაგრაში, ერთ-ერთი თურქული ფირმა უკვე აშენებს სასტუმროს, რაც შესაძლებელი გახადა სარფის კარის გახსნამ. ბატონ ენზას მიაჩნია, რომ ამ ურთიერთობის განმტკიცებაში აქტიურად უნდა ჩაებან კულტურის მოღვაწეები. ჩემს პროგრამაში გათვალისწინებულია შეხვედრები მწერლებთან, თეატრალურ მოღვაწეებთან; დავალება მაქვს ჩვენი კავშირიდან, რომ მოვამზადო ნიადაგი თეატრალური დასების, რეჟისორების, პიესების გასაცვლელად. ბატონი ენზა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სტამბოლში გაიხსნას ქართული რესტორანი. ამისთვის ნიადაგი მომზადებულია. საკონსულო შეეცდება გამონახოს შესაფერისი შენობა. საჭირო იქნება რომელიმე ფირმასთან კონტრაქტის გაფორმება, ქართველი მზარეულების ჩამოყვანა. თავისთავად ცხადია, რომ ეს იქნება არა მარტო რესტორანი, არამედ

ერთგვარი კულტურული ცენტრი, დაახლოებით ისეთივე, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გაიხსნა მოსკოვში, არბატზე.

დარბაზში რომ დავბრუნდით, სტუმრები საკმაოდ შეთხელებულიყვნენ. გამომშვიდობებისას მეტი საშუალება მქონდა, დავლაპარაკებოდი გენერალურ კონსულს. მანაც იგივე აზრი გამოთქვა, რომ საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს თურქეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობის განმტკიცებლად. იური სავასტიანოვმა მთხოვა, საუკეთესო სურვილები გადამეცა ქართველი ხალხისათვის. მეც, რა, თქმა უნდა. ბატონი იური მეუღლითურთ ბათუმში მივიპატიჟე.

ნამდვილად საინტერესო და სასარგებლო იყო 1989 წლის 7 ნოემბრის დარბაზობა სტამბოლში, საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოში. ერთი რამ გამიკვირდა მხოლოდ, მთელი საღამოს განმავლობაში ოფიციალური სიტყვა არ თქმულა, რისთვის ვიყავით მიწვეული, რა მიზეზის გამო, არც მასპინძლებს უთქვამთ ეს და არც სტუმრებს. სხვათა შორის, თითქმის ასევე ჩატარდა მიღება ბათუმის „ინტურისტში“, რომელიც ჩემი გამომგზავრების წინ მოაწყო თურქეთის გენერალურმა საკონსულომ რესპუბლიკის დღესთან დაკავშირებით, იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან სუფრა ქართულ ყაიდაზე იყო გაშლილი. თუმცა ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, რომ აქაც და იქაც იგრძნობოდა ცხოვრების განახლების, ერთმანეთთან დაახლოებისა და თანამშრომლობის დიდი სურვილი.

* * *

რამდენიმე დღით გავდივარ სტამბოლიდან, ასე ითქმის თორემ წუხელ რომ ოთარმა რუკა მიჩვენა, იმის მიხედვით კვლავ სტამბოლში ვარ. კაციშვილმა არ იცის, სად იწყება და სად მთავრდება ქალაქი; ალბათ, არც მუნიციპალიტეტმა; მოსახლეობის რაოდენობაც არაა დაზუსტებული. დაახლოებით შვიდი თუ რვა მილიონიაო, ასე ამბობენ თავად სტამბოლელები. რაც შეეხება „დიდ სტამბოლს“, მის ფარგლებში ოცდაათამდე ქალაქია, რომელთაგან ერთ-ერთში მილიონი მცხოვრებია.

იალოვა შედარებით პატარა ქალაქია. ამ დილით იქ მივემგზავრები, გურამ ხიმშიაშვილთან. პირადად არ ვიცნობ. ბათუმში მოვკარი ერთხელ თვალი. წერილი მივილე მისგან აქეთკენ გამომგზავრებამდე. ზურაბ კიკალეიშვილი იცნობს კარგად. რამდენადაც ვიცი, მასთან ოჯახშიც ყოფილა, იალოვაში, სადაც დღეს მივემგზავრები პატარა გემით, რომელსაც ჩვენში მდინარის ტრამვაის ეძახიან.

ოთარმა ნავსადგურში მიმიყვანა, შემომთავაზა, იალოვაში გამოგყვებით, მაგრამ მე შორს დავიჭირე, როგორმე გავიკვლევ გზას-მეთქი. ან რა გაკვლევა უნდა, ეს პატარა გემი ორიოდე საათში იალოვაში ჩამიყვანს, იქ კი გურამი დამხვდება. საჭირო რომ დარჩეს, ისე როგორ წახდება საქმე, რომ ამდენ ხალხში ერთი ჩვენებური არ აღმოჩნდეს, ან კიდევ მეგრულად მოლაპარაკე ლაზი!

ბოსფორიდან მარმარილოს ზღვაში გავდივართ და ნაპირ-ნაპირ მივემართებით. იალოვამდე ერთხელ მივადექით ნაპირს, უფრო სწორად, პატარა კუნძულს, სადაც ზაფხულობით, უქმე დღეებში, ისვენებენ სტამბოლელები. ძირითადად, შეძლებულები, რა თქმა უნდა. ამჯერად უმრავლესობა, როგორც ჩანს, სამსახურში მიიჩქარის. ზოგიერთი იქვე საუზმობს, გემზე. როგორც ჩვენში ამბობენ, მგზავრთა მომსახურება, სათანადო დონეზეა. ასე, რომ ფეხზე წამოდგომა, ბუფეტთან მისვლა არცაა საჭირო. მე ნასაუზმევი წამოველი სახლიდან, მაგრამ პირტიტველა ყმაწვილი ბოთლებით სავსე კალათით მესამეჯერ რომ მომადგა, უარი ვერარ ვუთხარი და რომელიღაც თეთრსასმელიან ბოთლს დავადე ხელი. მინერალურ წყალს ჩამოგავდა. გავსინჯე. სუფთა წყალი აღმოჩნდა.

გამახსენდა, ოთარმა რომ გამაფრთხილა, ონკანის წყალს ნუ დალევო, ბოთლებით სავსე მაცივარი გამოაღო, აქედან აირჩიე, რაც გინდაო. ასე რომ, თურქეთში უბრალო წყალიც იყიდება, მართალია, გამოხდილი, თანაც ძალიან იაფად.

ასევე გამაფრთხილეს, თავი შემეკავებინა ონკანიდან წყლის დალევისაგან ჩინეთში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. საერთოდ, წყლის ნაკლებობა მთელს მსოფლიოში იგრძნობა. მახსოვს, რომის სასტუმროშიც კი დღის განსაზღვრულ მონაკვეთში გვაძლევდნენ წყალს.

სტამბოლს ძველთაგანვე აწუხებდა უწყლობა. ქალაქის ზოგიერთ უბანში ახლაცაა შემორჩენილი მეოთხე-მეხუთე საუკუნეში აგებული აკვედუკები, რომლებითაც ტყეებიდან ღებულობდნენ წყაროს წყალს. თურქეთში რელიგიური თვალსაზრისითაც საჭიროა წყალი. ამიტომ სტამბოლში, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, უამრავი შადრევანია, თითქმის ყველა მეჩეთთან. იმდენად არა სილამაზისათვის, რამდენადაც ლოცვის რიტუალის შესასრულებლად, ცოდვებისაგან განსაბანად. ამიტომ ისინი, ბერძნული, იტალიური, თუ რუსული შადრევნებისაგან განსხვავებით, კეთდება ყოველგვარი ზედმეტობის, კასკადებისა და სკულპტურული ფიგურების გარეშე. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებს ერთმანეთისაგან, ქვაზე ამოკვეთილი ქველმოქმედი მეცენატის სახელია, ვინც მის ასაგებად ფული გაიღო, აშენების თარიღი, აგრეთვე რომელიმე ბრძენის გამონათქვამი ადამიანისათვის აუცილებელი, მაცოცხლებელი წყლის სადიდებლად.

ზაფხულობით განსაკუთრებით იგრძნობა უწყლობა. ამიტომ სწორედ მაშინ გამოეფინებიან ქუჩებში, მოედნებზე ზურგზე კასრმოდებული ბიჭები, რომლებიც ჰიქა ცივ წყალს სთავაზობენ დასიცხულ გამვლელებს, ტურისტებს. როგორც ერთ დროს ბათუმშიც, აქაც იმავე სიტყვას გაიძახიან — „სოუქ სუ“, რაც ცივ წყალს ნიშნავს, ასევე უწოდებდნენ წინათ ბათუმში სასაფლაოს, ალბათ, იმიტომ, რომ ის ცივი წყალი ქალაქ გარეთ იყო და იქიდან შემოჰქონდათ.

როგორც მითხრეს, სტამბოლი დაიწვა ბევრჯერ, უმთავრესად — უწყლობის გამო. წინათ ქვისაგან აშენებდნენ მხოლოდ მეჩეთებს, მედრესეებს, სასახლეებს, აბანოებს, მოსახლეობა კი, ძირითადად, ხის სახლებში ცხოვრობდა. ასე, რომ ქარის გადატყორცნილ ნაპერწკალს, ან ასანთის ანთებულ ღერს შეეძლო მთელი რაიონი ამოებუგა. ასე დაიწვა ერთ დროს ჩიკაგო, ქუთაისი... სანამ სპეციალური მანქანები გამოჩნდებოდა, პომპებითა და გასაშლელი კიბეებით, მოხალისე მეხანძრეები (მათ ტოლუმბაჯებს ეძახდნენ) მთელი დღე კაფეში ისხდნენ ხანძრის მოლოდინში, როგორც კი წივილ-კივილი და ვედროების ბრახუნი ატყდებოდა, ისინი კისრისტეხით გარბოდნენ ხანძრის ჩასაქრობად, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში უკვე დანახშირებული სახლი ხვდებოდათ.

...ჯერ კიდევ ნაპირთან მიდგომამდე დავინახე გურამ ხიმშიაშვილი. თვითონაც მიცნო. ალბათ, შორიდან მიქნევს ხელს. გვერდით ტანმაღალი ჭაღარა კაცი უდგას. რაც უფრო ვუახლოვდებით ნავმისადგომს, მით უფრო მეცნობა იგი, თითქოს სადღაც შევხვედრივარ. იქნებ ამას გულისხმობდა გურამი, ტელეფონით რომ მელაპარაკა და სიურპრიზი დამპირდა.

ვეხვევით ერთმანეთს როგორც დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ნათესავები.

გურამ ხიმშიაშვილი სულ ახალგაზრდა კაცია, გარეგნულად ისეთი, რომ შეხედავ და იტყვი, ნამდვილი ქართველიაო.

მეორე დამხვდური თვითონაც სტუმარი გამოდგა, თბილისიდან, პროფესორი თეიმურაზ ჩიქოვანი. ბევრჯერაა ნამყოფი ბათუმში. მეგობრები ჰყავს ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. სადღაც, ალბათ, შევხვედრივართ კიდეც. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ სწორედ აქ გავიცანით ერთმანეთი.

იალოვა პატარა და ლამაზი ქალაქია. ისე როგორც თურქეთის თითქმის ყველა ქა-

ლაქში, აქაც, ცენტრალურ მოედანზე, აღმართულია მუსტაფა ქემალის ქანდაკება. ცხენზე ამხედრებული გენერალი მრისხანედ გაჰყურებს ზღვას. თურქეთის რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ბევრი რამ გააკეთა ცხოვრების განახლებისათვის, რისთვისაც მას ათათურქი, ესე იგი, თურქების მამა შეარქვეს.

აქვე ვცხოვრობ სულ ახლოსო, მეუბნება გურამი და ჩვენც ფეხით მივყვებით ქუჩას. არხის გასწვრივ პატარა კოტეჯები დგას. ერთ მათგანს მივადექით.

— არ გეგონოს, რომ ეს ჩემი საკუთარი სახლია. ერთი ბინა მაქვს ნაქირავები მხოლოდ.

გურამის მთელი ოჯახი შემოგვეგება. მეუღლე — ფატმანი, ვაჟიშვილები — ლევანი, რომელიც უკვე სკოლაში დადის, და მიხეილი, რომელიც ჯერ კიდევ მაგიდის ქვეშ დაბობღავს.

სახლში კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდა, უფრო სწორად, კიდევ ერთი სტუმარი საქართველოდან, ბატონი თეიმურაზის მეუღლე — ლია ჩლაიძე. ქალბატონი ლიას სახელი კარგადაა ცნობილი ჩემთვის, თურქული ენისა და ფოლკლორის სპეციალისტია. თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობს ბატონ ოთარ გიგინეიშვილთან, ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა უცხოელ თანამემამულეებთან მეგობრობის საზოგადოებაში. სხვა დროსაც ყოფილა თურქეთში, სადაც ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს. აქაური ჩვენებურებიც მათი ხშირი სტუმარია თბილისში. ზოგჯერ ბავშვებიც ჩაჰყავთ ზაფხულობით. ქალბატონი ლია და ბატონი თეიმურაზი ზრუნვას არ აკლებენ მათ.

თეიმურაზ ჩიქოვანი ისტორიკოსია, ამჟამად არქეოლოგიაში მუშაობს ძირითადად, ლექსიკონს ადგენს, ასე რომ, მისი თურქეთში ჩამოსვლა, ალბათ, ამ მხრივაცაა სასარგებლო.

ქალბატონი ლია და ბატონი თეიმურაზი მალე უკან გასამგზავრებლად ემზადებიან. ისინი შეხვდნენ თითქმის ყველა იმათ, ვინც მე უკვე გავიცანი, და ეს კიდევ უფრო გვაახლოვებს ერთმანეთს. სარფის კარით დაბრუნდებიან საქართველოში. აქედან ბათუმში ტელეფონით დარეკვა არც ისე იოლი საქმეა. ამიტომ სახელდახელოდ დაწერილ ბარათს ვატან მათ ჩემიანებისათვის გადასაცემად.

მცირე ბათუმური საჩუქარიც ემატება ქართულ სუვენირებს, რომლებითაც მოჭედილია კედლები და თაროები. თბილისსა და ბათუმში ყოფნისას უსახსოვრებიათ მასპინძლებს, ზოგი კიდევ საქართველოდან ჩამოსულებს მიურთმევიათ.

სუფრაც ქართულ ყაიდაზე გაშალა ფატმანმა. ქალბატონი ლიას ხელიც ემჩნევა კერძებს. გურამმა ქართული ღვინით შეავსო სასმისები. შევსვით ჩვენი შეხვედრის, მასპინძლების, ჩვენებურების სადღეგრძელოები.

შემდეგ ლევანი კითხულობს ლექსს — „მე პატარა ქართველი ვარ“...

ერთხელ კიდევ ვაზუსტებთ მომავალი დღეების პროგრამას.

თურქეთში რომ ჩავიდოდი, უპირველეს ყოვლისა, ვვარაუდობდი მომენახულებინა აღმოსავლეთ ვილაეთები — რიზე, ბორჩხა, ართვინი, ტრაპიზონი, ორდუ, სამსუნი, სადაც ძირითადად მეგულებოდნენ ჩვენებურები, ქართული კულტურის უძველესი ძეგლები. მაგრამ ჩამოსვლისთანავე დავრწმუნდი, რომ უდროობის გამო ამ განზრახვის განხორციელებას ვერ შევძლებდი, რამაც ძალიან დამაღონა, ოთარმა დამამშვიდა, სტამბოლში და მის გარშემო იმდენი ჩვენებურია, მთელი წელიწადი არ გეყოფა მათ მოსანახულებლადო.

გურამიც ამას მეუბნება:

— აუცილებლად უნდა ჩავიდეთ გოლჯუკში. ეს არც ისე შორსაა. ჩვენებური კაცია იქ ქალაქის თავი — ზეკერია სავაში, ძალიან უნდა თქვენთან შეხვედრა. გოლჯუკის

გარშემო რამდენიმე ქართული სოფელია. ზექერია აგვიყვანს. ინეგიოლიც იქვეა. გურამ ქოქოლაძე და ვახტანგ მალაყმაძე გველოდებიან იქ.

ბურსაში ჩასვლაც აუცილებელია. იქ შექმნილია უცხოელ თანამემამულეებთან მეგობრობის საზოგადოება „ბათუმი“, რაც მთავარია, ბურსა ახმედ მელაშვილის სამშობლოა.

— ბურსის გარშემო ჩვიდმეტი ქართული სოფელია, —მეუბნება გურამი და წერილს მიჩვენებს.—იბერისგან მივიღე, მომავალ შაბათს ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტია ბურსაში. ბევრი ჩვენებური ჩამოვა ახლო-მახლო სოფლებიდან და ქალაქებიდან.

შემდეგ ჩვენ წარმოვთქვამთ საქართველოს, თბილისის და ბათუმის სადღეგრძელოს. ფატმანი თავს დაგვტრიალებს და სულ ცდილობს რითიმე გვასიამოვნოს.

ლევანი ისევ კითხულობს ქართულ ლექსს.

მაგიდის ქვეშ კი დაბობღავს პატარა მიხეილი, რომელიც, ჯერჯერობით, გამოთქვამს ერთადერთ სიტყვას „ანე“, ესე იგი — „დედა“.

* * *

ცოტა საკუთარი ფული, ცოტაც სესხი, რომლითაც ბანკი გაგიმართავს ხელს, ერთი პატარა ოთახი, და შეიძლება წამოიწყო რაიმე საქმე, გახსნა საკუთარი ბიურო, ხოლო შემდეგ როგორ წაიყვან ამ საქმეს, შენს უნარზე და კომერციულ ალღოზეა დამოკიდებული. ყველაფერი თითქმის ისეა, ჩვენთან რომ დაიწყეს ამ ბოლო დროს და კოოპერატივი უწოდეს.

ერთი ასეთი საქმე წამოიწყო გურამ ქოქოლაძემ, ინეგიოლში გახსნა ვიდეოკასეტების გასაქირავებელი პუნქტი. ახლა მე მასთან ვიმყოფები, კუთხეში მაგიდას ვუზივარ, ალბათ, დღეს ვსვამ მეათე ჭიქა სურნელოვან ჩაის და ტელევიზორით ვუყურებ თურქულ ისტორიულ ფილმს, რომელიღაც სულთანის ცხოვრებიდან; თან ვაკვირდები, როგორ მიდის გურამ ქოქოლაძის კომერცია. მუშტარი საკმაოდაა, ძირითადად — ახალგაზრდები; კასეტებს ცვლიან; გურამის თანაშემწე (თუ კომპანიონი) დავთარში რაღაცას იწერს. ზოგჯერ კითხულობენ რომელიღაც ფილმს, როგორც ჩანს, ახლადგამოსულს. ზოგი მათგანი არის, ზოგს კი ველით, მალე მივიღებთო, პირდებიან კლიენტს.

— საიდან ღებულობ ფილმებს? — ვეკითხები გურამს.

— საიდანაც გინდა, ევროპიდან, ამერიკიდან.

არ ვეკითხები, მაგრამ ვიცი, ეს „საიდანაც გინდა“ ჩვენზე არ ვრცელდება, არადა, ძალიან უნდა ქართული ფილმებიც ჰქონდეს თაროებზე.

— ინეგიოლში, ახლომდებარე სოფლებში ბევრი ჩვენებური ცხოვრობს! მსაყვედურობენ, ქართული ფილმები არა გვაქვს, იქნებ დაგვეხმარებით, გეყოლებათ მეგობრები კინოში, ტელევიზიაში, გავცვლიდით კასეტებსო.

კინოსა და ტელევიზიაში მეგობრები როგორ არ მყავს, მაგრამ როგორ გინდა აუხსნა გურამ ქოქოლაძეს, რომ ჩვენთან სხვა წესია, გეგმიური მეურნეობაა, რაიმე რომ გახსნა და წამოიწყო, რამდენიმე წლით ადრე უნდა შეიტანო პერსპექტიულ გეგმაში, ათას ადგილზე დაამტკიცო ბეჭდებითა და ხელწერებით.

— ინეგიოლში კიდევ არის ასეთი პუნქტები. ყველას შეუძლია ნებისმიერი ქვეყნიდან გამოიწეროს ნებისმიერი ფილმი. ამიტომ სხვას უნდა აჯობო. ფულის შოვნა არაა ადვილი საქმე. კონკურენციაა დიდი.

— რა არის კონკურენცია? — ჩემდაუნებურად ვკითხე გურამს.

გურამმა გაკვირვებით შემომხედა, ხომ არ მცდისო. შემდეგ, ალბათ, ზუსტი პასუხისათვის, სქელყდიანი წიგნი გადმოიღო, ლექსიკონს ჩამოჰგავდა.

— არა, არა, შენი სიტყვებით, ისე, როგორც შენ გესმის.

გურამი წამით ჩაფიქრდა და თქვა:

— კონკურენცია — ესაა, როცა ცდილობ, სხვაზე უკეთ აკეთო საქმე, სხვას აჯობო.

— გურამ, ის თუ იცი, რაა სოციალისტური შეჯიბრება?

გურამი ჩაფიქრდა და გულახდილად მითხრა:

— არა, არ ვიცი.

ახლა იმაზე, თუ საიდან გამიჩნდა ეს კითხვა, ან როდის შემდეგ. იურიდიულ ინსტიტუტს ვამთავრებდი. ბოლო სახელმწიფო გამოცდა დამრჩა პოლიტეკონომიაში. დანარჩენ საგნებში „ხუთიანები“ მქონდა მიღებული. მართალია, იურისტობას არ ვაპირებდი, მაგრამ არც დიპლომის „გაფუჭება“ მინდოდა დაბალი ნიშნით, ბილეთის კითხვებზე თითქოს რიგიანად ვუპასუხე, სულ მიწასთან გავასწორე კაპიტალისტური სამყარო ცხოვრების მგლური კანონებისა და მშრომელთა უმოწყალო ექსპლოატაციის გამო. დრაიზერი და ჯეკ ლონდონიც მოვიშველიე. მაგრამ, ვგრძნობდი, რომ საგამოცდო კომისიის თავჯდომარე, ცნობილი პროფესორი მაინც ჭოჭმანობდა, დაეწერა თუ არა ჩემთვის „ხუთიანი“. ალბათ, ამიტომ დამატებითი კითხვა მომცა, ჩვენთან, სოციალისტურ საზოგადოებაში, რას ვუპირისპირებთ კაპიტალისტურ კონკურენციასო. რა არ ჩამოვთვალე, — სახალხო მეურნეობის გეგმურობა, საბჭოთა ადამიანის მაღალი შეგნებულობა, პატრიოტიზმი, კიდევ ბევრი რამ, მაგრამ, ვატყობდი, პროფესორს ჩემი პასუხი არ აკმაყოფილებდა. კიდევ, კიდევო, გაიძახოდა, მერე შეკითხვა ცოტათი გამიადვილა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა განმარტებით, რას ვუპირისპირებთ კაპიტალისტურ კონკურენციასო. აქ უკვე დრაიზერი და სელინჯერი აღარ გამოდგებოდა, სიზუსტე იყო საჭირო, კონკრეტული ციტატა. ამიტომ გულწრფელად ვაღიარე, არ ვიცი-მეთქი. პროფესორმა კალმისტარი მოიმარჯვა, მაგრამ, სანამ მატრიკულში „ოთხიანს“ ჩამიწერდა და დიპლომს „გამიფუჭებდა“, მოვასწარი, მეკითხა, ძალიან მაინტერესებს, რას ვუპირისპირებთ ჩვენ კაპიტალისტურ კონკურენციას-მეთქი. სოციალისტურ შეჯიბრებასო, მითხრა. მიუხედავად საკითხის მარქსისტულ-ლენინური განმარტებისა, მე ალბათ, გამეღიმა: მომეჩვენა, რომ — მასაც, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ 1953 წლის ზაფხული იყო და ასეთ საკითხებში ირონიული ღიმილი არ იყო რეკომენდებული, პროფესორმაც, ალბათ, ამიტომ გამომიტანა განაჩენი, „ოთხიანი“ ჩხეიძესო! ახლა ჩემი ჯერი დადგა გულის მოსაყვანად, მაპატიეთ, პროფესორო, მაგრამ მე ჩხეიძე არა ვარ-მეთქი. გაკვირვებულმა, ჩახედა მატრიკულში, „ოთხიანი“ რომ უნდა ჩაეწერა, აბა, ვინა ხართო?! ჩხაიძე ვარ-მეთქი. სულ ერთ ასოშია განსხვავებაო. უკან არ დაიხია პროფესორმა. ამ ერთი ასოს გამო იყო, რევოლუცია რომ მოხდა-მეთქი, — არც მე დავუთმე, როგორ?! — ჩხეიძეები თავადები იყვნენ, ხოლო ჩხაიძეები გლეხები ვართ-მეთქი, პასუხი მოეწონა, თუ ჩემი გლეხური ჩამომავლობა, არ ვიცი, მაგრამ პროფესორმა მატრიკულში „ხუთიანი“ ჩამიწერა. მას შემდეგ ბევრჯერ ვიყავი საზღვარგარეთ, პირისპირ შევხვდი კაპიტალისტურ სამყაროს, კონკურენციის მგლურ კანონებს, მაგრამ ვერაფრით ვერ ვიგრძენი უპირატესობა სოციალისტური შეჯიბრებისა, გარდა იმისა, რომ ჩვენში გამარჯვებული ქების სიგელს და წითელი ატლასის სამკუთხა გარდამავალ ვიმპელს ღებულობს, თუმცა, ამბობენ, ახლა ესეც აღარააო. „კონკურენცია“ უკვე აღარ ითვლება საგინებელ-სალანძღავ სიტყვად. სულ ახლახან გამოცემულ უცხო სიტყვათა ლექსიკონში იგი განმარტებულია როგორც შეჯიბრება ცალკეულ პირთა შორის ერთი და იგივე მიზნის მისაღწევად და არა მარტო გააფთრებული წინააღმდეგობებით აღსავსე ბრძოლა კაპიტალისტურ სამყაროში რაც შეიძლება მეტი მოგების მისაღებად, — როგორც ეს აღნიშნულია ძველად გამოცემულ ლექსიკონებში.

ასე იცვლება აზროვნება, უცვლელად დარჩა მხოლოდ ჩემს დიპლომში ჩაწერილი „ხუთიანი“, რომელიც მივიღე მაშინ პოლიტეკონომიაში, ისიც ჩემი გლეხური ჩამომავლობის გამო.

...გურამ ქოქოლაძის კინოსალონში გვაქვს დათქმული შეხვედრა ვახტანგ მალაყმაძესთან. გურამმა შემომთავაზა, კიდევ ერთი ვიდეოფილმი მენახა მის მოსვლამდე. ახალი კასეტა ჩადო, რომელიმე გახმაურებული ამერიკული ან იტალიური დეტექტივის სანახავად მოვემზადე. ამასობაში რამდენიმე კაცი შემოგვიერთდა. მათ შორის — ჩვენებურებიც. ეკრანი აინთო და, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გამოჩნდა ქართული წარწერა — „შერეკილები“. როგორც შევატყვე , აქაურებს უკვე ბევრჯერ ჰქონდათ ნანახი ელდარ შენგელაიას ეს ფილმი, მაგრამ მაინც გულიანად იცინოდნენ პერსონაჟებთან ერთად, თვითონაც იმეორებდნენ ცალკეულ ფრაზებს.

შემდეგ, შედარებით შეძლებულ ოჯახში, ხშირად ჩართავდნენ ხოლმე ვიდეოს, მაგრამ ყველგან თითქმის ერთი და იგივე ფილმი მეორდებოდა, უმეტესად, ვალერიან კვაჭაძის „ღვინის ქურდები“, რომლის ტექსტი დიდმაც და პატარამაც თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის; თან სიმღერები მოსწონთ ძალიან, როგორც კი ვეტყოდი მასპინძლებს, რომ „ღვინის ქურდების“ ავტორს ვალერიან კვაჭაძეს ჩემი პიესების მიხედვით გადალებული აქვს ორი ფილმი „ხიდი“ და „სამიდან ექვსამდე“, ვატყობდი, ამით ავტორიტეტი ერთი-ორად მიმაღლდებოდა. სიამოვნებით ვნახავდითო, მოკრძალებით ჩაილაპარაკებდნენ. მაგრამ, ვგრძნობდი, ისინი ამით საქართველოსთან კიდევ უფრო დაახლოების სურვილსაც გამოთქვამდნენ, მით უფრო, რომ სარფის კარის გახსნაზე დიდ იმედს ამყარებენ.

გურამ ხიმშიაშვილთან ერთად ამ დილით ჩამოვედი ინეგიოლში. აქ უნდა შევხვდეთ ვახტანგ მალაყმაძესა და გურამ ქოქოლაძეს. შემდეგ გავემგზავრებით გოლჯუკში, სადაც ზექერია სავაში გველოდება, ხოლო იქედან ერთად ავალთ ქართულ სოფლებში. ასეთია ჩვენი გეგმა. მაგრამ ვახტანგ მალაყმაძე სახლში არ დაგვხვდა. ხიმშიაშვილი წავიდა მის მოსაძებნად. სანამ ისინი გამოჩნდებოდნენ, მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ გურამ ქოქოლაძეზე. პირადობის მოწმობით, მისი სახელი და გვარია იერგუნ ათაბაია, მაგრამ, როგორც თავიდან შევთანხმდით, მე ისე წარმოგიდგენთ ჩვენებურებს, როგორც ერთმანეთს მივმართავდით. ქოქოლაძეები სხვებთან ერთად მაჭახლის ხეობიდან წამოსულან. ბედის უკუღმართობას თუ გაუგებრობას ჩიქუნეთიდან, კირნათიდან, ჩხუტუნეთიდან, სხვა სოფლებიდან აუყრია ცინცაძეები, კახიძეები, მალაყმაძეები, კირკიტაძეები, ბასილაძეები, ჯინჭარაძეები, გურგენიძეები, ხინკილაძეები და სტამბოლის ახლომახლო ვილაეთებში დასახლებულან. მარტო ბურსის ირგვლივ ოცამდე სოფელია, სადაც მჟავანაძეები, ფუტკარაძეები, თალიბაშვილები, ღლონტები, გიორგაძეები, ახვლედიანები, დანელიბი საბლობენ. და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ასეთი კუთხე-სოფელია აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, სამხრეთით თუ ჩრდილოეთით! ყოველი გვარი, თითოეული ოჯახი მთელი ისტორიაა, საქართველოს ბედთან დაკავშირებული.

ზოგიერთი გვარის გენიალოგია იმ ბედუკუღმართი დროიდან მოდის, როდესაც საქართველოს ტერიტორიის ნაწილი იქით მხარეს აღმოჩნდა: შავშეთში, იმერხევში, ტაო-კლარჯეთში, სხვა პროვინციებში. ზოგიერთები 1878-79 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, მუჰაჯირობის პერიოდად რომაა ცნობილი, ბედმა ოსმალეთში გადახვეწა. ზოგიეც კიდევ ოციანი წლების რევოლუციურმა ქარტეხილებმა გადაისროლა უცხო მხარეში.

ყოველთვის მიკვირდა, ბევრ მათგანს პირადად ვესაუბრე, მაგრამ მაინც ვერ ჩავწვდი ბოლომდე საიდუმლოს, როგორ შეინარჩუნეს ამ ადამიანებმა ამდენ ხანს მშობლიური ენა?! განა ცოტა მაგალითია, როცა უცხოეთში კი არა, ჩვენი ქვეყნის რომელიმე სხვა

რესპუბლიკაში დასახლებულ-დაოჯახებული ქართველის შთამომავალი ივიწყებს ქართულს! სულ ახლახან ისრაელში გამგზავრებული ჩვენებური ებრაელობა უკვე წუხს, რომ მათი შვილები ოჯახში კიდევ ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ სკოლაში შესვლის შემდეგ ძალაუნებურად ავიწყდებათ წინაპართა ენა.

ამიტომ მით უფრო დასაფასებელია იმ ადამიანთა მეცადინეობა, რომლებიც თარგმნიან ქართულ წიგნებს, ქმნიან თანამემამულეებთან მეგობრობის საზოგადოებებს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს, საგანგებოდ ჩამოჰყავთ საქართველოში შვილები ენის შესასწავლად. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბოლო ხანებში, — მიაგნონ და გასაგებ ენაზე დაელაპარაკონ ერთმანეთს სისხლითა და სულით ნათესავებმა.

ჩემი ჩამოსვლაც თურქეთში, ჩვენებურებთან, ამან განაპირობა, ისიც, რომ აქაურმა კაცმა — ვახტანგ მალაყმაძემ, რომელსაც მე არც ვიცნობ, გადაწყვიტა, ეთარგმნა ქართული პიესა.

— უკვე ვთარგმნე, — შემოსვლისთანავე მეუბნება ბატონი ვახტანგი, თითქოს გუშინ დაწყებულ საუბარს ვაგრძელებდეთ — თქვენი ჩამოსვლის ამბავი რომ შევიტყვე, გადავწყვიტე მომესწრო ეს საქმე, თუმცა ზოგიერთი ადგილი ცოტა გაუგებარია ჩემთვის.

ვახტანგი პიესას ფურცლავს და მიჩვენებს იმ ადგილებს „ხიდიდან“, რომელთა თარგმნა გასძნელებია. გურამ ხიმშიაშვილი გვაჩქარებს, ისედაც დავაგვიანეთ, რაბანია ზექერია სავაში გოლჯუკში გველოდებაო.

ჯერ კიდევ ბათუმიდან ვიცოდი, რომ ყველაზე მეტად ჩვენებურების სიმრავლე ინეგიოლში იგრძნობა. ამაში უმალ დავრწმუნდი, ქუჩაში რომ გამოვედით. ვახტანგ მალაყმაძე ბუნებით ენერგიული, მოძრავი, სმამაღლა მოლაპარაკე კაცია. მასთან ქართულად მოსაუბრე უცხო კაცს რომ დაინახავდნენ, გამვლელები ნაბიჯს ანელებდნენ. ქუჩის მეორე მხრიდან გამოდიოდნენ, ხელს მართმევდნენ, თავიანთ ქართულ გვარებს მისახელებდნენ, ოჯახში მეპატიჟებოდნენ, განსაკუთრებით, ერთი ხნიერი კაცი, იურისტი, რომელიც ხასან მუავანაძედ გამეცნო. ლიტერატურულ ლექსიკონს ვადგენთ; ძალიან მთხოვა, მოკლე ცნობები მივაწოდო თანამედროვე ქართველ მწერლებზე.

გურამ ხიმშიაშვილს რომ არ ემარჯვა, იმ დღეს ინეგიოლიდან, ალბათ, ვერ გავალწევდით და ჩვენს მომლოდინე გოლჯუკის მერს, ალბათ, ბევრ გადაუდებელ საქმეს ჩავუშლიდით.

ვახტანგ მალაყმაძესთან დაწყებული საუბარი „ხიდის“ თარგმნაზე გზაში გავაგრძელეთ, ზოგიერთი ადგილი დავაზუსტეთ, იმაზეც მოვითათბირეთ, ვისთვის გვეჩვენებინა პიესა, რომელი თეატრისათვის, შემდეგ ბატონმა ვახტანგმა თავისი ცხოვრება გამაცნო: მისი წინაპრები 1878-79 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დასახლებულან ამ კუთხეში ცალკე სოფლად, რომელსაც დღესაც ჰაირიეს ეძახიან. გვარი „მალაყმაძე“ ჰაირიოლლუდ შეუცვლიათ. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ საპოლიციო ინსტიტუტში შესულა და ოცდახუთი წლის განმავლობაში პოლიციაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ლიტერატურული საქმიანობისათვის ჯერ კიდევ მაშინ მოუკიდია ხელი. ქართული თავიდანვე საკმაოდ სცოდნია, მაგრამ შემდეგ ისე გაწაფულა, რომ თარგმნაც დაუწყია. პირველ ნაწარმოებად „ნაცარქექია“ აურჩევია, ილუსტრაციებისათვის ქართველი მხატვრის კოკა იგნატოვის ნახატები გამოუყენებია. იყო წლები, როცა საქართველოსთან ურთიერთობა მაინცა და მაინც არ სიამოვნებდა ადგილობრივ ხელისუფლებას. განსაკუთრებით ინტელიგენციას უყურებდნენ ამრეზით ამის გამო. არადა, საქართველოს მონახულება ძალიან უნდოდა ვახტანგ მალაყმაძეს. შემოვლით ჯერ ევროპაში ჩასულა, საფრანგეთში, ხოლო იქედან — თბილისში. ქართველ მწერლებს დაუკავშირდა, სათარგმნი ლიტერატურა შეარჩია. ნინო და კალისტრატე სალიებთან თანამშრომლობდა, მათ ყურნალში აქვეყნებდა წერილებს თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე, თბილისურ შთაბეჭდილებებზე. უკანასკნელად საქართველოში იმყოფებოდა ამ ორიოდე წლის წინათ,

ილია ჭავჭავაძის იუბილეზე. ახლა უკვე პენსიაზეა და უფრო მეტი დრო რჩება ლიტერატურული საქმიანობისათვის.

— მაგრამ, რასაც ჩვენ, რამდენიმე კაცი, ვაკეთებთ, ეს ძალიან ცოტაა, — ბობოქრობს ვახტანგი, — მეტი შეგვიძლია. საქართველოსადმი აქ დიდ ინტერესს იჩენენ, ჩვენებურებიც და არაჩვენებურებიც, მაგრამ გამომცემლობა არ გვაქვს, არც იმის საშუალებაა, რომ საკუთარი სახსრებით დავბეჭდოთ წიგნი. სახელმწიფო ამისათვის ხარჯს არ გაიღებს. საერთოდ, თურქეთში მხოლოდ ლიტერატურული შრომით თავის რჩენა ძალიან ძნელია. ჩვენებურებშიც არიან შეძლებულები, მაგრამ ამ საქმეს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ. ბოლო დროს თქვენი „ხიდი“ ვთარგმნე. მართალია, ქართულ ამბავზეა დაწერილი, მაგრამ ასეთი პრობლემები აქაც აწუხებს ხალხს, იქნებ რომელიმე თეატრი დაინტერესდეს ამ პიესით. მინდა დავწერო წიგნი კავკასიელი ხალხების კულტურათა ურთიერთობაზე. ახლა ვთარგმნი ქართულ მოთხრობებს. მალე კიდევ ვაპირებ ჩამოსვლას საქართველოში. იქნებ ცოტათი წინ წავწიოთ ჩვენი საერთო საქმე.

სანუგეშო ვერაფერი ვუთხარი ვახტანგ მალაყმაძეს, ყველა ქვეყანას ცხოვრების თავისი წესი და კანონი აქვს. მაგრამ სხვადასხვა მრწამსისა და ეროვნების ადამიანთა დაახლოებაც ხომ საკაცობრიო იდეალებს ემსახურება, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ირგვლივ. ცოტა ხნის წინათ იმის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა, რომ სტამბოლის ცენტრში გამოკრული აბრა გვაუწყებდა ქართველ თანამემამულეებთან მეგობრობის საზოგადოება „ბათუმის“ არსებობას, ბურსელები საჯაროდ გამართავდნენ ქართული სიმღერისა და ცეკვის საქველმოქმედო საღამოებს, გაიხსნებოდა სარფის კარი და ძმა მივიდოდა ძმასთან. ჩვენმა შემოქმედებითმა კავშირებმა, მეგობრობის საზოგადოებებმა უნდა ითავონ ეს კეთილშობილური საქმე, უცხოელ თანამემამულეებთან ურთიერთობის უფრო ნაყოფიერად წარმართვა. დამერწმუნეთ, იქ გაგზავნილი ყოველი ახალი ფილმი (თუნდაც ვიდეოკასეტაზე), ქართული წიგნი, ქართული სიმღერა ნამდვილი ზეიმი იქნება მათთვის. ვახტანგ მალაყმაძეს შეიძლება ხელი შევუწყოთ, რათა გამოსცეს წიგნი საქართველოზე; სხვა დროა ახლა, სხვა პირობები, შესაძლებლობანი, რისი გამოყენებაც სასიკეთოდ შეიძლება, თუ უფრო გულისხმიერნი ვიქნებით.

* * *

ქალაქის მმართველობის ეზოში შავი „მერსედესი“ შემოვიდა. ტყავისქურთუკიანი კაცი ეჯდა საჭეს. ეს მძღოლიც ჩვენებურს ჰგავს-მეთქი, ვუთხარი გურამ ქოქოლაძეს. ჩვენებური კია, მაგრამ იგი მძღოლი კი არა, თვითონ ქალაქის მერი — ზეკერია სავაშიაო.

ახალგაზრდა კაცია ზეკერია სავაში. დინჯი და გონიერი... ქალაქიც არაა დიდი, თავად სახელწოდება გოლჯუკ „პატარა ტბას“ ნიშნავს, თუმცა მე იქ არც პატარა და არც დიდი ტბა არ მინახავს. სამაგიეროდ, ბევრი ჩვენებური ვნახე.

ბატონ ზეკერიას პირდაპირ განვუცხადე, რომ მასთან შეხვედრა ორ ნაწილად მინდა დავყო, როგორც სელისუფლების წარმომადგენელთან, და როგორც ჩვენებურ კაცთან. პირველი ნაწილი საუბრისა მის კაბინეტში გაიმართა. მისთვის რამდენადმე ოფიციალური ხასიათი რომ მიმეცა, გავიხსენე, რომ ვარ ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი (თუმცა ღმერთმა იცის, ამ მხრივ დიდი არაფერი მიმოლვაწია; ეს, რა თქმა უნდა, მისთვის არ მითქვამს. ალბათ, ჩვეული პოლიტიკური სიფხიზლე გამოვიჩინე). რადგან ჩვენი პრესა საკმაოდ ძუნწ ცნობებს გვაწვდის თურქეთზე (ბათუმელებს კიდევ არა გვიშავს, თურქეთის ტელევიზიით გადაცემებს ვღებულობთ), ვთხოვე ბატონ ზეკერიას, რომ მოკლედ მოეთხრო ჩემთვის ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებაზე.

— საერთოდ, ყოველ ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა მყარდება უკიდურესად და ძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, როცა ვერც ერთი პარტია ველარ მართავს სახელმწიფოს. ხალხს, — ამბობს ზექერია სავაში. — ასე მოხდა ჩვენთან 1980 წელს. აიკრძალა იმ პარტიების მოღვაწეობა, რომელთაც სათავეში ედგნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრები დემერელი და ეჯევითი. მთელი ძალაუფლება გადავიდა გენერალ ქენან ევრენის ხელში. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს. შარშან გაიმართა საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა დედა-სამშობლოს პარტიამ, მისი ლიდერი ოზალი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. მეც ამ პარტიის წევრი ვარ. გოლჯუკის მერად ერჩევი კანდიდატი იყო დასახელებული. ამომრჩეველთა ოცდაათმა პროცენტმა მე მომცა ხმა. უკვე ხუთი წელია ამ თანამდებობაზე ვარ. პოლიტიკური ბრძოლა გრძელდება, ხალხშიც აზრთა სხვადასხვაობაა. საერთოდ, ისეთი მთავრობა არ არსებობს, რომ ყველა კმაყოფილი იყოს მისი. 1983 წლის არჩევნების შედეგად ჩვენს პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 44-მა პროცენტმა, 1987 წელს — 36-მა. სულ ახლახან ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც მხარი დაგვიჭირა ამომრჩეველთა მეოთხედმა. ასე რომ, თქვენი მეორედ ჩამოსვლისას შეიძლება აღარც დაგხვდეთ ამ კაბინეტში.

რაკი გულახდილობაში შევთანხმდით, მორიდებით, მაგრამ საკმაოდ გასაგებად შევეკითხე ბატონ ზექერიას, არის თუ არა შემთხვევა, რომ ანგარების მიზნით ან პროვოკაციით კანონი დაარღვიოს, სამსახურებრივი დანაშაული ჩაიდინოს მუნიციპალიტეტის რომელიმე მოხელემ. გაელიმა, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ჭალაჭის მერი გუავს მხედველობაშიო. უკან აღარ დამიხევია, ისიც-მეთქი. გამორიცხულიაო! მაინც არ მოვეშვი, როგორც გამონაკლისი-მეთქი. თუ კი სინდისზე ხელს აიღებ, ფულის გაკეთება ყველგან შეიძლებაო, მაგრამ, ჯერ ერთი, ამის საშუალებას არ მოგცემს ის თხუთმეტკაციანი კომიტეტი (ჩვენებური აღმასკომი), რომელიც ჭალაჭის ცხოვრებას ხელმძღვანელობს, და კიდევ ბევრი რამ — ოჯახი, პასუხისმგებლობა, რელიგიაო.

შემდეგ პოლიტიკურ ტერორიზმზე, ნარკობანიასა და მაფიაზე ჩამოვარდა სიტყვა, რამეთუ ამის საბაბს იძლეოდა გაზეთებში გამოქვეყნებული და ტელევიზიით გადაცემული ინფორმაციები. ამას წინათ ბათუმში ტელევიზიით ნანახი სიუჟეტიც გავიხსენე, პრემიერ-მინისტრ ოზალს რომ ესროლეს. მეც იქ ვიყავი მაშინ, სტამბოლში, ჩვენი პარტიის კონგრესზე, — მეუბნება ბატონი ზექერია, — ტერორისტმა რომ ესროლა მთავრობის თავმჯდომარეს ტრიბუნაზე. საბედნიეროდ, ხელი გაეკაწრა მხოლოდ.

ამ დილით, გურამ ქოქოლაძე ახალ გაზეთს რომ ათვალიერებდა და ზოგიერთ მასალას მითარგმნიდა, შევიტყვე თურქი კომუნისტების ლიდერთა პროცესის შესახებ, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. არ ცხრება პოლიტიკური დებატები იმის თაობაზე, რომ კომუნისტური პარტია გახდეს ლეგალური. არიან ამის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

— ცხოვრების დემოკრატიული განახლება მაინც იგრძნობა,—ამბობს ბატონი ზექერია, — ისევე, როგორც თქვენთან. ჩვენი პრესა დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა „პერესტროიკის“ ამბებს. ყველა ერთსულოვნად მომხრეა ჩვენი ქვეყნების დაახლოების, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა. ჩვენ რომ დღეს ერთმანეთს ვხვდებით, ეგეც ამის შედეგია.

— იმისიც, რომ ჩვენ კიდევ სხვა რამ გვაკავშირებს. — ვაზუსტებ მე.

— ეს უკვე ჩვენი შეხვედრის მეორე ნაწილია, — იღიმება ზექერია, — ამიტომ, აჯობებს, თუ ქალაქში გავალთ. ჩვენებურებიც ბევრი შეგვხვდება.

ვათვალიერებთ ქალაქს და ზექერია სავაში მიყვება, თუ რა საქმიანობას ეწევა მუნიციპალიტეტი, რა შედის მის ფუნქციებში: ძირითადად — კომუნალური მეურნეობა, მშენებლობა, ქალაქის კეთილმოწყობა, ბაზრის ფასების რეგულირება. დაახლოებით

ისევე, როგორც ჩვენთან, თუმცა ერთხელ კიდევ გავიფიქრე, ხომ არ აჯობებდა, რომ ჩვენთანაც საქალაქო საბჭო ასევე კონკრეტულად და უფრო საქმიანად ხელმძღვანელობდეს ცხოვრების სწორედ იმ სფეროს, რაც მას უშუალოდ ეხება—მშენებლობას (რომელიც დაქუცმაცებულია უამრავ უწყებათა შორის), კომუნალურ მეურნეობას, და არა ყველაფერს, ვინ იცის, როდის და რისთვის დადგენილი სტატუსით. მხედველობაში მაქვს—ვაჭრობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა, ფინანსები, მილიცია.... არის კი საჭირო ასეთი გაორმაგებული ხელმძღვანელობა (შტატების შემცირებისათვის ბრძოლის დღევანდელ ვითარებაში), მით უფრო, ისეთ ქალაქში, როგორიც ბათუმია, სადაც ყველა ამ დარგის სამინისტრო არსებობს. კიდევ უფრო მეტი, აღმასკომში არ არის სწორედ ის განყოფილება, რომელიც უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ დარგის სამინისტრო არ არსებობს ბათუმში. მაგალითად, — ტრანსპორტი, სახალხო მეურნეობის ეს მრავალდარგოვანი სფერო ქვეყნის სასიცოცხლო არტერია, ბათუმში, სადაც არის საზღვაო სანაოსნო, საკმაოდ მძლავრი ფლოტით, აეროპორტი, რომლის სიმძლავრე კიდევ უნდა გაიზარდოს, ავტოტრანსპორტი... მე ის დროც მახსოვს, როცა აღმასკომში არსებობდა სოფლის მეურნეობის განყოფილება, რომელიც მხოლოდ მწვანე ნარგავთა ტრესტს ხელმძღვანელობდა, კიდევ ბევრი რამ მეჩვენება უცნაურად, როცა ერთმანეთს ადარებ ჩვენებურს და საზღვარგარეთ ნანახ-მოსმენილს.

ქალაქი მოვიარეთ და ბატონმა ზექერიამ ერთ მოედანზე შეაჩერა მანქანა. ავტოსადგურს ჩამოჰგავდა აქაურობა. უამრავი ავტობუსი და ტაქსი ირეოდა ირგვლივ. ყავა დავლიოთო, შემომთავაზა და ჩვენც კაფეში შევედით. ბევრი ხალხი იყო, ალბათ, უმეტესობა ავტობუსის მომლოდინე მგზავრები. რა თქმა უნდა, ქალაქის მერის გამოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ ამან განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია. არც კაფეს პატრონი გაგვძღოლია ცალკე კაბინეტისაკენ. ნაცნობები ფეხზე წამოუდგომლად, შორიდან ესალმებოდნენ ზექერია სავაშს. შევატყვე, რომ უცხო კაცის გამოჩენამ უფრო მეტი დაინტერესება გამოიწვია. თავისუფალ მაგიდას მივუსხედით. ქართულად საუბარი რომ გავაბით, რამდენიმე კაცი წამოდგა და ჩვენსკენ გამოემართა. მეორე მაგიდა მოადგეს. გარს შემოგვეხვივნენ, მივხვდი, მხოლოდ ყავის დასალევად არ შემოვუყვანივარ ბატონ ზექერიას აქ. გარშემო თითქმის მხოლოდ ჩვენებურები იყვნენ. ქალაქელებიც და გოლჯუკის გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებლებიც. ქართული გვარებით მეცნობოდნენ, საქართველოს ამბებს მეკითხებოდნენ. რითიმე რომ ესიამოვნებინათ, ჩაი, ყავა, ხილი მოჰქონდათ. რამდენიმე მათგანმა ოჯახშიც მიგვიპატიჟა. ბატონი ზექერია მათ არწმუნებდა, სტუმარი ცოტა ხნითაა ჩამოსული და ერთ-ერთ სოფელში უნდა ავიდეს ჩვენებურებთან. მაშინ რამდენიმე კაცმა სურვილი გამოთქვა, ჩვენც გამოგყვებითო. ერთი მათგანი სწორედ იმ სოფლიდან აღმოჩნდა, ჩვენ რომ ვაპირებდით ასვლას.

ნუსეთიეში რომ მივედით, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ საქართველოდან გადმოხვეწილები უმთავრესად ისეთ ადგილებს არჩევდნენ საცხოვრებლად, დატოვებულ სამშობლოს, კარ-მიდამოს და ბუნებას რომ მოაგონებდათ.

მასპინძლები მიჩვენებდნენ გორაკებზე შეფენილ ეზო-სახლებს, იქ ჩაქველები ცხოვრობენ, აქით — ჩაქვისთაველები, იქით კიდევ მაჭახლელებიო. ალბათ, სწორედ ამით შეინარჩუნეს მათ მშობლიური ქართული, ერთად რომ სახლდებოდნენ, სოფლებად, გვარებად, ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ.

ერთი იმათგანი, გოლჯუკიდან რომ გამოგვყვა, სულ მეხვეწებოდა, ჩვენებური ჭადი და ლობიო ან სარმა არ გენატრება, ცოტა ხნით მესტუმრე ოჯახშიო.

ბატონმა ზექერიამ ძლივს დაარწმუნა იგი, რომ ამჟამად სტუმრობის საშუალება არ

იყო, უკეთესი იქნება თუ სოფლის ცენტრში ავალთ, ჯუმა დღეა (პარასკევი), ერთად ვნახავთ აქაურებსო.

მე არ მიკითხავს, რას ეძახიან იმ შენობას, სოფლელები რომ იკრიბებიან საღამოობით უქმე დღეებში. დაახლოებით ჩვენებური კლუბივითაა, ტელევიზორს უყურებენ, ნარდს თამაშობენ. პატარა კაფეცაა აქ, სადაც ყოველთვისაა ჩაი, ყავა, ხილეულის წყლები.

იქითკენ გავემართეთ.

ჩვენმა გამოჩენამ აქ კიდევ უფრო ცხოველი ინტერესი გამოიწვია, ვიდრე გოლჯუკის კაფეში. ზოგიერთი მათგანი ისე გაოცებით შემომყურებდა, თითქოს მთვარიდან ვიყავი ჩამოფრენილი. ხელითაც კი მეხებოდნენ, თითქოს მამოწმებდნენ, მართლა მათებური ვიყავი თუ არა.

ნუ გაგიკვირდებათ, ამიხსნა ზეკერიამ, ზოგიერთ მათგანს მის ცხოვრებაში არ უნახავს საქართველოდან ჩამოსული ადამიანიო.

— წელს დიდი სიხარული გვაქვს, — მითხრა ერთმა, შედარებით ახალგაზრდა მასპინძელთაგანმა, — დიდი ხანი არაა, სიმღერის და ცეკვის ანსამბლი გვესტუმრა ბათუმიდან. მინისტრი ახლდათ. პირდაპირ აქ გამართეს კონცერტი. მერე ერთად ვიცეკვეთ და ვიმღერეთ. ზოგიერთი ერთმანეთის ნათესავიც გამოდგა. გავიგეთ, საზღვარი გახსნილა სარფთან. მისვლა-მოსვლა, ერთმანეთის მიგნება გაგვიადვილდება.

რა თქმა უნდა, ქართულად ვსაუბრობდით. თავდაპირველად გაუძნელდათ, მაგრამ მალე გამოერკვნენ, მეხსიერებიდან ამოტივტივდა მივიწყებული სიტყვები. უმეტესობას ახსოვს თავისი ქართული გვარი, წინაპართა ნაამბობი, თუ როგორ დასახლდნენ ამ კუთხეში.

ერთი, ყველაზე ღრმა მოხუცი, მთელი ორი საათი ჩემს წინ იჯდა, თვალგაშტერებით შემომცქეროდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, ხარბად ისმენდა ჩემს ყოველ სიტყვას. მხოლოდ შემდეგ, გარეთ რომ გამოვედით, ფოტოსურათები გადავიღეთ და გამომშვიდობება დავიწყეთ, მოვიდა ჩემთან, ხელი მკლავზე მომიჭირა და მკითხა:

— ჰაიდან იცი შენ ჩვენებური?!...

უცებ ვერ მივუხვდი ბერიკაცს, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში, საიდან იცი ჩვენებურიო?!... ასე რატომ გაუკვირდა ჩემი ქართული?! ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაოცებული სახე, სიბერის ცრემლი რომ ჩადგომოდა თვალის უპეებში. რაღაცას კი უხსნიდნენ მეზობლები, მაგრამ მე მათი აღარ მესმოდა, მანქანა უკვე ქვემოთ დაეშვა.

ჩემი გამოჩენა შემდეგაც ხშირად იწვევდა გაკვირვებას შორეულ სოფლებში, განსაკუთრებით, ქართულად ნათქვამი სიტყვა. ბოლოს მივხვდი, რა იყო ამის მიზეზი. გასული საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომების დროს საქართველოდან გახიზნულები შორეულ ადგილებში სახლდებოდნენ, ცივილიზაციას, დიდი ქალაქების ცხოვრებას მოწყვეტილნი. ზოგიერთი მათგანი არასოდეს გასცილებია თავის კუთხე-კარს. მათ სიცოცხლის ბოლომდე ისეთი წარმოდგენა დარჩათ მიტოვებულ სამშობლოზე, რომ საქართველოში ყველაფერი გარუსდა, რჯულიც შეიცვალა და ენაც. ხოლო შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, მათთვის რუსობა და კომუნისტობა გაიგივდა. ამას ხელს უწყობდა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ათეული წლობით აღმართული „რკინის კედელი“, თურქეთის რეაქციული წრეების პროპაგანდა. დღემდე მახსოვს ის ნუსეთიელი ბერიკაცი და სულ იმას ვფიქრობ, გააგებინეს თუ არა მეზობლებმა, ვინ ვიყავი და საიდან ვიყავი, რომ ჩვენ ერთი ჯილაგისანი ვართ, ოდესღაც სამშობლოც ერთი გვქონდა და ენაც, რომ საქართველო არის და კვლავაც იქნება.,

* * *

1978 წლის ზაფხულის იმ შაბათ დილით ერთად გავიდნენ სახლიდან ახმედ მელაშვილი და მისი ვაჟი იბერი. სოფელში აპირებდნენ ასვლას, ჰაირიეში, სადაც ახმედის თაოსნობით მთელს იმ კუთხეში პირველი კულტურის სახლი შენდებოდა. ბურსიდან ჰაირიემდე ერთი საათის სავალია, მელაშვილების სახლიდან ავტოსადგურამდე კი ხუთი წუთის. სიცოცხლის უკანასკნელი ხუთი წუთი...

ახმედის მეუღლე ქალბატონი იუჭსელი იგონებს:

— ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ გავიდნენ სახლიდან ახმედი და იბერი. ავტოსადგურის მოსახვევთან თვალს რომ მოეფარნენ, ორ თუ სამ წუთში გაისმა სროლა, რამდენჯერმე... მე ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ გულმა მიგრძნო, რომ თავს დაგვატყდა უბედურება...

თუ რა მოხდა ავტობუსების გასაჩერებელ მოედანზე, ახმედ მელაშვილი უკვე ველარ იტყვის. იგი იქვე გარდაიცვალა.

ვერ იტყვის ამას ვერც მისი ვაჟიშვილი იბერი. სხვადასხვა მიზეზით. მხოლოდ შემდეგ, კარგა ხნის შემდეგ, გაიხსენებს ზოგიერთ რამეს, რისი თქმაც შეიძლებოდა.

— მოედანზე რომ გავედით და ავტობუსისაკენ გავემართეთ, უკნიდან სროლა გაისმა. ვიგრძენი, რომ მამა დაეცა. როგორც კი მოვტრიალდი და მისაშველებლად დავიხარე, კიდევ მომესმა ორი თუ სამი გასროლა. მეც დავეცი. მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი. იმის გაფიქრების გონებაც შემრჩა, რომ თუ თავს ვამოვწევდი, კიდევ მესროდნენ. შემდეგ უკვე აღარაფერი მახსოვს.

იბერი საავადმყოფოში მოვიდა გონს მძიმე ოპერაციის შემდეგ. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მამა ადგილზე გათავდა და უკვე დაასაფლავეს. მძიმედაა დაჭრილიო, ეუბნებოდნენ. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შემთხვევით საავადმყოფოში ახალი გაზეთი გადაფურცლა და მამის სურათი დაინახა. იბერი მიხვდა, რომ ოჯახში მამაკაცი მხოლოდ თვითონ დარჩა. იმ ტკივილის სიმძიმეც იგრძნო, მამის მაგივრად რომ უნდა ეტარებინა.

ბუნებრივია, მე ვკითხე მელაშვილებს, რატომ და ვინ მოჰკლა ახმედი.

იმიტომ, რომ ხალხი გამოაღვიძაო, მითხრა ქალბატონმა იუჭსელმა.

უკეთეს სიტყვას, ალბათ, ვერავინ გამოვნახავდით ახმედ მელაშვილის დასახასიათებლად, ვინ იყო იგი და რას აკეთებდა.

თუ ვინ მოჰკლა იგი, ამაზე პასუხს მელაშვილებმა თავი აარიდეს. შეხედვაც ვერ მოვასწარიო, მითხრა იბერმა.

ყველაფერი ეს კი მოხდა დღისით, მზისით, უამრავი ხალხის წინ.

მას შემდეგ თერთმეტი წელი გავიდა.

ვინ იყო ახმედ მელაშვილი?

ერთი იმათგანი, რომელიც ყოველთვის გამოუჩნდება ხალხს წინამძღოლად, დამრიგებლად, ნუგეშად, რა თქმა უნდა, ახმედ მელაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობდა თანამოძმეებზე, რომელთა წინაპრებიც სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ. მან ახალგაზრდობიდანვე ფეხით მოიარა ყველა ქალაქი და სოფელი, სადაც კი ქართველთა მოდგმა ეგულებოდა. იგი შთააგონებდა თანამემამულეებს, რომ ცხოვრების გახანგრძლივებისათვის აუცილებელია სწავლა-განათლება. მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ ყოველმა ადამიანმა, უპირველესად, უნდა იცოდეს თავისი ძირი, ვისგან მოდის, ვინ არიან მისი წინაპრები, წინაპართა ენა, ქართული ანბანი, რაზეც აკვნიდანვე უნდა იზრუნონ დედებმა. ახმედ მელაშვილის უპირველესი ოცნება იყო, შეექმნა ბეჭდვითი ორგანო, რომელიც დაინტერესებულ მოსახლეობას გააცნობდა საქართ-

ველოს ისტორიას, კულტურას, დღევანდელ ცხოვრებას. მაგრამ ამისათვის თვითონ მას მტკიცედ უნდა სცოდნოდა ქართული ენა. და ახმედ მელაშვილმა შეისწავლა იგი, თანაც ისე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანსაც კი მოჰკიდა ხელი. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს, ჯერჯერობით, მის ძალას აღემატებოდა და მთელი ნამუშევარი გადასცა ანკარელ მწერალს თახსინ სარაჩს, რომელიც უკვე ამთავრებს შოთა რუსთაველის პოემის თაგმანს ქართული ენის შესანიშნავი მცოდნის ხასან ჩელიქის ბწკარედით. (სულ ახლახან მოვიდა სამწუხარო ცნობა, თახსინ სარაჩი გარდაიცვალა. იმედია, თურქ პოეტთა შორის გამოიძებნება ვინმე, რომელიც განაგრძობს მის დაწყებულ საქმეს).

1968 წელს ახმედ მელაშვილმა საკუთარი სახსრებით და შემოწირულობით სტამბოლში გამოსცა პირველი წიგნი საქართველოზე. იმ დროისათვის საკმაოდ რთული და საშიში იყო ეს. ახმედმა იცოდა, რომ მას უკვე უთვალთვალებდნენ, როგოც არასაიმედოს. მაგრამ იგი ფიზიკურად და სულიერად ძლიერი კაცი იყო. დღიან-ღამიან დადიოდა სოფელ-სოფელ და ავრცელებდა წიგნს საქართველოზე.

შემდეგ ახმედი შეუდგა კავკასიოლოგიური კრებულის გამოშვებას. მე მხოლოდ ერთადერთი ნომერი მაქვს ამ ჟურნალისა, რომლის ყდაზეც ქართული და ლათინური ასოებით აღბეჭდილია — „ჩვენებური“ № 6-7, 1979 წელი. ჟურნალის ეს ნომერი ახმედ მელაშვილს გამოცემული არ უნახავს. რამდენიმე დღით ადრე იგი მოჰკლეს. ახმედის მეუღლემ, ქალბატონმა იუქსელმა მისახსოვრა ეს წიგნი. თქვენთან ერთად ვფურცლავ მას, მკითხველო.

პირველივე გვერდზე დაბეჭდილი მოკლე შესავალი წერილი მკითხველს მოაგონებს რომ ადამიანს აქვს უფლება ყოველთვის თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, რომ ამისთვის მას ვერავინ დასჯის, რომ სწორედ ეს არის დემოკრატია.

კრებული იხსნება გივი თევზაძის ვრცელი წერილით საქართველოზე, თბილისზე, რომელიც ჰაირი ხინკილაძეს უთარგმნია. აქვეა შაჰინ შარაშიძის მიერ თარგმნილი ერთი ამერიკელი ჟურნალისტის შთაბეჭდილებანი თბილისზე.

იმერხეველი ისმაილ ყარა (შავიშვილი) მკითხველებს მოუთხრობს თავის მშობლიურ კუთხეზე, სადაც ისტორიულად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.

რიზა აბაშიძე წერილში „გურჯისტანი“ მიმოიხილავს საქართველოში შემავალ ადმინისტრაციულ, ისტორიულ და ეთნოგრაფულ კუთხეებს — აფხაზეთს, აჭარას, სამხრეთ ოსეთს, ქუთაისს, ზღვისპირეთს, მთიულეთს, ლაზისტანს.

ერთ-ერთ წერილში, სათაურით — „რამარი“, ნათქვამია, რომ საქართველო განთქმულია ბევრი სახელოვანი ქალით, მათი სილამაზით და სიბრძნით, მაგრამ მათ შორის მაინც უპირველესია თამარ მეფე. აქ დაწვრილებითაა მოთხრობილი თამარის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქართველოს იმდროინდელი ვითარება, აგრეთვე მოხსენებულია თამარ მეფისადმი მიძღვნილი წიგნები — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, გრიგოლ რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“, რაფიელ ერისთავის ლექსი, სიმონ ჯუგუნავას „თამარიანი“.

ეთნოგრაფიული ცნობები ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, კლიმატურ თავისებურებაზე, არქეოლოგიურ ძეგლებზე, აგრეთვე მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებიც განვითარებულია საქართველოში.

„ჩვენებურის“ ,სწორედ ამ ნომრისათვის შეურჩევია ახმედ მელაშვილს მის მიერ თარგმნილი ერთი თავი „ვეფხისტყაოსნიდან“, სახელდობრ, „თინათინის წერილი ავთანდილისადმი“. (იმ ღამით, მელაშვილების ოჯახში, მე ვთხოვე ახმედის ქალიშვილს — თამარს, წაეკითხა ჩემთვის რამდენიმე სტროფი მამის თარგმნილი პოემიდან. ცოტა ვლელავდი კიდეც, ალბათ, ვინაიდან, შეიძლება, მე ვიყავი, ერთ-ერთი ის პირველი ქართველთაგანი, რომელიც თურქულ ენაზე ისმენდა „ვეფხისტყაოსანს“).

კრებულში თურქი მწერლებისა და პოეტების პატარა-პატარა ლექსები და მოთხრობებია საქართველოზე, აგრეთვე ლაზური ზღაპრები.

ჩვენს ბათუმელ კოლეგას იბრაიმ გორაძეს რამდენიმე შვილი ჰყავს. ისინი თურქეთშიც ცხოვრობენ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. თითქმის ყველა მათგანი ნამყოფია საქართველოში, თბილისში, ბათუმში. ერთ-ერთს — შუკრის ქართულად დაუწერია ლექსი — „ნატრული სამშობლო“, რომელიც ახმედ მელაშვილს პირდაპირ ავტორის კალიგრაფიით ჩაუბეჭდავს კრებულში საქართველოს რუკის ფონზე.

ქართული შრიფტითაა დაბეჭდილი აგრეთვე რამდენიმე ჩვენებური ლექსი და მოთხრობა, ქართველი ბავშვების ფოტოები, მათი ცხოვრების ამსახველი სურათები.

„ჩვენებურის“ ამ ნომრით ახმედ მელაშვილი, ალბათ, გულით გაახარებდა, სიამაყესაც მოჰგვრიდა ბევრ თანამემამულეს, როცა წაიკითხავდნენ, როგორ მოიპოვა ევროპის საფეხბურთო თასი თბილისის „დინამომ“, რა წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო სარბიელზე ქართველმა მოჭიდავე ქალებმა, რა ჯილდოები მოიპოვეს ბოლო ფესტივალზე ქართულმა ფილმებმა, როგორ ანცვიფრებს მთელ ქვეყანას თავისი ხელოვნებით ქართული ცეკვის ანსამბლი.

ახმედ მელაშვილის ოჯახმა ჩასვლისთანავე პირობა ჩამომართვა, რომ ორი დღე მაინც დავრჩებოდი ბურსაში, უფრო სწორად — ორ ღამეს. ეს ხაზგასმით აღნიშნეს, ვინაიდან ოჯახში ღამის გათევა ჩვენებურებში დიდ პატივისცემად ითვლება.

ასეთი პროგრამა შემიდგინეს: ჯერ ქალაქს დავათვალიერებთ. ბურსა მილიონიანი ქალაქია, ტერიტორიით და მოსახლეობით მეხუთე თუ მეექვსე თურქეთში. გზადაგზა ჩვენებურებს მოვინახულებთ; საღამოს შეხვედრაა თანამემამულეებთან მეგობრობის საზოგადოებაში; ბურსის გარშემო ოცამდე ქართული სოფელია. მართალია, გათოვდა, მაგრამ ერთ სოფელში აუცილებლად უნდა ავიდეთ. ეს ჰაირიეა, ახმედ მელაშვილის სამშობლო, სადაც იგი განისვენებს.

იბერი არქიტექტორია. მის ბიუროში სულ ორი პატარა ოთახი და ერთი თანაშემწეა. კედლებზე გამოფენილია უკვე აგებული, თუ მომავალი შენობის პროექტები. ქალაქში სახლები დამანახა, ჩემი ხელიც ურევია მათ აგებაშიო. მაგრამ, ვგრძნობ, მთელი მისი აზრი და მიზანი იმ საქმეში დევს, მამამ რომ უანდერძა, საზოგადოებაში, თანამემამულეებთან სამეგობროდ რომ შეიქმნა. გულით ხარობს, საქმე წინ რომ მიდის, მაგრამ სწუხს, რომ მამა ვერ მოესწრო ამას.

ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთი მაღლივი შენობის ზემო სართულზე აბრაა წარწერით — „ბათუმი. თანამემამულეებთან მეგობრობისა და დახმარების საზოგადოება“. ჯერ კიდევ ბათუმში მივიღე ამ საზოგადოების სავიზიტო ბარათი და სამკერდე ნიშანი. ამიტომ ჩავთვალე აუცილებლად მივსულიყავი ჩვენდამი ასე მეგობრულად განწყობილ საზოგადოებაში, სადაც, რამდენადაც ვიცი, ბევრი სასიკეთო საქმე კეთდება.

აქ უკვე ელოდნენ საზოგადოების თავჯდომარე, იურისტი ახმედ აიდინი და კიდევ რამდენიმე კაცი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, აქტივისტები. ძალზე მესიამოვნა, რომ მათ შორის იყვნენ ქალებიც. ერთი მათგანი ჩვილი ბავშვით მოვიდა. დედამისმა სიამაყით მითხრა, რომ სულ ახლახან იყო საქართველოში თავის პირმშოსთან ერთად. ყველამ რაღაც კერძი მოიტანა ოჯახიდან, სუფრა გაშალეს, ჩაი და ყავა მოადუღეს, რა თქმა უნდა, ყველანი ქართულად ვსაუბრობდით. ზოგჯერ მავიწყდებოდა კიდეც, სად ვიმყოფებოდი, მეგონა, სადღაც ქობულეთის ან ქედის სოფელში ვიყავი სტუმრად.

სულ ორი ოთახი უკავია საზოგადოებას (ჯერჯერობითო, მეუბნებიან მასპინძლები). ყველაფერი ქართულია გარშემო, — ჩონგური, ფანდური, დოლი, ჭიბონი, ჩოხა, ქუდლაჭა, სურათები, პლაკატები, აფიშები. ერთი აფიშა მეცნაურა. აჭარის სიმღერის და ცეკვის ანსამბლი ყოფილა აქ, ხელმოწერილი დაუტოვებიათ საგასტროლო აფიშა.

ქართული ხალხური სამოსი, საკრავი ინსტრუმენტები უსახსოვრებიათ. ენვერ ხაბაძე, შოთა ბერიძე ადგილობრივი ანსამბლის რეპეტიციას დასწრებიან, რჩევა-დარიგება მიუციათ, სამომავლო გეგმებიც დაუსახავთ.

სხვა სტუმრებიც ყოფილან აქ, მათ შორის, ზურაბ კიკალეიშვილი, ბურსელთა ქართველი ნათესავები. ყველას რაღაც დაუტოვებია სამახსოვროდ. პატარა მუზეუმივითაა აქაურობა. ერთი ფიქრი მიჩვენა იბერმა, განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვისო. ჩართო იგი. ისევ დაილვარა თაფლად ჰამლეტ გონაშვილის ხმა, ერთდროულად გასახარად და გულდასაწყვეტად. თბილისში ჰამლეტის ხსოვნის საღამო ჩაუწერიათ და საჩუქრად გამოუგზავნიათ ბურსის საზოგადოებისათვის. ქართველებით დასახლებულ რაიონებში ჩაწერილი ფოლკლორული მუსიკაც მომასმენინეს. ერთი კასეტა მისახსოვრეს კიდეც, რომელიც შინდაბრუნებულმა ტელერადიოკომიტეტს გადავეცი.

შემდეგ აკორდეონი ახმიანდა, დოლი აბაგუნდა. გაჩაღდა „განდაგანა“. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქალ-ვაჟები. ათასჯერ მოსმენილი ეს ჰანგები სულ სხვანაირად ჟღერდა უცხო მხარეში. იბერი იყო ამ საღამოს სულისჩამდგმელი. იგი უკრავდა ფანდურს, აკორდეონს, მღეროდა კიდეც. იმ კონცერტსაც იგი ამზადებს, რამდენიმე დღის შემდეგ რომ უნდა გაიმართოს ბურსაში და რომელზეც თანამემამულეები მოწვეული არიან მეზობელი სოფლებიდან და ქალაქებიდან.

დამთავრდა კონცერტი და ყველანი ისე მომაჩერდნენ, თითქოს რაღაცას მოელოდნენ ჩემგან. მე, რა თქმა უნდა, გულწრფელად შევაქე ისინი, მაგრამ შევატყვე, რომ ეს არ იყო საკმარისი და მე ვუთხარი მათ (არაფრით არ შემეძლო, არ მეთქვა), რა კარგი იქნებოდა, რომ ჩამოსულიყვნენ საქართველოში, აი, ასეთი საღამოების გასამართავად. მათმა გაბრწყინებულმა სახეებმა დამარწმუნეს, რომ ისინი სწორედ ამ სიტყვებს ელოდნენ ჩემგან. შინდაბრუნებულმა ესეც გადავეცი ამ საქმის მესვეურებს, რუსთაველის საზოგადოებაშიც განვაცხადე.

იმ ღამით ბევრმა მთხოვა, მისი სტუმარი ვყოფილიყავი, მაგრამ მელაშვილებმა არავის დაუთმეს ჩემი თავი. თამარმა და მისმა მეუღლემ — რაგიპ ბასილაძემ მიგვიწვიეს ოჯახში. რაგიპმა სახლის წინ დააყენა მანქანა და ჩამობრძანდითო, მითხრა. მე ჩამოველი და მანქანის უკანა კარს წავეტანე, პლაშჩის გადმოსაღებად. კარი ჩაკეტილი დამხვდა. არაფერია, აქ იყოსო, მითხრა რაგიპმა. შევყოყმანდი, ცოტა არ იყოს, შევშფოთდი კიდეც. როგორ გინდა დატოვო მთელი ღამით ამ შუა ქუჩაში ახალთ-ახალი ფინური პლაშჩი. ნახევარი მსოფლიო მოვიარე, რომ ჩემი ზომის პლაშჩი ალმომეჩინა. „მილიონერი“ რომ გავხდი, გამომგზავრების წინ ყველა მაფრთხილებდა, ისეთ ქვეყანაში მიდიხარ, ბეწვს ამოგაცლიან თვალშიო. არადა, როგორ გინდა ეს უთხრა მასპინძელს. ხასიათწამხდარმა ავუყევი კიბეს. თითქოს შემთხვევით ფანჯარასთან ჩამოვჯექი. ხშირხშირად ვაპარებდი მზერას მანქანისაკენ. კიდევ კარგი, ჩემი ოთახი ქუჩის მხარეს აღმოჩნდა. შფოთიანი ძილი მქონდა იმ ღამეს. სულ მესიზმრებოდა, რომ მანქანის კარს ტეხდნენ და პლაშჩს იპარავდნენ. არ ვიცი, როლის ჩამეძინა. გამაღვიძა პატარა მერიკოს სიმღერამ — „ჭრელო პეპელა...“. მაშინვე ფანჯარას მივვარდი. ჩემი ფინური პლაშჩი ადგილზე იყო. მასპინძლებმა, ალბათ, სახეზე შემატყვეს გატეხილი ღამის ნაკვალევი, მკითხეს, როგორ მოისვენეთო. კარგად-მეთქი, მეტი არაფერი მითქვამს. თუკი ოდესმე ამ სტრიქონებს წაიკითხავენ, გაიგებენ, რატომ გამიტყდა იმ ღამით ძილი ბურსაში.

მეორე დღეს ჰაირიეში ავედით, ასმედ მელაშვილის სოფელში. მანქანამ ძლივს გაიკვლია გზა თოვლში. ისევე როგორც ნოსრეთიეში, სოფლის ცენტრში მოეყარათ თავი აქაურებს, ახმედის აგებულ კულტურის სახლში, ბევრი რამ გვიამბეს მეზობლებმა და

მეგობრებმა ახმედის ცხოვრებაზე, მის კეთილ საქმეებზე. და ისევ გამახსენდა ჭალბატონ იუქსელის ნათქვამი, ახმედმა ხალხი გამოალვიძაო. ნამდვილ მამულიშვილზე იტყვიან ასე.

რა შეიძლება იყოს ფოტოსურათის გადაღებაზე უფრო მარტივი. მაგრამ ეს უბრალო საქმეც ამ კომპანიაში ორგანიზებულია კონვეიერული წესით. საქალაქო პუნქტებში ღებულობენ დაკვეთებს, ფოტოგრაფები იღებენ, სხვები კიდევ ფირს ამუღავნებენ, ბეჭდავენ, კლიენტებს ურიგებენ ფოტოსურათებს. ალი იხსანის ატელიეს ევალება ფირების გამუღავნება. ეს ის ალი იხსანია, ესკიშეჰირიდან რომ დამირეკა და მთხოვა, ერთი დღით მაინც ვსტუმრებოდი. ჩვენი ქალაქი სამი ათასი წლისაა და ბევრ რამეს ნახავთ თქვენთვის საინტერესოსო. ეს არგუმენტიც მოიშველია. მაგრამ მე უფრო იმან გადამაწყვეტინა ესკიშეჰირში გამგზავრება, რომ მენახა კიდევ ერთი ჩვენებური, რომელსაც ძალიან უნდოდა საქართველოდან ჩამოსულ სტუმართან შეხვედრა. სტამბულიდან ესკიშეჰერამდე კი ოთხასი კილომეტრია.

როგორც ჩანს, ჩვენებურებს ყოველდღიური სატელეფონო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ალი იხსანმა უკვე იცოდა, სად ვიმყოფებოდი, ვის შევხვდი, რა ვნახე ამ რამდენიმე დღის განმავლობაში. ჩემი მიღების საერთო პროგრამაში, ეტყობა, ალი იხსანიც მონაწილეობს. ქალაქს დავათვალიერებთ, ისტორიულ ძეგლებს მოვინახულებთ, ადგილობრივ ჩრდილოკავკასიელებს მოუსურვებიათ ჩემთან შეხვედრა. სადილად ალი იხსანის ოჯახში გველიან. ნაშუალამევს მატარებლით გავემგზავრებით სტამბოლში, სადაც მთელი დღის განმავლობაში ალი იხსანი იქნება ჩემი მეგზური.

— ახლა კი ერთ ადგილზე გელოდებიან, იქ ვისაუზმებთ, — მეუბნება იგი.

ჩვენ გავდივართ ქუჩაში და მასპინძელი გზა და გზა მაცნობს ქალაქს, მის სამიათასწლიან ისტორიას.

ერთ პატარა კაფეს მივადექით. როგორც ჩანს, აქ უკვე გველოდნენ. ახალგაზრდა კაცი შემოგვეგება. კაფეს პატრონიაო, გამაცნო ალი იხსანმა, ჩვენებური არაა. მაგრამ კარგი ბიჭია. სუფრას მივუჯექით, პატივისცემის ნიშნად ყედვან ერმასი თვითონ გვემსახურება, შემდეგ ჩვენს მაგიდას მიუჯდა და გაიბა პროფესიული საუბარი. „პროფესიულიო“, იმიტომ ვამბობ, რომ იგი მსახიობი გამოდგა.

— ალბათ, გიკვირთ, რომ ამ საქმეს ვემსახურები დღეს. აქაც სცენის სიყვარულმა მომიყვანა. რამდენიმე წელი ვიმუშავე სტამბოლის ერთ-ერთ თეატრში. თქვენ სხვებზე უფრო გამიგებთ, თუ კი თეატრში მიხვედი, პირველ რიგში უნდა ემსახურო ხალხს, სიმარჯვლეს, ჩვენთან კი მაშინ სცენიდან მართალი სიტყვის წარმოთქმა არ იყო ადვილი საქმე. ბევრი დრამატურგი, ვისი პიესებიც დავდგით, ციხეში ჩასვეს. კლასიკაც კი იკრძალებოდა. სცენიდან ნათქვამი სიტყვის ძალიან ეშინოდა მთავრობას. მე მითამაშია გოგოლი, ჩეხოვი, ბოლოს აქტიორის როლი შევასრულე გორკის პიესაში „ფსკერზე“. რასაც სცენიდან ვლაპარაკობდი, ჩემს ნათქვამად ჩამითვალეს და დირექტორს წინადადება მისცეს, გავეშვი თეატრიდან. ჩემს ქალაქში დავბრუნდი, ცხოვრება საჭირო იყო და ორ ამხანაგთან ერთად ეს საქმე წამოვიწყე.

— ესკიშეჰირში არ არის თეატრი? — შევეკითხე.

— არ არის. არადა მილიონიან ქალაქს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თეატრი. ბარემ ყველაფერს გეტყვით. მინდა ამ კაფეთი ცოტა ფული მოვაგროვო და გავხსნა დრამატული სტუდია. მე უთეატროდ ვერ გავძლებ.

ყედვანი ქართული თეატრით დაინტერესდა. გაზეთებიდან იცის, რომ არსებობს რუსთაველის თეატრი, სხვა თეატრები, მაგრამ, ჯერჯერობით, მათი სპექტაკლები არ უნახავს. მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ აუცილებლად ნახავს, ან ისინი ჩამოვლენ თუ-

რქეთში ან კიდევ თვითონ ჩავა საქართველოში, რომლის შესახებ ბევრი სმენია და ძალიან უნდა საკუთარი თვალით იხილოს.

ბოლოს მისამართები გავცვალეთ და ასე შევთანხმდით, ყედვან ერმასი ფულს რომ შეაგროვებს და საკუთარ თეატრს გახსნის, აუცილებლად დადგამს ჩემს პიესას.

ჩრდილოკავკასიელებს უნივერსიტეტში უნდა შევხვედროდი. რამდენიმე სტუდენტი და მათი ლექტორები ერთ-ერთ აუდიტორიაში გველოდნენ. ყველა კავკასიელს ჩვენს სტუმრად ვთვლითო, ამ სიტყვებით შემოგვეგებენ. მე კიდევ ლეონტი მროველის სიტყვები გავიხსენე, ყველა კავკასიელი ძმები არიანო. ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. აქაურ ჩრდილოკავკასიელთა ცხოვრების გზა ძალიან ჩამოგავს ჩვენებურებისას. სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალური ვითარების გამო დაუტოვებიათ სამშობლო. საკმაოდ ძლიერი სათვისტომო შეუქმნიათ. მტკიცე კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ხშირად მართავენ საქმიან შეხვედრებს, ფოლკლორულ საღამოებს. სწორედ იმ დღეს, ჩვენ რომ შევხვდით, მომავალი კონცერტის რეპეტიცია იყო დანიშნული. საკუთარი გამომცემლობაც ჰქონიათ სტამბულში—„შამილი“. მშვენივრად დასტამბული წიგნი მისახსოვრეს—„კავკასიის ხალხთა ცეკვები“. ქართულ ცეკვებში აჭარული „ხორუმიცაა“ წარმოდგენილი; აქვეა აგრეთვე კოსტუმების მოხატულობა, საცეკვაო მუსიკის ნოტები. წიგნის ბოლოს გამოქვეყნებულია სარეკომენდაციო ლიტერატურის სია; ავტორთა შორის დასახელებულია ახმედ მელაშვილი და ქართული ცეკვის ისეთი შესანიშნავი სპეციალისტი, როგორიც ბატონი დავით ჯავრიშვილი იყო, ერთ დროს ჩემი მასწავლებელი ბათუმში, ხოლო შემდეგ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი ქორეოგრაფი.

მასპინძლებმა თავიანთი ჩანაფიქრი გამანდეს, — შექმნან თურქეთში მცხოვრებ კავკასიის ხალხთა მეგობრობის საზოგადოება. იმედი გვაქვს, საქართველოს მკვიდრნი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ სასიკეთო საქმეშიო.

რეპეტიციის შემდეგ ალი იხსანის ოჯახში განვაგრძეთ საუბარი. ჩემი ყურადღება მიიპყრო, რომ პატარა გულნარა რაღაცას ითვლიდა თითებზე. დედამისმა ამიხსნა, იგი უკვე ნამყოფია საქართველოში, იქ მეგობრები გაიჩინა, მამამისი დაპირდა, წელსაც წაგიყვან თბილისშიო და დარჩენილ დღეებს ითვლის თითებზეო.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო შარაშიძე

ბათუმის საჯარო მოჭალაქე

ქართულ კულტურას ბევრი ნიჭიერი შემოქმედის სახელი ამშვენებს, მათ შორის გამორჩეულია ირაკლი აბაშიძე — სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი, პირველი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი.

ირაკლი აბაშიძეს განუზომლად უყვარს აჭარა და განსაკუთრებით ქალაქი ბათუმი.

მახსოვს 1937 წელი, როდესაც ირაკლი აბაშიძე თავის მეგობარ პოეტებთან ერთად ბათუმს ეწვია, მან ბევრი რამ მოგვითხრო, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი ამბავი დაგვამახსოვრდა, როდესაც 25 წლის პოეტი საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატად აირჩიეს (1934 წ.).

როგორც ცნობილია, ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მალაქია ტოროშელიძე.

ქართველ მწერალთა დელეგაციის მეთაურის მოხსენება ყრილობის მთავარ მოხსენებათა და თანამოხსენებათა შორის ყველაზე დიდი იყო. მან 20 აგვისტოს თითქმის მთელი დილის სხდომა დაიკავა და დარბაზში ნამდვილი სენსაცია გამოიწვია.

თავის მოხსენებაში მ. ტოროშელიძემ დელეგატების თვალწინ გადაშალა ქართული მრავალსაუკუნოვანი კლასიკური და თანამედროვე მწერლობის უსაზღვროდ შთამბეჭდავი სურათი. ბევრმა ორატორმა გამოთქვა ამ მოხსენების გამო თავისი აღფრთოვანება.

კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში წარმოდგენილი იყო ეროვნული მწერლობის წარმომადგენელთა პორტრეტები, საქართველოდან კი არავინ იყო. ქართველ მწერლობაზე მოხსენების მეორე დღეს სვეტებიანი დარბაზის პირველსავე სვეტზე ჩამოკიდეს გენიალური ქართველი პოეტის პორტრეტი. ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა ირაკლი აბაშიძემ შეთხზა ლექსი, რომელიც იწყებოდა ასეთი სტრიქონებით:

ეს იყო შოთა...
უცებ ღელვა და ჟრუანტელი
უცებ თვალებში ბედნიერი ალმასის წვეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი...
როგორც ოდესღაც თავის მამულს უცხო ყარიბი,
ახლა რუსეთის კარს მოადგა მისი სახება
და კვლავ ის წიგნი მოიტანა ვით მდუღარების
რვაასწლის შემდეგ ხელახალი ამოძახება.

ი. აბაშიძის დაბადების 70 წლისთავი ფართოდ აღინიშნა ბ თუმში. საზეიმო შეკრება გაიმართა ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში, მე პატივი დამდეს, რომ იუბილარს მივსალმებოდი ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის სახელით.

1980 წელს ირაკლი აბაშიძე არჩეულ იქნა ბათუმის საპატიო მოქალაქედ.

ამ სტრიქონების ავტორს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ი. აბაშიძესთან. 1937 წელს, როდესაც იგი ბათუმში ჩამოვიდა, სხვა მწერლებთან ერთად ჩემს ოჯახსაც ეწვია. იმ ხანებში დაიბეჭდა ლექსების კრებული „ახალი კოლხიდა“, რომელიც ჯერ კიდევ არ იყიდებოდა. ერთი ცალი ირაკლის თან ჰქონდა, მან გვისახსოვრა წარწერით: „ლადო! შენდამი მეგობრული სიყვარულით შემატებული ვბრუნდები ბათუმიდან უკან. ამ წიგნში ჩემი ლექსებიც არის დაბეჭდილი, ამიტომ მაქვს უფლება მწერლებისაგან (ამ წიგნის თანამშრომელთაგან) მიძღვნილ წიგნზე წაგიწერო ჩემი სახელიც, სიყვარულითა და მეგობრობით“. წიგნს ამშვენებს აგრეთვე ვიქტორ გაბესკირიასა და ალიო ადამიას გულთბილი წარწერები.

1981 წელს დაიბეჭდა ი. აბაშიძის ერთტომეული, რომელშიაც თავმოყრილია ავტორის საუკეთესო ლექსები. ეს წიგნიც მომიძღვნა ავტორმა.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს ი. აბაშიძის დამსახურება ბათუმის უნიკალური კულტურის ძეგლის — კათოლიკური ტაძრის შენარჩუნების საქმეში.

1972 წლის 3 ნოემბერს შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს სხდომა, რომელმაც დაადგინა ბათუმის კათოლიკური ეკლესია ჩათვლილიყო კულტურის ძეგლად და ეთხოვა კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველოს აეყვანა იგი სახელმწიფო აღრიცხვაზე და გაეწია მოვლა-პატრონობა.

ამ დადგენილებას ხელს აწერდა სხდომის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

ირაკლი აბაშიძეს ქართველი ხალხის ყველა გამოჩენილ მოღვაწეთან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, მაგრამ ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მისი ძმობა ჩვენი ერის კულტურის ისეთ მშვენებასთან, როგორიც ლადო გუდიაშვილი იყო. ლადოსთან ჩემი შეხვედრების დროს, იგი ყოველთვის დიდი სიყვარულით ახსენებდა ირაკლის, რომელსაც გაუგზავნა ასეთი წერილი:

„ჩემო ირაკლი!

70 წელი შეგისრულდა! როგორ გარბიან წლები, აკი ვითქოს გუშინ ვიზეიმეთ შენი ორმოცდაათი... გილოცავ! ვაი იმას, ვისაც დღეგრძელობა არ უწერია, ვაი იმას, ვინც უკვალოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩემო ირაკლი! შენ შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის მანძილზე ბევრი რამ გააკეთე მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის. დიდია შენი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე, შენი ერის წინაშე. სიამოვნებით ვიგონებ ჩვენს ყოველ შეხვედრას. მუდამ გულით ვატარებ შენს სიყვარულს. იყავი ჯანმრთელი, გისურვებ ჭაბუკურ სიმხნევეს, ახალ წარმატებებს და შემოქმედებითი ცხოვრების მრავალ წელს, ჩვენი ხალხის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ლადო გულიაშვილი“.

ჩვენი ერის სანუკვარი და საშვილიშვილო განძია ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, რომლის პირველი მთავარი რედაქტორია ირაკლი აბაშიძე. ქართული ენციკლოპედია მთელს ჩვენს ქვეყანაში დიდი მოწონებით სარგებლობს, როგორც სამეცნიერო ღირსებით, ისე გამოცემის მაღალი კულტურით.

ირაკლი აბაშიძეს მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველისა და ჯავახარლალ ნერუს სახელობის პრემიები. იგი არის საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი, თბილისის, ბათუმის, იყალთოს საპატიო მოქალაქე. ასეთი მაღალი შეფასება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ნუგზარ მგელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ გვარეულობათა კვალდაკვალ

ქართულ გვარეულობათა წარმომავლობის, მათი სტრუქტურის, ადგილმონაცვლეობისა და განახლების თავისებურებათა დადგენა ეთნიკური ისტორიის გაშუქებისათვის მნიშვნელოვან ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წყაროს წარმოადგენს. გვარსახელთა შესწავლა ცხოველ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ამ საკითხებით დაინტერესებულ მკლევართა, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებს შორისაც. ამ ინტერესს კიდევ უფრო აღრმავებს ზოგიერთ გვარეულობათა წარმავლობისა და სადაურობის დღემდე აუხსნელი, ბურუსით მოცული ისტორია. ასევე, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში (ქართლ-კახეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავ-ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია-იმერეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი და სხვ). ეთმანეთისაგან დამოუკიდებლად მსგავსი გვარსახელის მატარებელ ნათესაურ გაერთიანებათა მოსახლეობა. ამ ფაქტის ახსნისათვის უდავოდ გასათვალისწინებელია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, თუმცა ხშირ შემთხვევაში გვარეულობათა სახელწოდებების მსგავსებას შემთხვევითი ფაქტორი ანპირობებდა. ქართულ გვართა წარმოება ტრადიციულად წინაპრის საკუთარი ან ზედმეტი სახელის თაობებში გადასვლით ხდებოდა უმეტესად-ძე და-შვილი სუფიქსების დართვით, რის გამოც ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაცილებულ კუთხეებში მოსახლე სხვადასხვა წარმოშობის ჩამომავალთა წევრები იდენტური გვარსახელის მატარებელნი ხდებოდნენ. ამდენად, საგვარეულო სახელწოდებათა თანხვედრილობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ საერთო წარმოშობას. ასეთი დასკვნის გამოტანა ყველა შემთხვევაში ობიექტურ არგუმენტაციას საჭიროებს.

გვარსახელთა კვლევაში წერილობით წყაროებთან ერთად, განსაკუთრებით საყურადღებო წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებს ენიჭება. უშუალოდ შესასწავლი გვარეულობების წევრთა ოჯახებში ტრადიციულად გადმოცემების ფიქსაცია ცხადყოფს ფეოდალურ საქართველოში მიგრაციის სიხშირის ფაქტებს, რასაც ხშირად თან სდევდა ახალ გარემოში დამკვიდრებულ მიგრანტთა მხრივ გვარეულობის შეცვლა და დამხვდურის საგვარეულოს მფარველობაში შესვლა. აღნიშნული ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი ფორმა. ამ რიგის გვარეულობათა ფიქტიური მონოგენურობა განსაკუთრებით ართულებს ცალკეულ ნათესაურ შტოთა ძველი გვარსახელების დადგენას, გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში მიგრაციები სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესებითა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით (მცირემიწიანობა, რთული საშეურნეო პირობები, ეპიდემიები, კლასობრივი ბრძოლა, რელიგიური განსხვავებულობა, ომები, მეზობელი თემების ეპიზოდური თავდასხმები, სისხლ-მესისხლეობა) იყო განპირობებული.

მიგრაციასთან ჩანს დაკავშირებული თავდგირიძეთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს დასახლების ისტორია დასავლეთ საქართველოში. ქართულ გვარეულობათა შორის თავდგირიძეთა გვარი ერთ-ერთი ძველია. XVIII საუკუნის სახელოვანი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავდგირიძეებს სამცხეს მკვიდრად მიიჩნევდა. მისი

თქმით, „სამცხეს ჯაყელი, ეს არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა: შალიკაშვილი, თა-
დგირიძე, დიასამიძე, ქობულიასძე, გოგიბაშვილი, ამილახორი, ავალიშვილი, სუმბათაშ-
შვილი, გოგორიშვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხვანი, არღარა იწოდებიან გვარითა,
არამედ ფაშად, ბეგად და სანჯაბად, და აზნაურნიცა აგრეთვე მრავალი. განა დავიდუ-
მეთ“.[1] ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მესხეთის ფეოდალები თამარის ეპოქაში
დაწინაურდნენ. ისინი დიდებულები შეიქნენ და ამირსპასალარობაც მოიპოვეს. მათ შო-
რის იყო თორელთა და მხარგრძელთა წარმომადგენლები. მხარგრძელები თორელთა
საგვარეულოდან იყვნენ გამოსული. ეს გვარი თორელთა საგვარეულოს ნათესაურ გა-
ნშტოებად მიიჩნევა. აღნიშნულ ფეოდალურ-არისტოკრატიული წრის გარდა, მოცემულ
რეგიონში მკვიდრობდნენ დაწინაურებული წოდების გვარეულობები: ფანასკერტელი,
კალმახელი, თმოგველი, თუხარელი, გაგელი, ახალციხელი, ჯაყელი და სხვ. სპეციალუ-
რი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ეს უკანასკნელი გვარები ჯაყელებმა მიიღეს
ციხე-სიმაგრე ჯაყიდან. იგი მდებარეობდა სამცხეში ჯაყის წყლის პირას. ამ მოსაზრე-
ბის თანახმად, სწორედ ჯაყის ციხის მფლობელები იწოდებოდნენ ჯაყელებად და ციხის
ჯვარელებად. ციხე ციხისჯვარიც ჯაყელების მფლობელობას ექვემდებარებოდა.[2] რო-
გორც წერილობითი წყაროებით ირკვევა, ჯაყელთა და სხვა დაწინაურებულ წოდებათა
ფეოდალური საგვარეულობის გვერდით ერთ-ერთი საპატიო ადგილი თავდგირიძეთა
გვარეულობას ეკუთვნოდა.

კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს წყაროში მოხსენებულია გვარი თაქთი-
რიძე, რომელთაც „აქუს ჩორჩანელი სასაფლაოჲთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“.[3]
სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ამ ძეგლის ბაქრაძისეულ გამოცემაში
გარკვეული შეუსაბამობაა და ამ შეუსაბამობის დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს
თავდგირიძეთა საგვარეულოს პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციისათვის. დედანში მო-
ცემული ტექსტი შემდეგი სახით იკითხება: „ხერხემლისძე სასაფლაოჲთა, მონასტრი-
თა და კარის ეკლესიითა თაქთირიძესა აქუს“. ტექსტში ამ რიგის ცვლილებათა დაზუ-
სტების საფუძველზე ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდგირიძენი ყო-
ფილან არა ჩორჩანელთა მეზობლები და მათი პატრონები, არამედ ტერიტორიულად
ისინი ხერხემლისძესთან გვერდით მოსახლეობდნენ, გაბატონებულ წოდებრიობათა სო-
ციალურ გაერთიანებას ეკუთვნოდნენ და ხერხემლისძეთა სიუზერენებად ითვლებო-
დნენ.[4]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დ. ბაქრაძე შენიშნავდა, რომ გურიის საგვარე-
ულო დოკუმენტებში მან ვერ დაადასტურა ამ რეგიონის ორი ცნობილი გვარეულობა —
თავდგირიძე და შერვაშიძე,[5] თუმცა უკვე XVIII საუკუნისათვის, როგორც ვახუშტისე-
ული აღწერილობიდან ჩანს, თავდგირიძეები გურიაშიც მოსახლეობდნენ. გურიაში გა-
ბატონებული წოდებრიობის გვარეულობათა დახასიათებისას ვახუშტი შენიშნავდა, რომ
გურიას ფლობს გურიელი, „იგიცა თჳთ ჰფლობს და იტყვის ვარდანის ძეობასა, და სხვა-
ნი მის ქვეშენი არიან ესენი: თადგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშ-
სიძე მოვიდა აფხაზეთიდან, ბერიძე, კვერღელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხვანი, აგ-
რეთვე აზნაურნიცა“.[6] XVIII საუკუნის გეოგრაფი აჭარის აღწერილობისას ამ რეგიონში
თავდგირიძეებს არ მოიხსენიებს. ამიტომ, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ გურიის მო-
მიჯნავე აჭარის ტერიტორიაზე ეს საგვარეულო XVIII საუკუნისათვის ჯერ კიდევ არ
იყო განსახლებული. ასეთ თვალსაზრისამდე შესაძლოა იმ გარემოებასაც მივეყვანეთ,
რომ თავდგირიძეთა საგვარეულოს განსახლების დახასიათება ვახუშტი ბატონიშვილის
კვლევის სფეროში შემოდიოდა და ამდენად, ისეთ დაკვირვებულ, სანდო და კომპეტენ-
ტურ მკვლევარს, როგორიც ვახუშტი იყო, ცხადია, სამცხესა და გურიაში მათი მოსა-
ხლეობის აღნიშვნის შემდეგ არც აჭარაში გამორჩებოდა თავდგირიძეთა არსებობა. გვი-
ანფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი თავისებურება

სრულიად სხვა კუთხით წარმოაჩენს მოცემულ საკითხს. დიდი იყო გურიელის პოლიტიკური ზეგავლენა ქვემო აჭარაზე, განსაკუთრებით ქობულეთის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, ვახუშტის მოღვაწეობის პერიოდში ამ მიწების ნაწილი გურიელის სარგებლობას ექვემდებარებოდა. სწორედ აქ იყო განსახლებული თავდგირიძეთა გვარეულობაც და ბუნებრივია ვახუშტიც ამ გარემოების გამო აჭარის მოცემულ ტერიტორიას გურიის საზღვრებში განიხილავდა და თავდგირიძეებსაც გურიის მკვიდრად მიიჩნევდა.

აჭარაში ქართველი ფეოდალებიდან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ცნობილი იყო აბუსერისძეთა საგვარეულო, ხოლო XIX საუკუნისათვის აქ მკვიდრად სახლობს ფეოდალური არისტოკრატია: ქობულეთელი თავდგირიძეები, ჩაქვის ხეობის მფლობელები — ბეჟანიძეები, ბათუმის მიდამოების გაბატონებული წრის ფენა — აბაშიძეები. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აჭარაში დამკვიდრებულ აბაშიძეებზე შემდეგია მითითებული: „აბაშიძეები, ფეოდალური საგვარეულო იმერეთში, ქართლსა და კახეთში. XIII-ს I ნახევარში იმერელი აზნაურები ბათუმის მხარეში ჩასახლდნენ“, შემდეგში გამაჰმადიანდნენ და ოსმალეთის მთავრობისაგან სანჯაყ-ბეგობა მიიღეს. აბაშიძეების, თავდგირიძეების, ბეჟანიძეების გვერდით აჭარაში მოსახლეობდნენ ჯაყელთა შთამომავალნიც. გვიანფეოდალურ ხანაში მათ ლივანის ხეობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. მესხეთის ათაბაგთა ეს ჩამომავლები განსახლებული იყვნენ ართვინშიც. დაახლოებით ამ ხანებში აჭარაში ქედის მიმდებარე ხეობის დასახლებულ პუნქტებში წინაურდებიან შერვაშიძეთა საგვარეულოს ოჯახები, ხოლო დაქვეითებას განიცდიან ძველ თავადაზნაურთა შთამომავლები — პირმსახურიშვილები, რომელთა ნამდვილი გვარი ყოფილა დიასამიძე. ზემო აჭარაში ფეოდალურ გვარეულობად ხიმშიაშვილთა საგვარეულოა მიჩნეული. გვიანფეოდალურ აჭარაში ქართველ ფეოდალთა შორის დაბალი ფენიდან ხიმშიაშვილთა წინაპრები წინაურდებიან და აღწევენ იმას, რომ პირველობა დაიჩემონ. ხიმშიაშვილთა თავდაპირველ სამოსახლოდ ზემო აჭარის სოფ. ნიგაზეული მიიჩნევა. გადმოცემით, მათი წინაპარი მწყემსი ყოფილა. იგი ოსმალთა მმართველობის პერიოდში თანდათანობით დაწინაურებულა და ბეგობაც მიუღია. არსებობს ხიმშიაშვილთა წარმომავლობის სხვა ვერსიებიც.

როგორც აღინიშნა, თავდგირიძეები ქობულეთის, კერძოდ კინტრიშის ხეობის სანაპიროს ფლობდნენ. ისინი მჭიდრო კავშირურთიერთობაში იმყოფებოდნენ აჭარის სხვა რეგიონის ფეოდალურ საგვარეულოებთან. პ. უმიკაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ჟრაერთხელ ეხება ქობულეთში დამკვიდრებულ თავდგირიძეთა გვარეულობას. აჭარაში თავდგირიძეთა დასახლების ისტორიაზე ძვირფასი ცნობები მოეპოვებათ XIX საუკუნის მეორე ნახევრის მკვლევარებს — დ. ბაქრაძეს, თ. სახოკიას, გ. ყაზბეგს და სხვ. თავდგირიძეთა საგვარეულოს ისტორიის საკითხებს სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა საბჭოთა პერიოდშიც (ფრ. სიხარულიძე). თ. სახოკიას შენიშვნით, „აწინდელი თავდგირიძენი წინათ თაჭთირიძეებად იწოდებოდნენ და მოხსენებული არიან როგორც სახელოვანი თავადნი სამცხე-საათაბაგოსა“. მოგზაურობის ჩანაწერები მიუთითებს, რომ სამცხე-საათაბაგოს თავდგირიძეების შთამომავალთა გვარეულობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტერიტორიულად სამ რაიონში მკვიდრობს: აჭარაში, ქობულეთსა და გურიაში (სოფ. აკეთში). ავტორის თანახმად, სოფ. აკეთში თავდგირიძენი დასახლებულნი ჩანან XVII საუკუნის მეორე ნახევარში. პირველად აქ გადმოსულა გურიაში და აჭარაში მოსახლე თავდგირიძეთა უშუალო წინაპარი მამუკა. თ. სასოკია გურიისა და აჭარის თავდგირიძეთა გვარეულობას ერთი ჩამომავლობისა და განშტოების სოციალურ ჯგუფებად მიიჩნევდა. გურიაში მამუკა გადმოსულა იმ პერიოდში, როცა გურიასთან ერთად აჭარაც ჯერ კიდევ ქრისტიანული

იყო.[8] თავდგირიძეებს სამთავრო კარზე მაღალი თანამდებობა (ბოქაულთუხუცესობა) მიუღიათ და დიდი რაოდენობით ყმა-მამულებიც (აჭყვის, კინტრიშის და ჩაქვის ხეობაში) დაუმკვიდრებიათ, რის საფუძველზეც საკმაოდ ძლიერი სათავადო ჩამოუყალიბებიათ[9]. თ. სახოკიას მონაცემების მიხედვით, პოლიტიკური არეულობის დროს, მამუკა თავდგირიძისათვის მის მამულში ჩამომდგარ ოსმალებს ცოლ-შვილის მძევლად დატოვება მოუთხოვიათ. მძიმე მდგომარეობიდან მოხერხებულად გამოსვლის მიზნით, მამუკა თავდგირიძეს ფაშისათვის ცოლ-შვილით გურიაში გაშვება უთხოვია იმ მოტივით, რომ ყმები გამექცა და დაბრუნება მინდაო. ფაშა თავის ნათქვამზე იდგა და მამუკაც იძულებული შექმნილა ცოლი და შვილი (სახელად მაქსიმე) მძევლად დაეტოვებინა. თ. სახოკიას მტკიცებით, სწორედ ამ მაქსიმეს შთამომავლებად ითვლებიან ქობულეთელი თავდგირიძეებიც, რომლებიც იმთავითვე ოსმალებს გაუმუსლიმანებიათ და ბეგობაც უბოძებიათ. ქაიხოსრო გურიელისა და იმერეთიდან ცოლის ძმის წაშველებით მამუკა თავდგირიძე შებრძოლებია კიდეც მტერს, მაგრამ დამარცხებულა. გარკვეულად ამ ფაქტსაც განუპირობებია ქაიხოსროს მიერ მამუკა თავდგირიძისათვის მამულების და ყმების ბოძება. ამ გზით იგი სოფ. აკეთში დამკვიდრებულა. თ. სახოკიას ცნობით, მას ცოლად შეურთავს თავადი მაქსიმეიშვილის ასული, ვისთანაც ხუთი ვაჟი ეყოლა: გიორგი, მირზაბეგი, სოლომონი, ალექსანდრე და ფრიდონი.[10]

თავდგირიძეთა საგვარეულოს დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლების მიზეზი ორგანულადაა დაკავშირებული ოსმალ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიასთან. წერილობით წყაროებში დაცულია ერთი მეტად საინტერესო ცნობა: „თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისპევს უვალთა ადგილთა, რომელნი მოისრნეს ხერხემლისძეთა აზნაურთაგან“. აზატ მოსეს შემოსევების დროს თურქებმა დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი თემები: ბასიანი, ტაო და ნიგალისხევი (ჭოროხის ქვემო წელი). ამ ადგილებში მათ გზა გადაუკეტეს ხერხემლისძეთა ქვეშევრდომებმა, აღნიშნული ძველქართული წერილობითი წყაროების კრიტიკულ-ანალიზის საფუძველზე სპეციალურ გამოკვლევებშ მიჩნეულია, რომ ხერხემლისძეთა აზნაურები მურღულ-ნიგალში ისხდნენ. მათ მეზობლად ვარაუდობენ თავდგირიძეთა სამფლობელოსაც, შემდეგ თავდგირიძეები დაწინაურებულან და თავის ყმობაში მოუქცევიათ ხერხემლისძეთა ჩამომავლები.[11]

გვიანფეოდალური ხანისათვის ოსმალეთის საზღვრები თანდათან საქართველოსაკენ მოიწევენ. უკვე XVI საუკუნისათვის ოსმალები სამცხე-საათაბაგოდან ბრძოლებით ავიწროვებს იმერეთსა და გურიას. ათაბაგები თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით ძალაუნებურად მტრის ბანაკში აღმოჩნდნენ. ლიტერატურაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ამ პერიოდისათვის, როცა მტრისაგან თავდგირიძეთა სამფლობელოც დიდად შეწუხდა, როგორც ჩანს თავდგირიძეებმა არ ისურვეს ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან შეგუება და საქართველოს შედარებით მშვიდობიან კუთხეებს მიაშურეს. ოსმალეთთან მესხეთის კავშირმა და ათაბაგებით შევიწროვებულმა იმერეთის მეფე ბაგრატმა სამეგრელოსა და გურიის მთავართა დახმარებით ილაშქრა ყვარყვარეს წინააღმდეგ, დაიპყრო საათაბაგო. იგი დასავლეთ საქართველოს შემოუერთა, ხოლო აჭარა-ჭანეთი გურიელს გადასცა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქედან მოყოლებული, კვლავ მოექცა გურიელის მფლობელობაში ქობულეთის მიდამოების შემდგომში სადავოდ ქცეული ნაწილიც, რომელიც გურიელმა დაუმტკიცა საექსპლოატაციოდ თავდგირიძეებს მათი გადმოსახლების პერიოდში. ამიტომაა, რომ ხშირად ზოგიერთი თანამედროვე მკლევარნიც კი ქობულეთს გურიის ფარგლებში განიხილავს.[12] ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ღებულობენ იმ ფაქტს, რომ გურიის სამთავროსა და აჭარას შორის მოცემული საზღვრები წარმოიქმნებოდა არა ისტორიულ-

ეთნოგრაფიული პრინციპის, არამედ სათავადოთა შიგაფეოდალური და პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველზე. ადრე ქობულეთი ძლიერ თემს წარმოადგენდა და დამოუკიდებელი განვითარების ტენდენციასაც ავლენდა. ამას ხელს უწყობდა ფეოდალური პარტიკულარიზმიც, რაც საბატონო ერთეულის დამოუკიდებელ, იზოლირებულ და ძლიერ სათავადოდ გადაქცევის მცდელობის ფაქტსაც გულისხმობდა.

ამრიგად, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები თავდგირიძეთა საგვარეულოს აჭარაში ჩამოსახლების ისტორიის გარშემო მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. ამ გვარეულობათა შესახებ მოიპოვება სხვა ცნობებიც (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ნუსხები და სხვ.), რომლებიც ძველქართულ წერილობით ძეგლებშია გაბნეული. წყაროებში იგი სხვადასხვა ფორმებით გვხვდება: თავდირიძე, თადგირიძე, თაქთირიძე და თავდგირიძე, მათ თავდაპირველ სამოსახლოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ფიგურირებს. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უძველესი დროიდან წარმოებდა მოსახლეობის ადგილმოცვლეობა და კუთხე-სამოსახლოს გამოცვლა. მიგრაციის პროცესი გვიანფეოდალურ ხანაში განსაკუთრებულ მიმართულებასა და შინაარსს იძენს. ამ პერიოდისათვის ოსმალობის მომძლავრებამ ბიძგი მისცა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ჩასახლებას გურიამერეთისა და აჭარის, ასევე სამეგრელო-ქართლის მიმართულებით. ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას აყრა-გადასახლებები და გაპარტახებული ნასოფლარების მომრაცხლება მოჰყვა შედეგად. XIV საუკუნის მიწურულისათვის სამცხე-საათაბაგოში უკვე 296 დაცლილი სოფელი იყო. 344 სოფელში კი 1-2 კომლი თუღა სახლობდა. დაპყრობითი ომების დაწყების ხანაში აჭარა-გურიის მოსახლეობის გვარობრივი გამჭიდროვება ოსმალთაგან დაპყრობილი ქართული ოლქების — ლაზური, ტაო-კლარჯული, შავშური მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. დროგამოშვებით აქ პოულობდნენ თავშესაფარს არტაან-კოლას და სამცხე-ჯავახეთის ცალკეული ოჯახებიც. მოგვიანებით ანალოგიური მიზეზების გამო აჭარიდან ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესებსაც. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას უნდა გამოეწვია თავდგირიძეთა ფეოდალური საგვარეულოს სამცხედან გურია-აჭარაში ჩამოსახლება, საიდანაც ისინი შემდგომ განსახლდნენ, გამრავლდნენ და დასვლეთ საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 25-26.

2. ს. კაკაბაძე. თორელთა საგვარეულო შტოები, ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. 90-95; ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1938, გვ. 38,53.

3. Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, Санкпетербург, 1878, с. 79-82.

4. ფრ. სიხარულიძე. თავდგირიძეთა უძველესი ისტორიიდან. — „ლიტერატურული აჭარა", ბათუმი, 1962, № 4.

5. დ. ბაქრაძისათვის ცნობილი იყო ამ ორი გვარეულობის მოსახლეობის ფაქტი გურიაში და ავტორი მათ შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობებსაც გვაწვდის. — იხ., დ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 152, 245; მისივე., Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджарии. — ИКОИРГО, 1874, т. II с. 215-216. თავდგირიძეთა გვარეულობის შესახებ საყურადღებო ცნობები და მოგონებებია დაცული აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (№ 250). ეს გვარეულობა 1870 წლის ქსნის ხეობის კორინთას ეკლესიისადმი შეწირულობის მხედრულ მინაწერშიც იხსენიება: „შევწირე ესე აზარფეშა

ოქროს კარიან ეკლესიას ბლაღოჩინმა ბესარიონ თავდირიძემ 1870“ (იხ., Е. Такаишвили. Археологические путешествия, разыскания и заметки. — СМОМПК, вып. XLIV, Тифлис, 1915, с. 70.

6. ვახუშტი. დასახ. ნაშრ., გვ. 26.

7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბ., 1975, გვ. 21.

8. თ. სახოკია. მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 71-75.

9. ფრ. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

10. თ. სახოკია. დასახ. ნაშრ., გვ. 72.

11. ფრ. სიხარულიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

12. ი. სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959, გვ. 5, 10; ჩხატარაშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 5-6, 10.

13. Акты, т. IX, Тифлис, 1884, с. 478; т. 2, 1868, с. 406, 539, 544, 546. Г. Казбег. Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского санджака. Тифлис, 1876, с. 65-79.

ილიას «ივერიის» წერილი

ჩვენებური ამბები

ბათუმი. რამდენჯერმე იყო წერილი „ივერიაში“ ბათუმიდან ვიღაც უსახელო კორესპონდენტისა, ქართული წიგნების ნაკლებობის გამო ბათუმში. უკანასკნელად „ივერიის“ 109-ე ნომერში იმეორებს ამ ამბავს და ამბობს: „ბათუმში ქართული წიგნების მოთხოვნილება დიდია, წიგნები კი არ მოიპოვებაო“ და ამით სურს საქვეყნოდ ცილი დასწამოს წიგნებით მოვაჭრე სპირიდონ ჭელიძეს.

ჯერ იყო აქ ძმათა თავდგირიძეთა წიგნის მაღაზია და, რადგან ვერ იხეირა, გადაიტანეს თავიანთი სავაჭრო ტფილისში; ხოლო მეორე წიგნით მოვაჭრემ ნიკოლაძემ, რაკი ვერ გაჰყიდა ქართული წიგნები, უკანვე დაუბრუნა მაღაზიებს და ახლა ვაჭრობს უცხოური წიგნებით. თუმცა ახლაც აქვს დარჩენილი ქართული წიგნები, მაგრამ ათასში ერთს თუ გაჰყიდის. სპირიდონ ჭელიძის მაღაზია კი ერთადერთი ქართული წიგნების მაღაზიაა, რომელიც აგერ ხუთი წელიწადია არსებობს და ძლივს გაუძლო იმდენ გაჭირვებაზარალს და მოაღწია აქნობამდე. მის მაღაზიაში უმეტესად ქართული წიგნებია — გარდა ჩვენი მოწინავე მწერლების ნაწერებისა, ბლომადაა, აგრეთვე, სხვათა გამოცემანი — როგორადაც: წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ზ. ჭიჭინაძისა, ივ. როსტომაშვილისა

და სხვათა. სპ. ჭელიძე, გარდა იმისა, რომ მაღაზიაში ჰყიდის, მას განსაკუთრებით კაცი ჰყავს დაქირავებული, რომელიც აჭარებს წიგნებს და ავრცელებს აქაურ მუშებში და ქუჩა-ქუჩაც ჰყიდის, აგრეთვე ქართულ გაზე-
საც. მიუხედავად ყველა ამისა, სამწუხაროდ, მაინც მცირეა ქართული წიგნების მოთხოვნილება. თუ იყიდის, ისევ მდაბიო ხალხი, თორემ „ჩინოვნიკობა“ ხომ დიდი ხანია შემომწყრალია ქართულს.


თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სპ. ჭელიძის მეცადინეობათაოსნობით აქ შედგა წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ცოდნა“, რომელმაც გამოსცა რამდენიმე წიგნი („ამბები ინგლისის ისტორიიდან“, ე. ნინოშვილის „მოთხრობა“, „ბუნების საოცარი მოვლენანი“ და სხვა), ჰყავს დაქირავებული სპეციალურად წიგნების სატარებლად და ამრიგად ავრცელებს ხალხში სასარგებლო წიგნებს. ამიტომ მადლობის და ქების ღირსია ამისთანა კაცი და არა უმადურობა - გაკიცხვისა, როგორც ამას ჩადის უსახელო კორესპონდენტი!

ტრ. ინასარიძე,

„ივერია“, 1903 წლის 3 ივნისი, № 117.

* * *

რედაქციისაგან: ტროფიმე ინასარიძე იყო მამა ცნობილი ქართველი რეჟისორის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შალვა ინასარიძისა, რომელიც 50 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის სახელმწიფო თეატრში.



გასულ ორ თვეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრაელის „იმერეთი“ ბათუმში

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ისრაელის კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დელეგაცია. რომლის მთავარი ბირთვია ხაიფისა და ჩრდილოეთის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“. ანსამბლი წარმატებით გამოვიდა თბილისში, ქუთაისში, ვანში, საჩხერეში, გორში, ხაშურსა და ზესტაფონში. „იმერეთი“ ბათუმსაც ეწვია. ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა მეგობრობის კონცერტი, რომელმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა, აღსანიშნავია, რომ ეს კონცერტი საქველმოქმედო იყო.

პირველად მაყურებლის წინაშე წარსდგა ისრაელში ქართული ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ცნობილი ქორეოგრაფი და თეატრალური მოღვაწე, ქვეყნის ფესტივალების არაერთგზის ლაურეატი, ისრაელის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შოთა წვენიაშვილი.

სტუმართა საღამო-კონცერტს ორგანულად შეერწყა ზესტაფონის მუსიკალურ საზოგადოებასთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ნადური“, რომლის ხელმძღვანელია სოსო კაპანაძე, ანსამბლმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.

მაყურებელთა წინაშე წარსდგა და ანსამბლის შემოქმედებაზე ისაუბრეს ისრაელის პრემიერ-მინისტრის საგანგებო მრჩეველმა, ქართველ ებრაელთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარემ, ისრაელის მთავრობის საპატიო წარმომადგენელმა იცხაკ დავიდმა.

სტუმრებს მიესალმა და სუვენირი გადასცა თეატრის დირექტორმა შოთა დავითაძემ.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა სტუმრების პატივსაცემად წარმოადგინეს ნაწყვეტები დიდი ებრაელი მწერლის შოლომ ალეიხემის პიესიდან „მერძევე ტევიე“.

ღვაწლის დაფასება

სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სოფელ ჭვაყუდის არასრულ საშუალო სკოლას მიენიჭა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პარმენ ლორიას სახელი.

ამ მოვლენას მწერლის მშობლიურ სოფელში მიეძღვნა ლიტერატურული საღამო. პარმენ ლორიას სახელობის სკოლას ეწვივნენ სამტრედიის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ბათუმში მოღვაწე მწერლები. სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის კლას-კაბინეტები, პიონერთა ოთახი, სადაც წარმოდგენილია პარმენ ლორიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები.

სკოლიდან სტუმრებმა და მასპინძლებმა სოფლის კლუბში გადაინაცვლეს. აქ გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელსაც უძღვებოდა სკოლის დირექტორი შ. ადამია. პარმენ ლორიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრა პედაგოგმა ი. ლორიამ. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია. წაიკითხეს ლექსები. პოეტებმა ფრ. ხალვაშმა, მ. ვარშანიძემ, შ. როყვამ, ნ. გვარიშვილმა, შ. ზოიძემ ისაუბრეს პარმენ ლორიას დამსახურებაზე აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარებაში.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ფოცხვერაშვილი, პარმენ ლორიას ვაჟი მწერალი ა. ლორია.

პოეტის პატივსაცემად

აჭარის პროფკავშირთა კულტურის სახლში ლიტერატურულმა გაერთიანებამ და ბიბლიოთეკის საბჭომ 28-ე ქართული საშუალო სკოლის მე-11 პირველ კლასელებთან ერთად მოაწყვეს ირაკლი აბაშიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გახსნა ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელმა მუხრან კობალაძემ. პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა უფროსმა ბიბლიოთეკარმა დიდარი ფალავანდიშვილმა, კლუბ „ჩირაღდანის“ წევრებმა ნინო ბუჭულაძემ და ლოლა ბოლქვაძემ წაიკითხეს პოეტის ლექსები, კულტურის სახალხო ბავშვთა ვოკალურმა ტრიომ და 28-ე სკოლის მე-11 კლასელებმა შეასრულეს სიმღერები, რომლებიც ირაკლი აბაშიძის ლექსებზე შეიქმნა.

პრემიერა ბათუმის თეატრში

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა დიდი ებრაელი მწერლის შოლომ ალეიხემის ორნაწილიანი დრამა „მერძევე ტევიე“. მასში მოთხრობილია უკუღმართი ცხოვრებისაგან განაწამები ებრაელთა ერთი ოჯახის — მერძევე ტევიეს და მისი ქალიშვილების ამბავი.

„მერძევე ტევიეს“ დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ენვერ ჩაიძე, მხატვარი — გენადი მოროზოვი, სპექტაკლისათვის მუსიკა დაწერეს ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა იოსებ ბარდანაშვილმა და აჭარის ასსრ დამსახურებულმა მოღვაწემ თენგიზ შამილაძემ. ცეკვები დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა გივი ოდიკაძემ. მერძევე ტევიეს როლს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იური ცანავა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ხასან მეგრელიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ცირა აბზიანიძე, ნუნუ ხინიკაძე, როლანდ კაკაურიძე, ნიაზ მესხიძე და თეატრის სხვა წამყვანი მსახიობები,

„საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა

გამოვიდა პოეტი ქალის დავარ გიგინეიშვილის ახალი ლექსების წიგნი, რომელსაც „ჰერმესის ლირა“ ჰქვია.

კრებული შედგება ხუთი განყოფილებისაგან, რომლებშიც წარმოდგენილი ლექსების ლაიტმოტივია სიცოცხლის სიყვარული, სიწმინდე და სიკეთე. ლირიკული გმირი დაფიქრებულია ცხოვრების ავან-ჩავანზე. აქვს საკუთარი ხედვა და მტკიცე რწმენის კედელი.

კრებულში წარმოდგენილია ორმოცამდე ლექსი, მრავალფეროვანია თემატიკურადაც. მიუხედავად ამისა, ისინი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

წიგნის რედაქტორია ა. შონია, მხატვრულად გააფორმა ა. ლომაძემ.

* * *

„მე და შენ ვერასოდეს დავჭორწინდებით“ — ასე ჰქვია ანა დუნდუას მოთხრობების ახალ წიგნს, რომელიც ახლახან გამოვიდა. მასში წარმოდგენილია ოცდაათამდე მოთხრობა, რომლებიც სხვადასხვა დროს ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა.

ანოტაცია გვაუწყებს, რომ ეს წიგნი „სულის სიღრმეში მიმალული სევდის გამომზეურებაა. მკითხველის წინაშე ხალასი იუმორითა და სიცხადით გადაიშლება ყოფითი სინამდვილე, ფიქრი აწმყოსა და ფიქრი მომავალზე...

ავტორი მიგვანიშნებს: „ყველაფერი ლამაზია ამ ქვეყნად, თუ გულში სამეფო ტახტი უდგასო სიყვარულს“...

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხატვრულად გააფორმა ზ. ხაბაძემ.

* * *

გამოვიდა გენრიეტა ქუთათელაძის მო-

თხრობებისა და მინიატურების კრებული „ალმოჩენა“.

როგორც ანოტაცია გვაუწყებს, კრებულის ლაიტმოტივია ადამიანი თავისი ტკივილით, საფიქრალით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით, თანადგომითა და გულგრილობით. ინტერესით იკითხება მოთხრობები „უმთავრესი თვისება“, „მსურს შევქმნა ოჯახი“, „პასუხი ორ სტრიქონში“, „წვიმა გადაღებას არ აპირებდა“, „ალმოჩენა“, „ვარსკვლავებს ვინ დათვლის ცაზე“ და სხვა. აქვეა მინიატურები, რომლებშიც დახატულია ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობა, მშობლიური გარემოს სურათები.

გამოცემის რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი, მხატვრულად გააფორმა გ. გუჯაბიძემ.

ცეკვავს „მერცხალი“

ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მერცხალს“ ორმოცი წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე მან მოიარა მოძმე რესპუბლიკების ქალაქები და საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნები. იყო ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ვიეტნამში, მის სამარშრუტო-საგასტროლო რუქას თურქეთიც შეემატა.

— თურქეთში, — თქვა „მერცხლის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა თამაზ კილაძემ, — ვიყავით ტურისტული ფირმის მიწვევით, — მთელი ორი კვირა კონცერტებს ვმართავდით იზმირში, სტამბულში, ათაბაზარში, ტრაპიზონსა და რიზეში. სტამბულში გულჰანპარკის თეატრში 5 ათასზე მეტი კაცი მოვიდა. ჩვენს ბავშვებს ღია ცის ქვეშ ფეხზე დამდგარნი უკრავდნენ ტაშს. პროგრამა, რომელიც ერთ საათსა და 15 წუთს ითვალისწინებს, ორ საათს გრძელდებოდა. არაერთი ნომრის გამეორება მოგვიხდა. წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს ქორეოგრაფებს თამრიკო მითაიშვილსა და გენო ბელიძეს.

„მერცხლის“ სამომავლო გეგმაშია მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიციის შექმნა, რასაც თავისი ორმოცი წლისთავის იუბილეს მიუძღვნის.

საინტერესო გამოფენა

აჭარის მხატვართა კავშირთან არსებულ მცირე საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდა მხატვრის, ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებულის ირმა კერძევაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. ფერწერული ტილოების ხილვისას უთუოდ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდის დამთვალიერებელი. სილამაზე, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მაძიებელი ფიქრი გამოსჭვივის მის ნამუშევრებში.

გამოსახვის საშუალებებიც თავისებური აქვს ირმას — გამხმარი ყვავილები, დეკორატიული მცენარეები, ძაფები, ტუში, საღებავი — ყველაფერი გამოუყენებია თავისი შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად.

„ნიანგის“ ბიბლიოთეკის“ სერიით

ამ ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ზურაბ ჩხიკვაძის იუმორისტული მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები. რამდენიმე მოთხრობა „ჭოროხშიც“ გამოქვეყნდა.

და აი, საახალწლოდ ეს ნაწარმოებები ერთ კრებულად ვიხილეთ. ჟურნალ „ნიანგის“ „ბიბლიოთეკის“ სერიით დაიბეჭდა ზ. ჩხიკვაძის წიგნი „მსოფლიოს მერვე საოცრება“.

კრებულში შევიდა „მრავალჟამიერ, ახალო წელო“, „თევზის მაღაზიაში“, „სასწრაფო დახმარება“, „დიალოგი წვიმაში“, „წერილი მამას“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც უსათუოდ დააინტერესებს მკითხველს.

წიგნის რედაქტორია ზაურ ბოლქვაძე, მხატვრობა ეკუთვნის რევაზ სანადირაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

b 231/78

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118